


1962/2



საგჭოთა სამართალი

საქართველოს კანონმდებელი ორგანოს გამომცემლობა


1962 6

Handwritten signature



სსრკ
კონსტიტუცია
(ძირითადი პუნქტი)





საბჭოთა სამართალი

№ 6

ნომბერი-დეკემბერი

1962 წელი

გამოცემის IX წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საბჭოთა კავშირი — მშვიდობის მედროზე	7
ბ. პრემიერი — თავისუფალ ერთა ურდვევი კავშირი	7
ბ. კაციტაძე — სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე	14

10 ნომბერი — საბჭოთა მილიციის დღე

შ. როზაძე — თანამედროვეობის მოთხოვნების დონეზე	20
--	----

კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

თ. ლილუაშვილი — სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების ზოგიერთი ძირითადი საკითხი	24
---	----

8845

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების გუზარების პრაქტიკა

ბ. მაისურაძე — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ვატაცება დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით	34
ბ. მიჩუროვი — მტკიცედ დავიცვათ ქალებისა და ბავშვების უფლებები	38
ბ. შელია — ერთობლივი ღონისძიებათა ჩატარება დანაშაულის გახსნის საფუძველია	43

საქართველოს საბჭოთა ადვოკატურის 40 წელი

ა. პაიჭაძე — საქართველოს სსრ ადვოკატურის 40 წლისთავი	49
--	----

ქართული სამართლის ისტორიიდან

ივ. სურგულაძე — დავით ბაგრატიონი ბრალის შესახებ	54
---	----

უცხოეთში

შ. კურდღელაშვილი — რევოლუცია იემენში	58
--------------------------------------	----

დანაშაულის კვალდაკვალ


მ. მიხაილოვი — „ექსპედიტორის“ საქმიანობას ფარდა აეხადა	61
--	----

ოფიციალური მასალა

ინფორმაცია	67
------------	----

ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია	93
--------------	----





СО Д Е Р Ж А Н И Е

Советский Союз—знаменосец мира	3	
Г. Еремов—Нерушимый союз свободных наций	7	
Б. Кацитадзе—На страже интересов Родины	14	
10 НОЯБРЯ—ДЕНЬ СОВЕТСКОЙ МИЛИЦИИ		
Ш. Робакидзе—На уровне современных задач	20	
КОМЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ		
Т. Лилуашвили—Некоторые вопросы основ гражданского законодательства	24	
ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ		
В. Мансурадзе—Хищение государственной и общественной собственности в крупных и особенно крупных размерах	34	
М. Мирзоев—Строго соблюдать интересы матери и ребенка	38	
Г. Шелия—Проведение совместных мероприятий—основа раскрытия преступления	43	
К 40 ЛЕТИЮ ГРУЗИНСКОЙ АДВОКАТУРЫ		
А. Пайчадзе—К 40 летию адвокатуры Грузинской ССР	49	
ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА		
Ив. Сургуладзе—Давид Багратиони о вине	54	
ЗА РУБЕЖОМ		
Ш. Курдгелашвили—Революция в Йемене	58	
ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЯ		
М. Михайлов—Раоблачена „деятельность экспедитора“	61	
ОФИЦИАЛЬНЫЙ МАТЕРИАЛ		67
ИНФОРМАЦИЯ		87
БИБЛИОГРАФИЯ		93

შპ. № 2416
ტირაჟი 6300
შე 04918

სარედაქციო კოლეგია

- ა. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
- პ. ბერძენიშვილი, მ. ვეფხვაძე, გ. ინჯიყვილი,
- მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
- ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარღობა 12 XII-62 წ.: ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/V-63 წ. ანაწილის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.

რათა ბოლომდე ემხილებინათ დამნაშავენი, ამიერკავკასიის რევოლუციონერების სამმართველოს არქივიდან ამოღებულ იქნა უამრავი საგზაო ზედწიგნების უწყისები თბილისის სატვირთო სადგურიდან საქართველოს ქალაქებსა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მზესუმზირას ზეთის გაგზავნის შესახებ. წინასწარი ცნობებით, გაგზავნილი იყო სამასამდე ტონა ზეთი.

მზესუმზირას ზეთის გაგზავნაში ხშირად მონაწილეობდნენ ვინმე დ. ოთიაშვილი და ი. ქერელაშვილი. ამ პიროვნებების შემოწმებამ გვიჩვენა, რომ დიმიტრი ზაქარიას-ძე ოთიაშვილი, მცხოვრები სიღნაღის რაიონის სოფ. ნუკრიანში, გაურკვეველი საქმიანობის კაცი, წინათ ნასამართლები იყო მზესუმზირას ზეთის სპეკულაციისათვის. ილია ნიკოლოზის-ძე ქერელაშვილი, სიღნაღის რაიონის სოფ. მაღაროს მკვიდრი, არ ეწეოდა სასარგებლო შრომას.

გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ ყველა სპეკულანტი, რომლებიც ამ საქმეში გადიოდნენ, ზეთს გადასაყიდად აძლევდნენ ოთიაშვილი და ქერელაშვილი. ამასთან მორიგება ხდებოდა პირდაპირ ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარზე. სპეკულანტები კილოგრამ ზეთს ყიდულობდნენ 15-16 მანეთად, შემდეგ კი ვაჭონდათ სხვადასხვა ქალაქებში და ჰყიდდნენ 17-18 მანეთად (ძველი ფულით).


დამახასიათებელია, რომ ისინი თბილისის სადგურზე ზეთის გაგზავნის დოკუმენტების გაფორმებას თვითონ კი არ ესწრებოდნენ, არამედ ამისთვის გარკვეული მეთოდი ჰქონდათ შემუშავებული: ოთიაშვილი და ქერელაშვილი ბაზარში იწერდნენ ზეთის გადაყიდვების სახელს, გვარს, მამის სახელს, მათ საცხოვრებელ ადგილს და მიდიოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ბრუნდებოდნენ ბაზარში და გადასცემდნენ ზეთის შემსყიდველებს საგზაო უწყების ქვითრებს დანიშნულ სადგურზე მზესუმზირას ზეთის მისაღებად.

წარადგენდნენ რა პასპორტს ან სასოფლო საბჭოდან გაცემულ ცნობას, სპეკულანტები დანიშნულ სადგურზე გამოისყიდდნენ ტვირთს ე. ი. ხელს აწერდნენ საგზაო უწყისებს ტვირთის მიღებაზე. ზეთის რეალიზაციის შემდეგ ცარიელ ტარას-კასრებს ისინი აგზავნიდნენ თბილისში, გაგზავნის შესახებ საბუთებს კი თავიანთ სახელზე აფორმებდნენ. ქალაქში დაბრუნების შემდეგ ბაზარზე ისევ ხვდებოდნენ თავიანთ „მომმარაგებლებს“ — ოთიაშვილს და ქერელაშვილს, რომლებთანაც ახდენდნენ ანგარიშსწორებას და, აგრეთვე, გადასცემდნენ ცარიელი ტარას მიღების ქვითრებს. ეს უკანასკნელი თვითონ იღებდნენ ტარას, მათ მაგიერ ხელს აწერდნენ მის მიღებაზე.

ერთი სიტყვით, საქმე ისე იყო მოწყობილი, თითქოს ოთიაშვილი და ქერელაშვილი ნამდვილად იყვნენ კოლმეურნეობების ექსპედიტორები და რეალიზაციას უკეთებდნენ საკოლმეურნეო ზეთს. სამწუხაროდ, თბილისის საბარგო სადგურის არც ერთი თანამშრომელი არ დაინტერესებულა ოთიაშვილის და ქერელაშვილის პიროვნებით და არ მოუთხოვიათ მათგან საბუთი — სად ცხოვრობდნენ, რას წარმოადგენდნენ და ვინ აძლევდა მათ უფლებას გაეგზავნათ ასეთი დიდი რაოდენობის ზეთი.

როგორც გამოძიებით იქნა დადგენილი, დ. ოთიაშვილმა 60-ზე მეტი გადაყიდვების სახელზე გააფორმა 242 კასრი მზესუმზირას ზეთი, თითქოს მის განკარგულებაში იყო მთელი ზეთსახდელი ქარხანა. მას ოდნავადაც არ ჩამორჩენია მისივე მეგობარი ი. ქერელაშვილი, რომელმაც 40 გადაყიდვების მისამართით 156 კასრი ზეთი გაგზავნა.

თუ დაუჭერებთ ოთიაშვილისა და ქერელაშვილის სიტყვებს, ისინი თვი-



მკვდარ ქვეყანაზე, იმ ადამიანებზე, ვისაც სიცოცხლე მოუსწრაფეს პირველი და მეორე მსოფლიო ომის გამძაღებლებმა.

გამოჩენილი პოეტი მკითხველს სულ ახლო წარსულის საშინელ ამბებს ასწავლებს — იმ ორმა ომმა, რომლებიც თავს ძოხავიეს ხალხებს მისმა დაუძინებელმა მტრებმა, თითქმის 60 მილიონი კაცი გამოასალმა სიცოცხლეს და 49 მილიონი დაასახინრა. მიუმატეთ ამას ობლები, მიუმატეთ დანგრეული ქალაქები, დამწვარი სოფლები...

ძარღვებში სისხლი ეყინება კაცს ამ საშინელების, ამ ბარბაროსობის გახსენებისას და აბა როგორ უნდა შეუტიგდეს კაცობრიობის სინდისი იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები ამაზე ათასგზის უფრო საშინელ განსაცდელს უმზადებენ კაცობრიობას!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახლანდელი იარაღი თავისი გამანადგურებელი ძალით არ შეედრება წინანდელს. ახლა რამდენიმე წყალბადის ბომბს შეუძლია გაწყვიტოს უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე დაიხოცა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში. თერმობატომურ ომს შეუძლია უზარმაზარ სასაფლაოდ აქციოს მთელი დედამიწა.

და ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა ბრძოლა, ძალების დარაზმვა. ეს დიდი ბრძოლა მშვიდობისათვის დაწყებულია. მის ავანგარდში დგას ჩვენი სამშობლო, მას მტკიცედ უდგანან მხარში მთელი სოციალისტური ბანაკი, მთელი დედამიწის მშვიდობისმოყვარე ხალხები.

კომუნისმი და მშვიდობა განუყოფელია. სოციალისტურმა სახელმწიფომ დაბადებისთანავე საყოველთაო მშვიდობის მოწოდებით მიმართა მსოფლიოს. ხალხთა შორის მშვიდობის განუხრელად დაცვა მუდამ იყო და არის საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზი.

სოციალიზმის საგარეო პოლიტიკის ურყევი პრინციპები მკაფიოდ არის გამოხატული სკკპ პროგრამაში. „სსრ კავშირის გამოცდილებამ, — ნათქვამია პროგრამაში, — დაამტკიცა, რომ სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია... საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც მშვიდობის საგუშავგოზე დგას და ცხოვრებაში ახორციელებს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს, მძლავრი დაბრკოლება იმპერიალისტური აგრესიის გზაზე“.

მშვიდობის დაცვისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს განიარაღების პრობლემას. საბჭოთა კავშირი უკვე მრავალი წელია მტკიცედ და შეუპოვრად ეწევა ამ ბრძოლას. ომისშემდგომ საბჭოთა კავშირი სისტემატურად ცალმხრივად ამცირებდა თავდაცვის ხარჯებს და თავის შეიარაღებულ ძალებს.

საბჭოთა კავშირს და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ აგრესიული ომის თავიდან აცილების საშუალებაა საყოველთაო და სრული განიარაღება მტკიცე საერთაშორისო კონტროლით. არ იქნება იარაღი — არ იქნება ომიც. კაცობრიობის ოცნება მარადიულ მშვიდობაზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა მოისპობა ყველა სახის იარაღი, შეიარაღებული ძალები.

იმპერიალისტური სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით წლების განმავლობაში ილაშქრებენ განიარაღების წინააღმდეგ. მათ ჯერ კიდევ უნებვის თათბირის დაწყების წინ მოახდინეს მთელი რიგი ატომური ბომბების მიწისქვეშა აფეთქებანი, შემდეგ დაიწყეს ბომბების ინტენსიური

აფეთქებანი ატმოსფეროში და მოსკოვის მშვიდობის კონგრესის გახსნის დღეს იარაღი გამოსცადეს კოსმოსში.

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციას. მეჩვიდმეტე წელია, რაც საბჭოთა არმიის გამანადგურებელი დარტყმების შედეგად ფაშისტურმა გერმანიამ კაპიტულაცია მოახდინა, მაგრამ გერმანიასთან ჯერ კიდევ არ არის დადებული საზავო ხელშეკრულება, მიუწესრიგებელია მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში.

ცნობილია, რომ ომის შემდგომ წლებში საბჭოთა კავშირი მრავალჯერ დაბეჯითებით მოითხოვდა და მოითხოვს ამ საკითხების მოგვარებას, მაგრამ საბჭოთა მთავრობის ყველა წინადადებას გერმანიის საკითხზე დასავლეთის სახელმწიფოები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ, ხოლო დასავლეთ გერმანიის მმართველი რევანშისტული წრეები აღვივებენ მოსახლეობაში რევანშისტულ განწყობილებას.

საერთაშორისო დაძაბულობის კულმინაციური პუნქტი იყო კრიზისი კრიზისის ზღვის რაიონში, რომელიც შეიცავდა თერმოატომური კატასტროფის საშიშროებას. ეს იყო უაღრესად მძიმე პერიოდი, რომლის მსგავსი კაცობრიობას არ განუცლია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მშვიდობის საქმე ბევრზე ეკიდა.

ამ დაძაბულ პერიოდში მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების ერთგულმა საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული სიბრძნე და კეთილგონიერება გამოიჩინა.

საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა კუბის კრიზისის დაძაბულ დღეებში ყველა ქვეყნის ხალხებმა შეაფასეს როგორც რეალური, ბრძნული, მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა.

ისინი ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, მხურვალედ მიესალმენ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ მოქმედებას.

— ხრუშჩოვმა აგვაცილა ომი, — წერდა ვაშინგტონის „ნიუსი“.

ახლა რიგითი ამერიკელებიც კი ხედავენ, რომ მოსკოვი, რომელსაც ატომური ომის საშიშროების კერად უსახავდნენ მათ ავანტიურისტი რეაქციონერები, ომის თავიდან აცილების, მშვიდობის შენარჩუნების საიმედო კერაა.

— გმადლობთ, თავმჯდომარე ხრუშჩოვ, დედამიწაზე მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში თქვენ მიერ შეტანილი წვლილისათვის, — წერს რიგითი ამერიკელი ქალაქ ჩიკაგოდან.

„...იმ ადამიანთა თვალში, — ამბობს რიგითი ინგლისელი ჯ. შილდი, — რომლებსაც მშვიდობა სურთ, ხოლო ისინი მილიონობით არიან, — მისტერ ხრუშჩოვი წარმოდგა პიროვნებად, რომელმაც მსოფლიო იხსნა ატომური კატასტროფისაგან.“

არ არის მსოფლიოში არც ერთი კუთხე. არც ერთი ქვეყანა, საიდანაც ადამიანთა თვალი მიპყრობილი არ იყოს მოსკოვისაკენ, კრემლის ყრილობის სასახლისაკენ. დიდ საოკეანო შუქურას ჰგავდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სე-



სიის ტრიბუნა, იმ შუქურას, რომლის სხივები წვდებიან ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეს, ყველგან მიაქვთ იმედი, რომ კაცობრიობა შეძლებს თავიდან აიცილოს ახალი მსოფლიო ხანძარი.

„მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი, — თქვა ამხ. ნ. ს. ზრუმცოვმა მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1962 წლის 12 დეკემბერს, — ჩვენი საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია, ყველა სოციალისტური სახელმწიფოს დროშაა, ყველა ხალხის სასურველი მიზანია. დაე, საერთაშორისო ცხოვრების საღაო საკითხთა გადაჭრისათვის მოლაპარაკების მეთოდი საშუალოდ შეცვალოს „ძალთა მოსინჯვის“ საშიში მეთოდი!“

საბჭოთა ადამიანებს სჯერათ მშობლიური მთავრობის სიბრძნე, მათ ღრმად სწამთ, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმის ხრიკები ვერ ააცდენს პარტიას და აახული სწორი გზიდან, მშვიდობა შენარჩუნებული იქნება.

თავისუფალ ერთა უკლავი კავშირი

დ.ც. ბ. კრემოვი

მიმდინარე წლის 30 დეკემბერს შესრულდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 40 წელი.

სსრ კავშირი მრავალეროვან ხალხთა ურდვევი ოჯახია, სოციალისტური ერების ძმური თანამშრომლობის, ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის ნიშნაში.

„საბჭოთა კავშირი — ნათქვამია პარტიის XXI ყრილობის რეზოლუციაში — მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოა, დამყარებული თანასწორუფლებიან ხალხთა მეგობრობაზე, რომელნიც გაერთიანებული არიან ერთიანი ნებითა და მისწრაფებით განუხრელად იარონ წინ კომუნისტური მშენებლობის გზით“.

სსრ კავშირის შექმნას საფუძვლად უდევს ხელშეკრულება. იგი დაამტკიცა საკავშირო საბჭოების პირველმა ყრილობამ, რომლის მუშაობაში თანასწორუფლებიან საფუძველზე მონაწილეობდნენ მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების წარმომადგენლები.

საბჭოების ყრილობამ გამოხატა რა სოციალისტური რესპუბლიკების ხალხთა ნება-სურვილი, ამ რესპუბლიკათა გაერთიანებით შექმნა საკავშირო სახელმწიფო.

სსრ კავშირის შექმნას საფუძვლად უდევს საბჭოთა ფედერაციის პრინციპები, რაც ფიქსირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის საკავშირო სახელმწიფო, შექმნილი თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე“ — ნათქვამია კონსტიტუციის მე-13 მუხლში.

ნებაყოფლობის და თანასწორობის პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელია ეროვნებათა დაახლოება, მათი ნამდვილი მეგობრობა. ხალხთა მეგობრობა საბჭოთა კავშირის ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. საბჭოთა ხალხის შემადგენელი ძალაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომლის ხელმძღვანელობითაც შეიქმნა, განმტკიცდა და აყვავდა საბჭოთა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავენ სახელმწიფოთა ორი სისტემის თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. რომელიც წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს. საბჭოთა სახელმწიფო არსებობის პირველი დღიდანვე განუხრელად იცავს მშვიდობას, მისი პირველივე დეკრეტები მშვიდობის საქმეს ემსახურებოდნენ.

სსრ კავშირის ჩამოყალიბება მოხდა პროლეტარიატის დიქტატურის ბაზაზე. ამჟამად პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო გადაიზარდა საერთოსახალხო სახელმწიფოდ. სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლა საერთო-სახალხო სახელმწიფოს ფარგლებში მოხდება.

კომუნისმის მშენებლობის კონკრეტული გზები დასახულია საბჭოთა კავშირის

შირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამით, რომელიც მიიღო პარტია XXII ყრილობამ. პარტიის პროგრამა იმის ნათელი გამოხატულებაა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკაში შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმი. სკკპ პროგრამას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, იგი ჩვენი დროის კომუნისტური მანიფესტია.

სსრ კავშირის შექმნის ორგანიზატორია ვ. ი. ლენინი საბჭოთა კავშირის შექმნის იდეურ საფუძველს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმი, კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სრულიად ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება. ახალი წყობილების შექმნას რუსეთში ართულებდა მისი მრავალეროვნო ხასიათი. საჭირო იყო სრული თავისუფლება მინიჭებოდა წარსულში დაჩაგრულ ერებს. აუცილებელი იყო მეფის ხელისუფლების მიერ ერებს შორის დაწერგილი შუღლისა და მტრობის აღმოფხვრა, მათი ურთიერთ დაახლოვება, მათ შორის თანამშრომლობის განმტკიცება, მათი ზნე-ჩვეულებისა, ენისა, ტრადიციებისა და კულტურის მიმართ პატივისცემის დანერგვა.

ამ ამოცანის გადასაჭრელად სრულიად-რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობამ მთავრობის შემადგენლობაში შექმნა ეროვნების საქმეთა სახალხო კომისარიატი. ამავე მიზნით საბჭოთა მთავრობამ და ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნეს „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“ (1917 წ. 15/XI).

დეკლარაციით დადგენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. იგი აღიარებდა რუსეთის ხალხების თანასწორობას, იცავდა მათ სუვერენულ უფლებებს ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას მათი გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნამდე, აუქმებდა ეროვნულ რელიგიურ უპირატესობათა მიხედვით ყოველგვარ შეზღუდვას.

ეს პრინციპები შემდეგში საფუძველად დაედო საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების ჩამოყალიბებას — რსფსრ, ამიერკავკასიის სფსრ და სსრ კავშირის შექმნას. ამ პრინციპებმა ასახვა პპოვეს ყველა საბჭოთა კონსტიტუციაში.

ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის იდეის განხორციელებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის სახალხო კომისარათა საბჭოს მიმართვას „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსულმანისადმი“ (1917 წ. 3/XII). საბჭოთა რუსეთის მთავრობა მუსულმან მშრომელებს ანიჭებდა თვითგამორკვევის უფლებას სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. მოაწყეთ თქვენი ეროვნული ცხოვრება თავისუფლად და შეუფერხებლად, — ნათქვამი იყო მიმართვაში — თქვენ გაქვთ ამის უფლება. იცოდეთ, რომ თქვენ უფლებებს, ისე როგორც რუსეთის ყველა ხალხის უფლებებს, მთელი ძალებით იცავენ რევოლუცია და მისი ორგანოები — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყოველ ერს მიენიჭა უფლება თვითონ გადაეჭრა თავისი ბედი, ჩამოეყალიბებინა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრივი ფორმა, გადაეწყვიტა დარჩენილიყო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში თუ გამოყოფოდა მას ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად.

ცნობილია, რომ ერის თვითგამორკვევის უფლება სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, არ ნიშნავს მის აუცილებელ გამოყოფას. რუსეთში მცხოვრები

ერების დიდმა ნაწილმა არ მოისურვა საბჭოთა რუსეთიდან გამოყოფა. ამის გამო, ავტონომიური პრინციპის საფუძველზე, შეიქმნა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა. საბჭოთა ფედერაციის შექმნა საკანონმდებლო წესით გაფორმდა რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობაზე 1918 წლის იანვარში, როდესაც დამტკიცებული იქნა „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“.

სსრ კავშირის შექმნამდე ერების დაახლოების სხვადასხვა ფორმა იქნა გამოყენებული. სამართლიანად აღნიშნავს ა. ი. ლევიოშკინი, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ისტორია სსრ კავშირის შექმნის გზაზე იცნობს სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო ურთიერთობათა კონფედერაციულ ფორმას¹.

ნებაყოფლობა, მეგობრობა, ურთიერთნდობა, თანასწორუფლებიანობა, ერის თვითგამორკვევის უფლება და მამსაღამე, სუვერენიტეტი — აი რა არის საბჭოთა ტიპის ფედერაციაში საფუძველი ხალხთა შორის დამოკიდებულებისა და საკავშირო სახელმწიფოს შექმნისა.

სსრ კავშირის შექმნას ხელს უწყობდა, აჩქარებდა რესპუბლიკათა შინაგანი სამეურნეო მდგომარეობა, აგრეთვე რთულ საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებული მოვლენები, ქვეყნების გაერთიანებული ძალებით თავდაცვის აუცილებლობა და ამ რესპუბლიკების მშრომელთა ინტერნაციონალური მისწრაფებანი.

საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე ჩვენ უკვე გვექონდა მიღებული მნიშვნელოვანი გამოცდილება რსფსრ-სი და ამიერკავკასიის სფსრ-ის შექმნით. სსრ კავშირის შექმნის წინ ბარტამ ჩაატარა დიდი მოსამზადებელი მუშაობა.

1922 წლის 10 აგვისტოს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიურ-რომ გამოჰყო კომისია სოციალისტური რესპუბლიკების წარმომადგენელთა შემადგენლობით ურთიერთდამოკიდებულების ღონისძიებათა შესამუშავებლად. ამავე წლის 23-24 სექტემბერს კომისიამ განიხილა და დაამტკიცა „რეზოლუციის პროექტი დამოუკიდებელი რესპუბლიკების რსფსრ-სთან ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“, ანუ თეზისები ეგრეთწოდებული „ავტონომიზაციის“ შესახებ. იგი გულისხმობდა დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანებას რსფსრ-ში ავტონომიური რესპუბლიკების უფლებით, სოციალისტურ რესპუბლიკებს თავიანთი წარმომადგენლები უნდა წარეგზავნათ რსფსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში და სახალხო კომისართა საბჭოში და უნდა დაქვემდებარებოდნენ ამ ორგანოთა გადაწყვეტილებებს.

თეზისების ავტორი იყო ი. ბ. სტალინი.

ავტონომიზაციის პრინციპი არ იცავდა დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკების თანასწორობას რსფსრ-სთან, მათ დამოუკიდებლად შესვლას საკავშირო სახელმწიფოში.

დასახელებულ თეზისებს ვ. ი. ლენინი ავადმყოფობის გამო გაცნო გვიან, კერძოდ, 1922 წლის 27 სექტემბერს. მან მკაცრად გააკრიტიკა „ავტონომიზაციის“ პრინციპი. ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ „ავტონომიზაცია“ შელახავდა ეროვნებათა უფლებებს და მოითხოვდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, მათ შორის რსფსრ-ს ნებაყოფლობით შესვლას ახალ სახელმწიფოებრივ გაერთიანება-

¹ А. Е. Лепешкин, А. И. Ким, Н. Г. Мишин, П. И. Романов, Курс советского государственного права, Т. II, 1962 г., ст. 18.

ში, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში. იგი მოითხოვდა ახალ კავშირს, ახალ ფედერაციას, ახალ „სართულს“ — სსრ კავშირის საერთო ფედერალური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შექმნას, რომელსაც დაექვემდებარებოდა როგორც რსფსრ ისე სხვა სოციალისტური რესპუბლიკები.

ამრიგად, ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების, ეროვნებათა თანამშრომლობის ახალი ფორმა. მის მითითებათა შესაბამისად შემუშავდა დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ. ამ დოკუმენტების დამტკიცებით იურიდიულად გაფორმდა სსრ კავშირის შექმნა.

1922 წლის 13-26 დეკემბერს ამიერკავკასიის სფსრ საბჭოების პირველმა, უკრაინის სსრ საბჭოების მეშვიდე, ბელორუსიის სსრ საბჭოების მეოთხე და რსფსრ საბჭოების მეათე ყრილობებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილებები სსრ კავშირის შექმნისა და მასში ნებაყოფლობით გაერთიანების შესახებ.

საკავშირო სახელმწიფოს სუვერენული უფლებები და მოკავშირე სს რესპუბლიკების უფლებრივი მდგომარეობა დაკანონდა ჯერ ხელშეკრულებით სსრ კავშირის შექმნის შესახებ და შემდეგ კი სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციით, აგრეთვე მოკავშირე სს რესპუბლიკების კონსტიტუციებით.

1922 წელს სსრ კავშირში მხოლოდ ოთხი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გაერთიანდა (რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის სფსრ), შემდეგში, შუა აზიის ეროვნული გამიჯვნის, აგრეთვე რიგი ავტონომიური რესპუბლიკის მოკავშირე სს რესპუბლიკად გარდაქმნის შედეგად ამიერკავკასიის სფსრ ლიკვიდაციისა და ბალტიისპირეთის სოციალისტური რესპუბლიკების სსრ კავშირში გაერთიანების შედეგად მოკავშირე რესპუბლიკების რაოდენობა გაიზარდა. დღეისათვის სსრ კავშირში 15 მოკავშირე რესპუბლიკაა გაერთიანებული. გარდა ამ ძირითადი ეროვნულ სახელმწიფოებრივი ერთეულებისა სსრ კავშირში, მოკავშირე რესპუბლიკების მეშვეობით, შედის აგრეთვე 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქი და 10 ნაციონალური ოკრუგი.

სსრ კავშირი ერთიანი, მრავალეროვანი სუვერენული სახელმწიფოა. ფედერაციის სუბიექტები, საკავშირო სახელმწიფოს წევრი სახელმწიფოები ხელშეკრულების შესაბამისად რიგ უფლებებს უთმობენ რესპუბლიკათა კავშირს.

საკავშირო სახელმწიფოს კომპეტენცია ამჟამად განსაზღვრულია სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის 14-ე მუხლით. ისეთი საკითხები, როგორც არის ომისა და ზავის, საგარეო ვაჭრობის, ერთიანი სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმის დადგენის; ფულადი და საკრედიტო სისტემის, ახალი მოკავშირე რესპუბლიკების მიღების და ა. შ. საკითხები მხოლოდ საკავშირო სახელმწიფოს გამგებლობას მიეკუთვნება.

მოკავშირე რესპუბლიკების მიერ საკავშირო სახელმწიფოსათვის აღნიშნული უფლებების გადაცემა გამოწვეულია ჩვენი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პირობებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ფუნქციის განხორციელების ინტერესით. მაგრამ, როგორც ცნობილია, საბჭოთა ტიპის ფედერაცია აგებულია დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე, რითაც დაცულია მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები. მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და მისი უფლებანი დაცულია საკავშირო სახელმწიფოს მიერ.

უკანასკნელ წლებში სკკპ და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებით გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები. პარტიის XX, XXI და XXII ყრილობებმა მიზნად დაისახეს გადაჭარბებითი ცენტრალიზმის უარყოფის გზით, ლენინური დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის თანმიმდევრობითი დაცვით, უზრუნველყონ მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების შემდგომი გაფართოება. თვით რესპუბლიკებში კი ავტონომიური ერთეულებისა და ადგილობრივი საბჭოების უფლებათა გაფართოება.

„კიდევ უფრო განვითარდება — ჩაწერილია სკკპ პროგრამაში — დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობის სწორ შეხამებას ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის მაქსიმალურ განვითარებასთან, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებასთან, მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებასთან“.

სსრ კავშირში ასზე მეტი ერი და ეროვნება ცხოვრობს. მათთვის ვარანტირებულია ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარება, ეროვნული ეკონომიკის გაძლიერება. დაცულია მათი ენა, დადებითი ტრადიციები, ფსიქიკა, კულტურა. ისინი თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე მოწყობილნი არიან ავტონომიურ ერთეულებად.

ეროვნული ჩაგვრის მოსაპოვის გზას პარტია იმთავითვე ხედავდა ავტონომიის მოწყობაში. „ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის მოსასპობად — ამბობს ვ. ი. ლენინი — ფრიალ დიდი მნიშვნელობა აქვს ავტონომიურ, თუნდაც სულ მცირე ოლქების შექმნას მთლიანი, ერთიანი ეროვნული შემადგენლობით“¹.

გარდა იმ სპეციფიკურობისა და განსაკუთრებული ნიშნებისა, რაც ყოველ ერს ახასიათებს, სოციალისტური ერების ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად ვითარდება საერთო-საკაცობრიო, ინტერნაციონალური კულტურაც. ამ გზით ხდება ერების შემდგომი დაახლოება. პარტია გვასწავლის, რომ ეროვნული ფორმები კი არ ქვედებიან, არამედ სახეს იცვლიან, სრულყოფილი ხდებიან, ერთმანეთს უახლოვდებიან, თავისუფლდებიან ყოველივე მოძველებულისაგან, რომ თვითეული ერის კულტურული საგანძური სულ უფრო მეტად მდიდრდება ქმნილებებით, რომლებიც ინტერნაციონალურ ხასიათს იძენენ.

სსრ კავშირში დაცულია ყველა ერისა და რასის თანასწორუფლებიანობა. საკავშირო სახელმწიფო გამოირიცხავს რა კუთხურობას, მეტ დახმარებას უწევს იმ ერებს, რომლებსაც თავისი ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით დახმარება უფრო ესაჭიროება. ჩვენი სახალხო-სამეურნეო გეგმები გამომდინარეობს ლენინური ეროვნული პოლიტიკიდან და უზრუნველყოფს ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარების ფართო შესაძლებლობებს.

საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცებაში გადაწყვეტი როლი ეკუთვნის დიდ რუს ხალხს. მისი ხანგრძლივი და სისტემატური დახმარების გარეშე საბჭოთა ერები ვერ მიღწევდნენ ასეთ წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე, ვერ განახორციელებდნენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს. თვითეულ საბჭოთა რესპუბლიკას შეუძლია შემდგომ აყვავდეს და განმტკიცდეს მხოლოდ სსრ კავშირის მოძმე სოციალისტური ერების დიად ოჯახში.

განვლილი 40 წელი გვიჩვენებს თუ როგორ მიღწიეს უდიდეს წარმატებებს თავიანთ განვითარებაში ძველი რუსეთის წინათ ჩაგრულმა და ჩამორჩენილმა ერებმა, როგორ ჩამოყალიბდნენ ისინი სოციალისტურ ერებად.

პარტიის XX ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა ცენტრალურა კომიტეტის სახელით გარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ „სოციალიზმი არა თუ არ სპობს ეროვნულ განსხვავებებსა და თავისებურებებს, არამედ, პირიქით, უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარებასა და აყვავებას“.

განვლილი 40 წლის მანძილზე სსრ კავშირი იქცა ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ მსოფლიოში. იგი პირველ ადგილზე დგას მეცნიერების განვითარების დონით. ჩვენი სახელმწიფო, როგორც ეს კარგად აღნიშნა ამხ. ა. ნ. კოსიგინმა მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავზე, ამადღა „ზამთრის სასახლის შტურმიდან კოსმოსის შტურმამდე“.

სოციალისტურ სახელმწიფოთა სისტემის შექმნამ საბოლოოდ განამტკიცა სოციალიზმის პოზიციები მსოფლიო მასშტაბით.

სსრ კავშირში სოციალიზმმა გაიმარჯვა არა მარტო სრულად, არამედ საბოლოოდაც. ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნიზმის გაძლიერი მშენებლობის პერიოდში. როგორც პარტიის პროგრამაშია მითითებული საბჭოთა რესპუბლიკაში ერთად ცხოვრობენ და ერთსულოვნად შრომობენ მრავალი ეროვნების ადამიანები, რამდენადაც ყველა ერი თანასწორუფლებიანია, მათი ცხოვრება შენდება ერთიან სოციალისტურ საფუძველზე, თანაბრად კმაყოფილდება თვითეული ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, ყველა ისინი გაერთიანებული არიან საერთო სასიცოცხლო ინტერესებით, ერთ ოჯახად და დარაზმული მიდიან ერთიანი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინური თანამშრომლობა უბადლო ნიმუშია ბურჟუაზიის მარწუხებისაგან განთავისუფლებულ ყველა ერის მშრომელთათვის.

სსრ კავშირის ხალხები, საბჭოთა კავშირის კომუნისტურა პარტიის ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო მალლა ასწევენ ინტერნაციონალიზმის დროშას, განამტკიცებენ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას, გააძლიერებენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, შექმნიან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ააშენებენ ყველაზე სამართლიან საზოგადოებას — კომუნიზმს.

სამშობლოს ინტერესების საღარაჯოვე

ბ. კაცინტაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო
უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

უდიდეს პოლიტიკურ და შრომით აღმავლობას განიცდის ამჟამად საბჭოთა ხალხი. ჩვენი ქვეყანა შეუდგა კომუნისმის გაშლილ მშენებლობას. საბჭოთა კავშირის ეკონომიკა და კულტურა მკვეთრი აღმავლობის გზაზეა. წარმატებით ზორციელდება შვიდწლიანი გეგმა — საბჭოთა ქვეყნის საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების გეგმა. კომუნისმის მშენებელი საბჭოთა ხალხის შესანიშნავ გამარჯვებათა დაგვირგვინებას წარმოადგენს საბჭოთა ადამიანების ტრიუმფალური ფრენა კოსმოსში, რაც პირველად განხორციელდა კაცობრიობის ისტორიაში ჩვენი დიადი სამშობლოს მიერ.


საერთო-სახალხო მოწონება ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც აკონკრეტებენ და ავითარებენ სკკპ პროგრამის დებულებებს, ახალ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენენ მთელი ქვეყნისა და პარტიის ცხოვრებაში. პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება დაეხმარება პარტიას, მშრომელებს კიდევ უფრო სრულად შეასხას ხორცი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპს, დააჩქაროს პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული კომუნისმის მშენებლობის დიადი პროგრამის შესრულება.

ასეთ შესანიშნავ ვითარებაში აღნიშნავს თავის სახელოვან ორმოცდასუთი წლისთავს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების კოლექტივი.

სახელმწიფო უშიშროების საბჭოთა ორგანოები იშვინ დიდი სახალხო რევოლუციის — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქარცეცხლში. დაზადებისთანავე მისი ბასრი მახვილი მიმართული იყო დამხობილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლებიც ხელყოფდნენ რევოლუციის მონაპოვარს. როდესაც ბურჟუაზია მიხვდა, რომ პირდაპირი იერიშით საბჭოთა ხელისუფლებას ვერაფერს დააკლებდა, მან ფართოდ დაიწყო ბრძოლის ისეთ სახეობათა გამოყენება, როგორცაა — საბოტაჟი, შეთქმულება, ამბოხება. ახასიათებდა რა შექმნილ მდგომარეობას ვ. ი. ლენინი ბარათში ფ. ე. ძერჟინსკისადმი მიუთითებდა: „ბურჟუაზია, მემამულეები და ყველა მდიდარი კლასი მთელ ძალ-ღონეს იკრებენ ძირი გამოუთხარონ რევოლუციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მუშების, მშრომელებისა და ექსპლოატირებული მასების ინტერესები... საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება კონტრრევოლუციონერებთან და მესაბოტაჟეებთან საბრძოლველად“¹.

გამოდიოდა რა აქედან, სახალხო კომისართა საბჭომ 1917 წლის 20 დეკემბერს საჭიროდ მიიჩნია შეექმნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ საბრძოლველად.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 435.



საგანგებო კომისიის ორგანოები თავისი ჩასახვიდანვე წარმოადგენდნენ ხალხის, მათი ძირეული ინტერესების დაცვის ორგანოებს. იგი ეყრდნობოდა მშრომელი მასების მხურვალე მხარდაჭერას. მის საქმიანობას საფუძვლად ედო პროლეტარული ჰუმანიზმის მაღალი პრინციპები.

საგანგებო კომისიას სათავეში ედგნენ ადამიანები, რომლებიც ხალხის წილიდან იყვნენ გამოსულნი. მის ხელმძღვანელ ორგანოში — კოლეგიაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ: მუშები ი. კ. ქსენოფონტოვი და ი. ნ. პეტერსი, ყოფილი მოჯამავირე მ. ი. ლაცისი (სურაბსი), პროფესიული რევოლუციონერები ბ. რ. მენუინსკი, მ. ს. კედროვი და რევოლუციისათვის თავდადებული სხვა ადამიანები. საგანგებო კომისიის სათავეში პარტიამ დააყენა თავისი ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე — ფ. ე. ძერჟინსკი.

თავისი მუშაობის პირველი დღეებიდანვე სახელმწიფო უშიშროების საბჭოთა ორგანოები გამოდის, როგორც კომუნისტური პარტიის შეიარაღებული რაზმი, რომელიც იმყოფება საბჭოთა სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1919 წლის 9 თებერვლის მიმართვაში კომუნისტებისადმი — ჩეკისტებისადმი ნათქვამია, რომ საგანგებო კომისია შექმნილია და არსებობს, როგორც პარტიის ორგანო, რომელიც მუშაობს პარტიის დირექტივებით და მის კონტროლს ექვემდებარება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს მითითება ფუძემდებლურია და წარმოადგენს ურყევ კანონს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისათვის.

თავისი მოღვაწეობის პერიოდში საგანგებო კომისიამ გადამჭრელი ზომებით აღკვეთა იატაკქვეშეთის კონტრრევოლუციონერთა შეიარაღებული გამოხდომები, შინაგანი და საერთაშორისო კონტრრევოლუციონერთა შეთქმულებები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მიერ 1918 წლის ივლისში იაროსლავში, სამარასა და მოსკოვში მემარჯვენე და მემარცხენე ესერების ამბოხების ლიკვიდაციამ, ლოკარტის შეთქმულების აღკვეთამ, რომელიც არსებითად წარმოადგენდა ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაზვერვის შეთქმულებას, ე. წ. „ეროვნული ცენტრის“, „ტაქტიკური ცენტრის“ და იმ დროისათვის არსებული სხვა მრავალი კონტრრევოლუციური ორგანიზაციების განადგურებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შინაგანი და გარეშე მტრების წინააღმდეგ ჩვენი სახელმწიფოს ბრძოლის ისტორიაში.

ახსიათებდა რა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის საქმიანობას ვ. ი. ლენინი ამბობდა:

„ეს არის ის დაწესებულება, რომელიც წარმოადგენდა გამანადგურებელ ლახვარს აურაცხელ შეთქმულებათა წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებისადმი აურაცხელი თავდასხმების წინააღმდეგ, იმ ადამიანთა მხრივ, რომლებიც გაცილებით ძლიერნი იყვნენ ჩვენზე... ასეთი დაწესებულების გარეშე მშრომელთა ხელისუფლებას არსებობა არ შეუძლია მანამდე, სანამ ქვეყნად იარსებებენ ექსპლოატატორები“.

1922 წლის დასაწყისისათვის ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარება მოითხოვდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, მათ შორის, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის გარდაქმნას. პროლეტარიატის დიქტატურის ამ ორგანოს საქმიანობის განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც აუცილებელი იყო

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დროს, უკვე აღარ შეეფერებოდა მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის ახალ პირობებს.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით საბჭოების IX ყრილობამ, აღნიშნა რა სპეციალური დადგენილებით „სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ორგანოების გმირული საქმიანობა სამოქალაქო ომის ყველაზე მწვავე პერიოდში“ და მისი უდიდესი დამსახურება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისა და განმტკიცების საქმეში, მიიღო გადაწყვეტილება შეეზღუდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის საქმიანობის წრე და გაეძლიერებინა საბჭოთა რესპუბლიკის კანონების დარღვევათა ბრძოლის საქმეში სასამართლო ორგანოების როლი.

1922 წლის 6 თებერვალს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია რეორგანიზებულ იქნა რსფსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ, ხოლო შემდეგში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ.

გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ მთლიანად შეითვისა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სახელოვანი პარტიული ტრადიციები.

კომუნისტური პარტია ზრდიდა ჩეკისტებს კომუნისტების საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. პარტია ჩეკისტებს უწოდებდა თავის შეიარაღებულ რაზმს. პარტია, ვ. ი. ლენინი ასწავლიდნენ ჩეკისტებს განუწყვეტლივ განმტკიცებინათ კავშირი მასებთან, დაყრდნობოდნენ მშრომელებს, მტრებთან შეუირებელ ბრძოლასთან შეეხამებინათ მასებში ახსნა-განმარტებითი მუშაობა. პარტია მოითხოვდა, რომ ჩეკისტები ყოველთვის დაუნდობელი ყოფილიყვნენ მტრის მიმართ და ამასთან ერთად მზრუნველობით მოჰკიდებოდნენ პატიოსანი საბჭოთა მოქალაქეების უფლებებს.

პიროვნების კულტმა და მასთან დაკავშირებულმა პარტიული ნორმების დარღვევებმა, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებამ და სხვა უკანონობამ დიდი ზიანი მიაყენა პარტიულ, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობას ყველა დარგში. პიროვნების კულტის შედეგებმა მძიმე კვალი დააჩნია სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობასაც. სარგებლობდნენ რა სტალინის ნდობით, პარტიისა და ხალხის მტრები ეყოვი, ბერია, აბაკუმოვი, რომლებიც სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელობაში გაძვრნენ, ჩადიდოდნენ თვითნებობასა და უკანონობას; ფალსიფიცირებულ ბრალდებათა საფუძველზე ისინი ანადგურებდნენ პატიოსან. პარტიის ერთგულ პარტიულ, საბჭოთა და სამხედრო მუშაკებს. მათ შორის დაიღუპა ბევრი ძველი ჩეკისტი, ფ. ე. ძერჯინსკის თანამებრძოლი.

მაგრამ ამ მძიმე პერიოდშიც, შეცდომებისა და დარღვევების მიუხედავად, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები კვლავაც მტკიცედ იდგნენ სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ინტერესების სადარაჯოზე. ამაზე ლაპარაკობს ომისწინა პერიოდში გერმანელი ფაშისტებისა და იაპონელ დაზვერვათა ჯაშუშებისა და დივერსანტების მხილება, დიდი სამამულო ომის პერიოდში ჩეკისტების, მათ შორის საქართველოს ჩეკისტების წარმატებითი ბრძოლა მტრის აგენტურასთან, ფრონტსა და მტრის ზურგში.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს გერ-

მანელი ფაშისტების ჯაშუშურ-დივერსიული აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის. გერმანელი აგენტების გამოვლენისა და შეპყრობინათვის განხორციელებული ღონისძიებების დროს სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ფართოდ ეყრდნობოდნენ მოსახლეობას, კერძოდ გამანადგურებელი ბატალიონების დახმარებას, რომლებიც შეიქმნენ გერმანელი პარაშუტისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამის შედეგად შეპყრობილ იქნა ასობით გერმანელი აგენტი.

როდესაც პარტიამ მოუწოდა საბჭოთა ხალხს გაეჩაღებინა მტრის ზურგში პარტიზანული ბრძოლა, უშიშროების ორგანოებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიზანული მოძრაობის გამლაშეში. სახელგანთქმული ჩეკისტების, პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელების — ორლოვსკის, მედვედევის და სხვათა სახელები სამუდამოდ შევიდნენ დიდი სამამულო ომის გმირულ მატეანეში.

გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ ჩეკისტების ოპერატიული საბრძოლო ჯგუფების ბევრ მონაწილეს საბრძოლო დამსახურებისათვის, სპეციალურ დავალებათა სანიშნოდ შესრულებისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. ათასობით ჩეკისტი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით.

ომისშემდგომ პერიოდში ქვეყნის შიგნით სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობაში დიდი ადგილი ეჭირა დასავლეთ უკრაინასა და ბელორუსიაში, ლიტვასა, ლატვიასა და ესტონეთში შეიარაღებული ნაციონალისტური იატაკქვეშეთის ლიკვიდაციას. სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ამ ბრძოლას აწარმოებდნენ პარტიულ, საბჭოთა აქტივთან, კომკავშირელებთან და კოლმეურნეებთან ერთად, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ შეიარაღებული ნაციონალისტური ელემენტების ლიკვიდაციაში.

კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით უდიდესი მუშაობა გასწიეს პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში ლენინური პრინციპებისა და სტილის აღდგენისათვის.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის ივლისის პლენუმის შემდეგ პარტიამ განახორციელა დიდი ღონისძიებანი სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციისათვის, სოციალისტური კანონიერების აღდგენისათვის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ზუსტად განისაზღვრა მისი ადგილი საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში, მისი ამოცანები, უფლებები და მოვალეობანი; მთლიანად აღდგენილია პარტიული ხელმძღვანელობა და კონტროლი სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობისადმი; გაძლიერდა საპროკურორო ზედამხედველობისა და სასამართლოების როლი სახელმწიფო დამნაშავეთა გამოძიების საქმეში; გადაისინჯა საქმეები და რეაბილიტირებულ იქნა უდანაშაულოდ რეპრესირებული მოქალაქენი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მთელი საქმიანობისათვის იმას, რომ სკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, აგრეთვე იმის შედეგად, რომ პარტიული ორგანიზაციებში აქტიური მუშაობით უფრო ღრმად სწავდებიან კომუნისტი ჩეკისტების სამსახურებრივ საქმიანობას, უშიშროების ორგანოების მუშაობაში ამაღლდა მინდობილი საქმისადმი პარტიული პასუხისმგებლობის გრძნობა და მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისადმი პარტიული მიდგომა.

სოციალისტური კანონიერების განუხრელ დაცვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში. „კომუნიზმი ნიშნზე გადასვლა — ნათქვამია სკკპ ახალ პროგრამაში — ნიშნავს პიროვნების თავისუფლებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებების ყოველი ღონისძიებით განვითარებას... კომუნიზმს მშრომელებისათვის მოაქვს ახალი დიდი უფლებანი და შესაძლებლობანი“¹.

ამიტომ პარტია ამოცანად სახავს უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა, აღმოფხვრილ იქნას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა.

სოციალისტური კანონიერების პრინციპის დაცვას სახელმწიფო უშიშროების ორგანოები იმით ახორციელებენ, რომ დაუნდობლად და გადამჭრელად ებრძვიან სოციალისტურ სახელმწიფოს ნამდვილ მტრებს, რომლებიც არღვევენ საბჭოთა კანონებს, ხელყოფენ საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას. ამასთან ერთად სახელმწიფო უშიშროების ორგანოები იცავენ პატიოსანი საბჭოთა ადამიანების კანონიერ უფლებებს. სოციალისტური კანონიერების დაცვის ეს ორი მხარე წარმოადგენს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისადმი ხალხის ნდობის აუცილებელ წინაპირობას, რის გარეშეც შეუძლებელია ჩეკისტების წარმატებითი მოღვაწეობა.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისადმი ხალხის ნდობის აღდგენის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მრავალი საბჭოთა მოქალაქე დიდ დახმარებას უწევს ამ ორგანოებს ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო უშიშროების განმტკიცების ამოცანების გადაჭრაში. ბევრი სერიოზული სახელმწიფო დანაშაული აღკვეთილ იქნა, ხოლო უკვე ჩადენილი — დროულად იქნა გახსნილი მოქალაქეთა მხრივ შესული სიგნალების წყალობით. მათი დახმარებით შეპყრობილ იქნა უცხოეთის არა ერთი ჯაშუში.

ახორციელებს რა პარტიის მითითებას დამნაშაევობასთან ბრძოლაში მთელი საზოგადოებრიობის ჩაბმის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კვომიტეტი საჭირო მუშაობას აწარმოებს მშრომელებთან კავშირის განმტკიცებისათვის, ფართოდ ეყრდნობა საზოგადოებრიობის დახმარებას. ეს დახმარება გამოიხატება სახელმწიფო საზღვრის დაცვაში და სხვა მიმართებით. სისაზღვრო რაიონებში წარმატებით მოქმედებენ სახალხო რაზმეულები, რომელთა უნარიანი და თავდადებული მოქმედებით შეპყრობილია არა ერთი დამნაშავე.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოები მუდმივად გრძნობენ რესპუბლიკის მშრომელების უანგარო დახმარებას. ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მშრომელთა მხრივ სიფხიზლის გამოჩენის არა ერთი მაგალითი.


სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს და მთელ საბჭოთა ხალხს მუდამ ახსოვს ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მითითება. სკკპ XXII ყრილობაზე იგი ამბობდა: „სანამ არსებობენ იმპერიალისტი აგრესორები, ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ, თოფის წამალი მშრალი უნდა გვქონდეს, ვსრულყოფდეთ სოციალისტური ქვეყნების თავდაცვას, მათ შეიარაღებულ ძალებს და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს“².

1 სკკპ XXII ყრილობის მასალები, 1962 წ., გვ. 495.

2 იქვე, გვ. 15.

2. საბჭოთა სამართალი № 6.





ამჟამად, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისა და კომუნისმის გამწვანების მშენებლობის პირობებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში დასაყრდენი ქანება ჰპოვა სახელმწიფო დანაშაულის თავიდან აცილებით პროფილაქტიკურ-მა საქმიანობამ, რომელსაც ადრევე მიმართავდა საგანგებო კომისია და გაერთიანებული პოლიტსამმართველო იმ პირებს მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული თავიანთი პოლიტიკური შეუგნებლობის გამო, მტრული ელემენტებისა და ბურჟუაზიული პროპაგანდის გავლენით.

ამრიგად, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები აქტიურად ჩაებნენ და მონაწილეობენ საბჭოთა სახელმწიფოს აღმზრდელობითი ფუნქციის განხორციელებაში, თანამედროვე ეტაპზე დამნაშავეობასთან ბრძოლის ამოცანების გადაწყვეტაში.

იმისათვის, რომ დახშული იქნეს ყველა ხვრელი, რომელთა გამოყენებითაც ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ სახელმწიფოს, საჭიროა, როგორც აღნიშნავდა თავის საანგარიშო მოხსენებაში XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვი, მთლიანად გამოვიყენოთ როგორც საბჭოთა კანონები, ისე საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად ამჟამად სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მახვილი მიმართულია მტრების მიმართ ქვეყნის ვარეთ, იმპერიალისტურ დაზვერვათა წინააღმდეგ. მაგრამ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამო ადვილად ექცევიან იმპერიალისტური პროპაგანდის გავლენის ქვეშ, ჩადიან სერიოზულ ანტისაზოგადოებრივ ქმედობას. ასეთი პირების მიმართ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ახორციელებენ გამაფრთხილებელ ღონისძიებებს. ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩამდენი პირები აღზრდისათვის გადაეცემა მშრომელთა კოლექტივებს.

ასეთი მაგალითები ბევრია, მოვიყვან მხოლოდ ერთ მათგანს:

ბორჯომის რაიონში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დააკავეს ი. მინაევი, 1938 წელს დაბადებული, საქავშირო ალკა წევრი. იგი ცდილობდა სასაზღვრო ზონაში შეპარვას და იქ მიიმე დანაშაულის ჩადენას.


მხედველობაში იქნა რა მიღებული მინაევის ასაკი, მისი გულწრფელი აღიარება, პირადი თხოვნა და სხვა მოტივები, გადაწყდა არ მიგვეცა იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში, გაგვეტარებია მის მიმართ აღმზრდელობითი ზომები.

თუ როგორ იმოქმედა მინაევეზე ამ ღონისძიებამ, ჩანს მისი განცხადებიდან, სადაც კერძოდ წერია:

„მე მივხვდი, რომ დავიბენი, ვცხოვრობდი არა ისე, როგორც ცხოვრობს მშრომელი საბჭოთა ხალხი. საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი დამეხმარა მე მეპოვნა ცხოვრების სწორი გზა, მან ფეხზე დამაყენა“.

მაგრამ გვხვდებიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც შეგნებულად ადგებიან დანაშაულებრივ გზას. ცხადია, რომ მათ მიმართ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ლებულობენ და მომავალშიც გაატარებენ დასჯითი ხასიათის ღონისძიებებს.

განა შეიძლება რაიმე დავუთმოთ ადამიანს, რომელიც სამშობლოს დაღატაკისა და ჯანუშობის გზას დაადგა? განა რაიმე შეღავათის ღირსია ვარეწარი პენკოვსკი, რომლის დანაშაულებრივი საქმიანობა კარგად არის ცნობილი პრესიდან. იმპერიალისტური სახელმწიფოების დაზვერვა არაფერს თაკილობს იმი-



სათვის, რომ მოისყიდონ პენკოვსკი და მისი მსგავსი პირები — საზოგადოების ნაძირალეები.

ამერიკელი მწვერავები ხშირად შემოიხედავენ ხოლმე ჩვენს რესპუბლიკაშიც — საქართველოში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ამას წინათ დაამთავრა გამოძიება ვანსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა — მხეიძის, ორეზოვისა და სულაქველადის მიმართ, რომლებმაც პენკოვსკის მსგავსად გაყიდეს სამშობლოს ინტერესები და, საბოლოოდ, ცდილობდნენ თავი გადაერჩინათ სამარცხვინო გაქცევით საზღვარგარეთ.

ეს მორალურად გახრწნილი ადამიანები დანაშაულებრივ გზას დაადგნენ სისტემატური ლოთობის, უზრუნველი ცხოვრების შედეგად. ისინი ხვდებოდნენ უცხოელებს, ღებულობდნენ მათგან საჩუქრად ყოველგვარ ძველმანებს, ეწეოდნენ სპეკულაციას და სხვა დანაშაულს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მზრუნველობის შედეგად განმტკიცდა რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და მისი ადგილობრივი აპარატის კადრები. ძველ გამოცდილ ჩეკისტებთან ერთად ახლა წარმატებით მუშაობენ და ძნელ, მაგრამ საპატიო საქმიანობაში თავიანთი წვლილი შეაქვეთ ახალგაზრდა განათლებულ მუშაკებს, რომლებიც ჩვენთან მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა კომკავშირული სამუშაოდან.

ჩვენს კოლექტივშია ათობით მუშაკი, რომელთა თავდადებული და უმწიკვლო მუშაობა არაერთხელ აღნიშნულა მთავრობის მაღალი ჯილდოებით. მხოლოდ 1961-62 წ.წ. 100 კაცზე მეტი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, ათ მუშაკზე მეტი დაჯილდოებულია საპატიო ჩეკისტის ნიშნით; ბევრი წახალისებულია სსრ კავშირის და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტების მიერ.

სკკპ XXII ყრილობამ გაითვალისწინა რა რთული საერთაშორისო ვითარება, იმის შესაძლებლობა რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შეუძლიათ წავიდნენ ავანტიურაზე, მოუწოდა საბჭოთა ხალხს გააძლიერონ სიფხიზლე, ყოველთვის მზად იყვნენ იარაღით ხელში დაიცვან თავისი სამშობლო.

თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო მაღლდება პასუხისმგებლობა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისა, რომლებიც იმყოფებიან მტრული დაზვერვისა და მისი აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე. პარტიამ და მთავრობამ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს დააკისრა ამოცანა, დროულად გამოიცნოს და აღკვეთოს. იმპერიალისტური დაზვერვის მტრული ზრახვები, რათა ხელი არ შეეშალოს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებით შრომას.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი თავისი გმირული შრომით აგებს დედამიწაზე ყველაზე სამართლიანი საზოგადოების — კომუნისმის ღირებულ შენობას.

კომუნისმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას საბჭოთა შეიარაღებულ ძალებთან ერთად იცავენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკებიც, რომლის შემადგენელი და განუყოფელი რგოლია ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიც.

დგანან რა თავიანთ საბრძოლო ვახტზე, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები ცდილობენ ფხიზლად დაიცვან სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები, საბჭოთა ხალხის წმიდათა წმიდა მონაპოვარი.



საბჭოთა მდიდრების დღეა



თანამედროვეობის მოთხოვნების ღონეზე

შ. ნ. როზაძე

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის
დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს
უფროსის მოადგილე

საბჭოთა მილიციის ორგანოებს, რომელიც ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ინიციატივით შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამე დღეს, დიდი და პასუხსაგები ამოცანები აკისრია საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის საქმეში.

თავისი არსებობის 45 წლის მანძილზე საბჭოთა მილიციის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ხალხის ინტერესებისათვის, მათი სამსახურისათვის თავდადებულ მუშაკთა სახელები, რომლებმაც სიმტკიცის, გამბედაობის, მამაცობისა და გამჭრიახობის გამოჩენისათვის საყოველთაო-სახალხო ყურადღება და სამშობლოს მაღალი ჯილდოები დაიმსახურეს.

საბჭოთა მილიციის მუშაკები მუდამ გარემოსილი არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიური ზრუნვით. ამის ნათელი დადასტურებაა პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ ხანებში გატარებული ღონისძიებები, რომლებმაც კიდევ უფრო აამაღლეს საბჭოთა მილიციის ორგანოების ავტორიტეტი, გააფართოვეს მისი ფუნქციები და უფლებები.

საბჭოთა საქართველოს, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მილიციის მუშაკებში უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ

ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახლახან მიღებულმა დადგენილებამ „საბჭოთა მილიციის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და ცნობამ ყოველწლიური დღესასწაულის „საბჭოთა მილიციის დღის“ დაწესების შესახებ. ამიერიდან ყოველი წლის 10 ნოემბერს საბჭოთა ადამიანები ზეიმს გადაუხდიან თავისი ინტერესების ერთგულ დამცველებს, ჩვენი ქვეყნის მამაც შვილებს, რომლებიც შეუნაცვლებელ ვახტზე დგანან კომუნისმის მშენებელ საბჭოთა ადამიანების სიმშვიდისა და ინტერესების დაცვის საგულშაოგზე.

საბჭოთა მილიციის ყოველდღიური ცხოვრება აღსავსეა გულმოდგინე შრომით, სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლით, რომელიც მიმართულია საბჭოთა კანონიერების შემდგომი განმტკიცების, დანაშაულობათა აღკვეთა-აცილებისა და ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში საზოგადოებრიობის როლის ამაღლებისათვის.

იმისათვის, რომ აღმინისტრაციული ორგანოების, განსაკუთრებით კი საბჭოთა მილიციის ორგანოების მუშაობა აყვანილ იქნას თანამედროვეობის მოთხოვნების დონემდე, სკკპ და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მილიციის საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას, მათი ბრძო-

ლისუნარიანობის ამაღლებას, არსებულ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას წარსულის ისეთ საზიზღარ გადმონაშთებთან ბრძოლაში, როგორც არის ლოთობა, მუქთახორობა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენები.

ჩვენი რესპუბლიკის მილიციის ორგანოებმა, რომლებიც გარემოსილნი არიან საყოველთაო-სახალხო ყურადღებითა და მზრუნველობით, უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა, უფრო ოპერატიული, მოქნილი და ქმედითი გახდა მათი საქმიანობა.

გამომყდავებული იქნა შენიღბულად მოქმედი მტაცებლების, კომბინატორებისა და სხვა ბოროტმოქმედთა მთელი რიგი ჯგუფები; მნიშვნელოვნად გაიზარდა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა აცილება-აღკვეთის შემთხვევები და მიღწეული იქნა ასეთ დანაშაულთა საგრძნობი შემცირება.

ესმით, რა პარტიისა და მთავრობის მიერ მილიციის ორგანოების დასამული ამოცანების მთელი სერიოზულობა და სირთულე, ჩვენი რესპუბლიკის მილიციის პირადი შემადგენლობა თავგანწირვით იბრძვის მათი კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

საქართველოს მილიციის რიგებში ბევრია ისეთი მუშაკები, რომლებიც მოხერხებულად და მამაცურად მოქმედებენ განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად.

მილიციის ფოთის საქალაქო განყოფილების უფროს ოპერატიულ რწმუნებულს ამხ. ნ. ხურციას (ახლა იგი ამ განყოფილების უფროსის მოადგილეა) შექმნილი ვითარების გამო მარტო მოუხდა შებმა მიმალვაში მყოფ სამ მეტად საშიშ დამნაშავესთან, რომლებმაც მას დანით შვიდი ჭრილობა მიაყენეს. მიუხედავად იმისა, რომ ხურცია სისხლისა-

გან იცლებოდა, მან უკანასკნელი ძალღონე მოიკრიფა, დაედევნა ბოროტმოქმედთა და შემთხვევის ადგილას მისულ მოქალაქეთა დახმარებით შესძლო მათი შეპყრობა.

ჩვენს სიამაყეს წარმოადგენს უშიშარი და გაუტეხელი მებრძოლი, რესპუბლიკის მილიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ვ. თალაკვაძე, რომლის პირად ანგარიშზე ათზე მეტი შეპყრობილი ბანდიტი და მძარცველია, რომელთაც სასჯელის უმადლესი ზომა—დახვრეტა მიესჯათ.

თავდადებულად მუშაობს ზემდეგი გ. მუზაშვილი, რომელმაც მარტო მიმდინარე წელს დაადგინა და შეიპყრო 17 სისხლის სამართლის დამნაშავე, მათ შორის მძარცველები და მკვლელები.

დანაშაულობასთან ბრძოლის მოწინავე ხაზზე თავი ისახელეს მილიციის საქმის პატრიოტებმა ხ. გაგუამ, ს. მამულაშვილმა, ა. ჩიჩუამ, ა. მელიქ-ოგანიანმა, ა. ბობუამ, გ. შალამბერიძემ, ა. გაგუამ, გ. თაყაიშვილმა, გ. ლომინეიშვილმა, დ. კატუკიამ, ვ. ჩხიკვიშვილმა, ბ. მესხმა, ა. კულევამ, ვ. სინჯიაშვილმა, ა. ბზიშვილმა, ვ. გენგიურმა, მ. გუჩმაზაშვილმა და მრავალმა სხვამ.

კომუნისტების გაშლილი მშენებლობის პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში სულ უფრო ქმედით ადგილს იჭერს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, მაღლდება და ძლიერდება საზოგადოების როლი დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი მილიციის მუშაობაში უფრო აქტიურ და ფართო მონაწილეობას იღებენ მშრომელთა ფართო ფენები. ეს გასაგებიცაა, მილიცია მთელი თავისი საქმიანობით ხალხს ემსახურება, მისი ძალა და ძლიერება მასებთან კავშირშია.

საბჭოთა ადამიანები უკვე დიდი ხანია ხედავენ და გრძნობენ მოსახლეობის

აქტიურ როლს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში. ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში ათასობით სახალხო რაზმელი მთელი შემართებით დგას წესრიგის დაცვის სადარაჯოზე, ისინი მილიციის მუშაკების მხარდამხარ ღებულობენ ქმედით ზომებს წესრიგის დამრღვევთა გამოსავლინებლად, რომ ამით შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმულ საბჭოთა ადამიანებს შეუქმნან ნორმალური პირობები ცხოვრებისა და დასვენებისათვის.

მარტო ის ფაქტი, რომ საქართველოში წესრიგის დაცვის ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებში ჩაბმულია 80 ათასზე მეტი კაცი, ნათლად მეტყველებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მშრომელთა თვითმოქმედი ორგანიზაციებისა და მთელი საბჭოთა საზოგადოების მჭიდრო ურთიერთმოქმედებაზე დანაშაულებრივი ქმედობის აღმოფხვრისათვის წარმატებით ბრძოლის საქმეში.

სკკპ და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მილიციის ორგანოების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქითხს. ამაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ახალი დებულება საბჭოთა მილიციის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია და ძალაშია შესული 1962 წლის პირველი ოქტომბრიდან. ახალ დებულებაში აღბეჭდილია და უფრო განვითარებულია მილიციის ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპები, განსაზღვრულია თანამედროვეობის მოთხოვნებით საბჭოთა მილიციის ამოცანები, უფლებები და მოვალეობანი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს იმას, რათა უფრო სრულყოფილი, ბრძოლისუნარიანი გახ-


დეს მილიციის ყველა აპარატისა და ქვეგანაყოფის საქმიანობა, ამაღლდეს მილიციის მუშაკების ოპერატიულობისა და კულტურის დონე, მიღწეულ იქნას მოწინავე გამოცდილების განზოგადობა და მთელი ძალების მობილიზება სოციალისტური კანონიერების უმკაცრესად დაცვის უზრუნველყოფისათვის.

მაღლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველდღიურ კონკრეტულ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ მილიციის ორგანოებს, პრაქტიკულად ეხმარებიან პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უკეთ მოწყობასა და სამსახურებრივი საქმიანობის გაუმჯობესებაში. მათი დახმარებით განხორციელდა დიდი მუშაობა მილიციის ორგანოების შემოწმებული და შრომისმოყვარე კადრებით დაკომპლექტებისათვის, მილიციის ორგანოებში შემთხვევით მოხვედრილ მუშაკებისაგან მათი გაწმენდისათვის.

ამჟამად მილიციის ორგანოებში სამუშაოდ მოდიან მაღალკვალიფიციური მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომელთა უმრავლესობას იურიდიული განათლება აქვს.

მიღებულია ზომები მილიციის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფისათვის; მათ განკარგულებაშია ტრანსპორტი, კავშირგაბმულობისა და ტექნიკის უახლესი ნიმუშები. საბჭოთა მილიცია დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად აღჭურვილია საჭირო უფლებებით, მას საიმედოდ იცავს საბჭოთა კანონიერება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მილიციის ცხოვრებაში დღეს ახალი პერიოდი. ამიტომ საჭიროა, მილიციის მუშაკებმა გონივრულად გამოიყენონ მათზე მინიჭებული უფლებები, ყველაფერი მოახმარონ საბჭოთა კანონი-



ერების განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს. მილიციაში არ შეიძლება იყოს თანამდებობის ბოროტად გამოყენების, საბჭოთა მოქალაქეების კანონიერი უფლებების შელახვის შემთხვევები. მილიციის მუშაკები ყველაზე მეტად თვითონ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი თავიანთი ავტორიტეტის ამაღლებით, რაც მხოლოდ თავდადებული და კეთილსინდისიერი შრომითაა შესაძლებელი. ამაში დიდ როლს შეასრულებს წითელი დროშების დაარსება მილიციის გარნიზონებისათვის და მილიციის მთელი პირადი შემადგენლო-

ბის საზეიმო ვითარებაში ფიცის დადება.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მილიციის მუშაკები, რომლებიც გარემოსილნი არიან საყოველთაო-სახალხო ყურადღებითა და მზრუნველობით, თავდადებული შრომით უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის ახალ დონისძიებებს და უზრუნველყოფენ სანიმუშო საზოგადოებრივ წესრიგს, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ პარტიისადმი, სამშობლოსადმი, საბჭოთა ადამიანებისადმი უსაზღვრო ერთგულებასა და თავდადებას.

**სამოქალაქო სასამართლო წარმოების სფეროში
ქირითაღი საკითხი**

თ. ლილუაშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების პირველ მუხლში მითითებულია, რომ „სამოქალაქო საქმეების წარმოების წესი განისაზღვრება ამ საფუძვლებით და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის სხვა კანონებით და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით“.

სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა სასამართლოებმა, სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის დროს უნდა იხელმძღვანელონ „საფუძვლებში“ ჩამოყალიბებული წესებით და დებულებებით. მაგრამ, ამით რა თქმა უნდა არ ამორჩურება მათი დანიშნულება. „საფუძვლებზე“ დაყრდნობით და მის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებში უნდა შეიმუშაონ და მიიღონ ახალი საპროცესო კოდექსები. „საფუძვლები“ წარმოადგენს აგრეთვე იმ ბაზას, რომლის შესაბამისად უნდა განხორციელდეს სსრ კავშირის საქმიანობა სამოქალაქო პროცესის სფეროში.

აქედან გამომდინარე ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს „საფუძვლებში“ ჩამოყალიბებულ დებულებებისა და პრინციპების სწორად გაგებას.

„საფუძვლებში“ ჩამოყალიბებულმა დებულებებმა შემდგომი განვითარება და კონკრეტიზაცია უნდა მიიღოს ჩვენს ახალ საპროცესო კოდექსში. რა თქმა უნდა „საფუძვლებში“ ყველაფერი ახ-

ლი როდია. „საფუძვლებმა“ შეინარჩუნა მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობის მთელი რიგი ძირითადი პრინციპები. მაგრამ, ამასთან ერთად „საფუძვლებში“ ჩვენ ვხვდებით მთელ რიგ ახალ დებულებებს და წესებს, რომლებიც მოქმედ კანონმდებლობაში არ გვქონია.

1. „საფუძვლების“ მე-2 მუხლში განმარტებულია სამოქალაქო სასამართლო წარმოების ამოცანები. იქ ნათქვამია, რომ სამოქალაქო სასამართლო წარმოების ამოცანებია საქმეების სწორი და სწრაფი განხილვა და გადაწყვეტა. საქმის სწრაფად გადაწყვეტის შესახებ ლაპარაკია აგრეთვე საფუძვლების სხვა მუხლებშიაც.

საქმის სწრაფად განხილვა და გადაწყვეტა ყოველთვის მოეთხოვებოდა ჩვენს სასამართლოს. ამჟამად კი, საქმის დროულად და სწრაფად გადაწყვეტა პროცესის ახალ პრინციპადაა აღიარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სასამართლოებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ და იხელმძღვანელონ ამ პრინციპებით თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

საქმის სწრაფად განხილვა-გადაწყვეტის პრინციპი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტის შემუშავების დროს. ახალ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ უნდა იქნეს შეტანილი ისეთი ნორმა, რომელიც დააბ-

რკოლებს საქმის სწრაფად განხილვა — გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ამ თვალსაზრისით მოქმედი პროცესუალური კოდექსის ზოგიერთი ნორმები მოითხოვენ გადასინჯვას. საქმე იმაშია, რომ საბჭოთაქო სამართლის საპროცესო კოდექსში არის მთელი რიგი ნორმები, რომლებიც ყოველგვარი საჭიროების გარეშე აბრკოლებენ საქმის სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობას.

მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ სასამართლოში მხარეთა გამოცხადების პროცედურა. ცნობილია, რომ სასამართლოები ხშირად გადადებენ ხოლმე საქმეს იმ მიზეზით, რომ სასამართლოში არ ცხადდება ერთ-ერთი მხარე; კერძოდ კი, უფრო ხშირად არ ცხადდება მოპასუხე. ვინაიდან სასამართლო უარს ვერ ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის განხილვაზე იმ მოტივით, რომ არ ცხადდება მოპასუხე (სულ ერთია საპატიო თუ არასაპატიო მიზეზით), ბოლოს და ბოლოს სასამართლო იძულებულია განხილოს სარჩელი მოპასუხის დაუსწრებლად, თუგინდ მის ხელთ არსებული მასალები საკმარისი არ იყოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

მაგრამ მას შემდეგ, როდესაც სასამართლოს გამოაქვს საქმეზე გადაწყვეტილება — უფრო ხშირად კი გამოაქვს გადაწყვეტილება იმ მხარის საზიანოდ, რომელიც არ დებულობდა მონაწილეობას საქმის განხილვაში — მოპასუხე უკვე იჩენს აქტიურობას: ის ასაჩივრებს გადაწყვეტილებას იმ მოტივით, რომ არ ესწრებოდა საქმის განხილვას. უმაღლესი ინსტანციის სასამართლო კი იშვიათი გამონაკლისის გარდა, აუქმებს ასეთ გადაწყვეტილებას. ამას კი თან ერთვის ჩვენთვის ცნობილი გართულებები: საქმის ხელმეორედ განხილვა, საქმეში მონაწილე პირების და მათ შორის მოპასუხის ხელშეორედ გამოძახება და ა. შ. გამორიცხული არ არის, რომ

მოპასუხემ თავი აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას საქმის ხელმეორედ განხილვის დროსაც. ამგვარ მოვლენებს ჰქონდა ადგილი სასამართლო პრაქტიკაში. ეს კი იწვევს საქმის განხილვის გაჭინურებას, რაც უდაოდ არ შეესაბამება და არღვევს მოსარჩელის პროცესუალურ მდგომარეობას.

ამიტომ სასამართლოში მოპასუხეთა გამოცხადების არსებული წესი უნდა გადასინჯოს ახალი საპროცესო კოდექსის პროექტის შემუშავების დროს.


2. „საფუძვლებში“ ჩამოყალიბებულია მეტად მნიშვნელოვანი დებულება, რომ სასამართლომ საქმე უნდა გადაწყვიტოს მოქმედი კანონებით, ბრძანებულებებისა და დადგენილებების საფუძველზე, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში გამოცემულ აქტების შესაბამისად (მუხ. 12).

„საფუძვლები“ უშვებს აგრეთვე ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო თუ ანალოგიური კანონიც არ არის, მაშინ სასამართლოს შეუძლია საქმის გადაწყვეტის დროს დაემყაროს საბჭოთა კანონმდებლობის ზოგად საწყისებს და აზრს.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო უარს ვერ ეტყვის დაინტერესებულ პირს მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ მოტივით, რომ სადაო ურთიერთობა არ წესრიგდება კანონით. სასამართლოს უარის თქმა საქმის განხილვაზე აღნიშნული მოტივით მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც საპროცესო ნორმის უხეში დარღვევა.

3. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ დებულებებს, რომლებიც „საფუძვლების“ მე-17 მუხლშია ჩამოყალიბებული.

უპირველეს ყოვლისა, რაც ამ მუხლის მიმართ უნდა აღინიშნოს არის ის, რომ აქ მოცემულია მტკიცების საგნის განსაზღვრა ე. ი. განსაზღვრულია



ის, თუ რა ფაქტები უნდა დაადგინოს სასამართლომ ამა თუ იმ კონკრეტული საქმის განხილვა-გადაწყვეტის დროს.

თუ გადავხედავთ სასამართლო პრაქტიკას, კერძოდ კი ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკას, დავინახავთ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა გაუქმების მიზეზები უმთავრესად არის ის, რომ სასამართლომ არ დაადგინა ის ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. სწორედ ამ მოტივითაა გაუქმებული სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა.

„საფუძვლების“ მიხედვით, სასამართლომ უნდა დაადგინოს ის გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ სასარჩევლო მოთხოვნას ან მოპასუხის მისაგებელს. სასამართლომ, როგორც ეს ხაზგასმულია საფუძვლებში, უნდა დაადგინოს აგრეთვე სხვა გარემოებებიც, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

„საფუძვლების“ მე-17 მუხლში ჩამოყალიბებული ეს დებულება, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: სასამართლომ უნდა დაადგინოს ის ფაქტები (გარემოებები), რომლებზეც მიუთითებენ თვით მხარეები თავიანთი მოთხოვნის ან მისაგებლის დასაბუთებლად. მაგრამ სასამართლო არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ და მხოლოდ იმ ფაქტების დადგენით, რომლებზეც მხარეები მიუთითებენ. მან აგრეთვე უნდა დაადგინოს სხვა ფაქტებიც, რომლებზეც მხარეები მართალია არ მიუთითებენ, მაგრამ რომელთა დადგენის გარეშე საქმის სწორად გადაწყვეტა შეუძლებელია.

მე-17 მუხლის თანახმად დამამტკიცებელი საბუთებია ყოველი ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა საფუძ-

ველზე კანონით განსაზღვრული წესით სასამართლო ადგენს მისთვის საინტერესო საძიებელ ფაქტებს.

ამრიგად, სასამართლო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს დამამტკიცებელი საბუთების საშუალებით და კანონით განსაზღვრული წესით, ბუნებრივია, რომ ჩვენმა ახალმა საპროცესო კოდექსმა უნდა დაადგინოს და განსაზღვროს დამამტკიცებელი საბუთების გამოყენებისა და სარგებლობის წესები.

4. განსაზღვრულია იმ ფაქტების წრე, რომლებიც საქმის განხილვის დროს არ საჭიროებენ მტკიცებასა და დადგენას. ეს ის ფაქტებია, რომლებიც უკვე დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ან გადაწყვეტილებით (მუხ. 21 და 39).

„საფუძვლების“ 21 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, სავალდებულოა სასამართლოსათვის, რომელიც იხილავს საქმეს იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია ეს განაჩენი, მხოლოდ იმ საკითხებზე, იყო თუ არა ეს მოქმედება და ჩაიდინა თუ არა იგი ამ პირმა.

ამრიგად, სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლომ არ უნდა დაადგინოს ისეთი ფაქტები, როგორცაა: ჰქონდა თუ არა მოქმედება ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება მოცემულმა პირმა. სასამართლომ არ უნდა დაადგინოს ეს ფაქტები, ვინაიდან ისინი უკვე დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დაიბადოს კითხვა: სავალდებულოა თუ არა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოსათვის, აგრეთვე იმ საკითხის მიმართ იყო თუ არა პირის მოქმედებაში ბრალი?

„საფუძვლების“ 21-ე მუხლი ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა. მაგრამ აღნიშნული მუხლის აზრიდან გამომდინარე უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოსათვის აგრეთვე იმ საკითხშიაც, იყო თუ არა პირის მოქმედებაში ბრალი.

აღნიშნული საკითხის სხვანაირად გადაწყვეტა ე. ი. იმის მტკიცება, რომ განაჩენი სავალდებულო არ არის სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოსათვის იმ საკითხში, იყო თუ არა მოცემული პირის მოქმედებაში ბრალი, ნიშნავს: 1. სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოსათვის იურიდიული შესაძლებლობის მიცემას დაამყაროს თავისი გადაწყვეტილება იმ ფაქტზე, რომ პირის მოქმედებაში არ არის ბრალი მაშინ, როდესაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ამავე პირის მოქმედებაში არის ბრალი; 2. იურიდიული საფუძველის აღმოფხვრას ამგვარი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის, იმ მოტივით, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ გარემოებებს.

ზემოთ აღნიშნული საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა: კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა სასამართლოსათვის, რომელიც განიხილავს საქმეს იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართ გამოტანილია ეს განაჩენი, მხოლოდ იმ საკითხების მიმართ იყო თუ არა ეს ან თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა დაყოთ თუ არა ამ პირის მოქმედებაში ბრალი. სხვა დანარჩენ საკითხებზე განაჩენი სავალდებულო

არ არის სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოსათვის.

5. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს „საფუძვლების“ იმ ნორმებს, რომლებიც საქმეში მონაწილე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს ეხება.

მოქმედ პროცესუალურ კანონმდებლობასთან შედარებით, გავართობულია მხარეთა უფლებები. მაგალითად, მოსარჩელეს უფლება ეძლევა შეცვალოს არა მარტო სარჩელის საფუძველი, არამედ სარჩელის საგანიც (მუხ. 24). ყოველივე ეს კი საშუალებას მისცემს მოსარჩელეს იქვე, იმავე პროცესზე შეცვალოს თავის თავდაპირველად არასწორად ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა ან ამ მოთხოვნის საფუძველი, რითაც თავიდან აიცილენ ხელმეორედ სარჩელის აღძვრის საჭიროებას. მაგრამ საფუძვლების 24-ე მუხლში ჩამოყალიბებული ეს წესი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მოსარჩელეს შეუძლია შეცვალოს სარჩელის საფუძველი და საგანი ერთდროულად. სარჩელის საფუძველის და საგნის ერთდროულად შეცვლის შედეგად სახეზე გვექნება არა სარჩელის შეცვლა, არამედ ახალი სარჩელის აღძვრა, რომელიც არაფრით არ იქნება დაკავშირებული პირველად აღძრულ სარჩელთან. ახალი სარჩელის აღძვრა კი უნდა მოხდეს საერთო წესების დაცვით. ამიტომ „საფუძვლები“ მოსარჩელეს ანიჭებს უფლებას შეცვალოს სარჩელის ერთ-ერთი ელემენტი: ან საფუძველი ან საგანი. აქედან გამომდინარე, თუ მოსარჩელე ისე ცვლის სარჩელის საგანს, რომ ის იწვევს აგრეთვე სარჩელის საფუძველის შეცვლასაც, ან პირიქით, ისე ცვლის სარჩელის საფუძველს, რომ ის იწვევს აგრეთვე სარჩელის საგნის შეცვლასაც, სასამართლომ არ უნდა დაუშვას ასეთი ცვლილება.

6. ფართო პროცესუალური უფლებებითაა აღჭურვილი პროკურორი. მას

შეუძლია აღძრას სარჩელი სხვა პირის უფლებების დასაცავად ყოველთვის, როცა ეს მისი თვალსაზრისით მიზანშეწონილია. პროკურორს შეუძლია აგრეთვე ჩაებას საქმეში პროცესის ყველა სტადიაში. ამასთან, დამოუკიდებლად იმისა თვითონ აღძრა პროკურორმა სარჩელი სხვა პირის უფლებების დასაცავად, თუ მონაწილეობას ღებულობს სხვის მიერ აღძრულ სარჩელის განხილვაში, ის ყოველთვის იძლევა დასკვნას მთლიანად საქმის არსზე (მუხ. 29) და იმ საკითხებზე, რომლებიც საქმის განხილვის დროს წამოიჭრება.

აღსანიშნავია, რომ თავის უფლებამოსილებას სამოქალაქო სასამართლო წარმოებაში პროკურორი ანხორციელებს ყოველგვარი ორგანოსა და თანამდებობის პირისაგან დამოუკიდებლად, ემორჩილება მხოლოდ კანონს და ხელმძღვანელობს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მითითებებით (მუხ. 14).

7. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესაბამისად, „საფუძვლებით“ გათვალისწინებულია პროცესში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობა.

ამყამად „საფუძვლების“ თანახმად, სარჩელის აღძვრა სხვა პირთა უფლების დასაცავად პროკურორის გარდა შეუძლიათ აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (მუხ. 30). მაგრამ, განსხვავებით პროკურორისა, აღნიშნულ ორგანიზაციებს სარჩელის აღძვრა სხვა პირთა უფლების დასაცავად შეუძლიათ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამრიგად, სასამართლომ არ უნდა მიიღოს და განიხილოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სხვა პირთა უფლებების დასაცავად აღძრული სარჩელი, თუ ასეთი სარჩელის აღ-

ძვრის შესაძლებლობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით.

როდესაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღძრავენ სარჩელს სხვა პირთა უფლებების დასაცავად, ასეთ შემთხვევაში მათი პროცესუალური უფლებები პირდაპირაა გათვალისწინებული „საფუძვლებით“ (მუხ. 30).

პრაქტიკული დარგის მუშაკებმა და კერძოდ კი სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ის მდგომარეობა, რომ საზოგადოებრიობის მონაწილეობა სამოქალაქო სამართლის პროცესში არ ამოწურება მხოლოდ და მხოლოდ ამ ორგანიზაციების მიერ სარჩელის აღძვრით. „საფუძვლების“ 36-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები შეიძლება დაშვებულ იქნან სასამართლოს განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, რათა მათ სასამართლოს მოახსენონ იმ ორგანიზაციების და კოლექტივების აზრი, რომლებმაც რწმუნება მისცეს მათ.

ამრიგად, „საფუძვლები“ უშვებს პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის ორ ფორმას: პირველი, როცა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს სხვა პირის უფლებების დასაცავად და მეორე, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო განხილვაში ანუ სხვა პირის მიერ აღძრულ სარჩელის განხილვაში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კოლექტივების წარმომადგენლების პროცესუალური უფლებანი და მოვალეობანი „საფუძვლებით“ განსაზღვრული არ არის. ეს უფლებები ჩვენმა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსმა უნდა განსაზღვროს.

რა პროცესუალური უფლებები უნდა მიანიჭოს ახალმა საპროცესო კოდექსმა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების

წარმომადგენლებს, რომლებიც დაშვებული იქნენ სასამართლოს განხილვაში მონაწილეობის მისაღებად?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი პროცესში მონაწილეობის მიზანი. მიზანი, აღნიშნული ორგანიზაციების და კოლექტივების წარმომადგენლების პროცესში მონაწილეობისა არის ის, რომ მოახსენონ სასამართლოს განსახილველ საქმეზე იმ ორგანიზაციების და კოლექტივების აზრი, რომლებმაც რწმუნება მისცეს მათ.

ამიტომ, მათ უნდა მიეცეს ისეთი პროცესუალური უფლებები, რომლებიც აუცილებელია ამ მიზნის სათანადოდ განხორციელებისათვის. კერძოდ, მათ უნდა მიეცეთ უფლება შეკითხვები მისცენ მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს, გაეცნონ საქმეში არსებულ დამატკიცებელ საბუთებს, იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე ახალი დამატკიცებელი საბუთების გამოთხოვის შესახებ და მონაწილეობა მიიღონ კამათში.

8. მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული ნორმა, რომელიც არასათანადო მხარის შეცვლას არეგულირებს (მუხ. 26). ამ მუხლის თანახმად სასამართლოს, თუ ის მივა დასკვნამდე, რომ მოსარჩელე ან მოპასუხე არ არიან სათანადო მხარეები, შეუძლია მოსარჩელის თანხმობით და საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე ან მოპასუხე სათანადო მოსარჩელით ან მოპასუხით.

ამრიგად, არასათანადო მოსარჩელის ან მოპასუხის შეცვლა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩელის თანხმობით.

მაგრამ, როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო თუ არასათანადო მოსარჩელე წინააღმდეგია მის შეცვლაზე სათანადო მოსარჩელით?

ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე არსებითად, გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეზე და უარი უთხრას მოსარჩელეს სარჩელზე.

რაც შეეხება არასათანადო მოპასუხის შეცვლას სათანადოთი, ამ შემთხვევაშიაც საჭიროა მოსარჩელის თანხმობა. მაგრამ, თუ მოსარჩელე ასეთი შეცვლის წინააღმდეგია, სასამართლოს შეუძლია ჩააბას სათანადო მოპასუხე მეორე მოპასუხედ (მუხ. 26).

ამრიგად, სასამართლო ვერ გაიყვანს საქმიდან მოსარჩელის მიერ მითითებულ მოპასუხეს თუ ეს მოსარჩელე ამის წინააღმდეგია. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ჩააბას სხვა პირი საქმეში მეორე მოპასუხედ. ამის შედეგად, საქმეში იქნება ორი მოპასუხე—ერთი, რომელიც მოსარჩელემ მიუთითა თავდაპირველად და მეორე—რომელიც სასამართლომ ჩააბა საქმეში, როგორც სათანადო მოპასუხე. ამის გამო სასამართლომ საქმე აუცილებლად უნდა განიხილოს ორივე მოპასუხის მიმართ. გარდა ამისა გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული, თუ რომელი მოპასუხის მიმართ ეთქვა უარი მოსარჩელეს სარჩელზე და რომელი მოპასუხის მიმართ არის მისი სარჩელი დაკმაყოფილებული.

„საფუძვლების“ აღნიშნულ დებულებას მეტად დადებით იურიდიულ შედეგამდე მიყვებათ: საქმე არსებითად წყდება ერთ პროცესში და მოსარჩელეს აღარ სჭირდება სარჩელის განმეორებით აღძვრა.

9. შემდგომი განვითარება და კონკრეტიზაცია უნდა მიიღოს ჩვენს ახალ საპროცესო კოდექსში „საფუძვლების“ 34-ე მუხლში ჩამოყალიბებულმა დებულებამ. ამ დებულების თანახმად „სამოქალაქო საქმის განხილვა წარმოებს სასამართლოს სხდომაზე საქმეში მონაწილე პირთა შეტყობინებით“.

ამასთან დაკავშირებით პრაქტიკული

თვალსაზრისით იზადება მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. მოცემულ სტატიაში ჩვენ გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ ერთ საკითხზე, სახელდობრ: როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, თუ არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება ერთ-ერთი მხარე, ან ორივე მხარე ერთდროულად.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას ანალიზი უნდა გაეუკეთოთ როგორც ამჟამად მოქმედ საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებს, ისე სასამართლო პრაქტიკას.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად მხარის გამოუცხადებლობა, როდესაც სასამართლოს აქვს ცნობა, რომ მას უწყება ჩაბარდა, საქმის გარჩევას და გადაწყვეტას ვერ დააბრკოლებს (მუხ. 103). მაგრამ სასამართლოს უფლება რჩება გადადოს საქმის გარჩევა, უკეთუ საჭიროდ მიიჩნევს გამოუცხადებელი მხარის პირად ახსნა-განმარტებას (მუხ. 104). უკეთუ ხელმეორედ დაბარებული მხარე არ გამოცხადდება საპატიო მიზეზის გარეშე, საქმე გადაწყდება არსებული მასალის მიხედვით (მუხ. 105). ამრიგად, რაგინდ საჭიროდ არ უნდა ჩათვალოს სასამართლომ ამა თუ იმ მხარის გამოცხადება, ის მაინც ვერ უზრუნველყოფს ამ მხარის გამოცხადებას სასამართლოში. საქმე იმაშია, რომ მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობით, თუ ესა თუ ის მხარე არ ცხადდება სასამართლოში, სასამართლოს არ შეუძლია იძულებითი წესით მოიყვანოს ის (იშვიათი გამონაკლისი შემთხვევის გარდა). მიუხედავად ამისა სასამართლო ვალდებულია საქმე გადაწყვიტოს არსებული მასალის მიხედვით, თუგინდ ეს მასალა საკმარისი არ იყოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ძნელი არ არის იმის მიხედვრა, რომ ასეთ მდგომარეობას შეიძლება მოყვეს

(უფრო ხშირად ეს ასეცაა) დაუსაბუთებელი და არსებითად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, სხვა გამოსავალი არ არის. სასამართლოს უფლება არა აქვს განუხილველად დატოვოს სარჩელი იმ მოტივით, რომ არ ცხადდება, ვთქვათ, მოპასუხე.

შეიძლება თუ არა ამ მდგომარეობიდან რაიმე გამოსავლის პოვნა? ჩვენ ვფიქრობთ შეიძლება. ერთადერთი გამოსავალი არის, რომ სასამართლოს მიეცეს უფლება უზრუნველყოს მოპასუხის იძულებითი მოყვანა სასამართლოში ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტა ამ უკანასკნელის ახსნა-განმარტების გარეშე სასამართლოს შეუძლებლად მიაჩნია. ცნობილია, რომ საბჭოთა სასამართლო მოვალეა დაადგინოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება, მხარეთა ნამდვილი უფლება-მოვალეობანი (მუხ. 16). ამ უაღრესად კეთილშობილი მიზნის მისაღწევად სასამართლოს უნდა მიეცეს შესაბამისი უფლებები.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მოწმის გარეშე ხშირად შეუძლებელია ამა თუ იმ ფაქტის დადგენა. მაგრამ, თუ მოწმის გარეშე ხშირად შეუძლებელია ფაქტის დადგენა, უფრო ხშირად ეს შეუძლებელი იქნება მოპასუხის გარეშე, ვინაიდან მოპასუხე სადაო ურთიერთობის უშუალო მონაწილეა და მან უფრო კარგად, ვიდრე მოწმემ, იცის იმ ფაქტების შესახებ, რომელთა საფუძველზე ეს ურთიერთობა წარმოიშვა.

სხვა საქმეა თუ სასამართლოში არ ცხადდება თვითონ მოსარჩელე საპატიო მიზეზის გარეშე. თუ მოსარჩელე საპატიო მიზეზის გარეშე არ ცხადდება

სასამართლოში, ხოლო საქმეში არსებული მასალები საქმარისი არ არის საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, სასამართლოს უფლება უნდა მიეცეს განუხილველად დატოვოს სარჩელი.

სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც სასამართლოში საპატიო მიზეზის გარეშე არ ცხადდება ორივე მხარე ერთდროულად. საპროცესო კოდექსით თუ ორივე მხარე არ ცხადდება საპატიო მიზეზის გარეშე, სასამართლოს შეუძლია ან გააჩიოს საქმე მხარეთა დაუსწრებლად, ან გადადოს საქმის განხილვა, ან კიდევ შეაჩეროს საქმის წარმოება. ჩვენის აზრით ორივე მხარის დაუსწრებლად საქმის განხილვა არ არის მიზანშეწონილი. უფრო სწორი იქნება, თუ ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. ხოლო, თუ ხელმოკრედ დაბარებული მხარეები კვლავ არ გამოცხადდებიან სასამართლოში საპატიო მიზეზის გარეშე, სასამართლოს უნდა მიეცეს უფლება სარჩელი განუხილველად დატოვოს.

სარჩელის განუხილველად დატოვება არც ერთ შემთხვევაში არ უსპობს მოსარჩელეს უფლებას კვლავ აღძრას სარჩელი („საფუძვლები“ მუხ. 42).

10. „საფუძვლებში“ მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული ნორმები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხება. სასამართლოს გადაწყვეტილება სოციალისტური მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი აქტია, რომლითაც მთავრდება საქმის განხილვა არსებითად. მას მეტად დიდი აღმზრდელობითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მთელი რიგი მოთხოვნები აქვს წაყენებული. „საფუძვლებში“ ზუსტადაა მითითებული იმ აუცილებელ ელემენტებზე, რომელთა ასახვა გადაწყვეტილებაში სავალდებულოა (მუხ. 37).

აქვე გვინდა შევჩერდეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე: „საფუძვლებში“ მიხედვით გადაწყვეტილებაში ყოველთვის უნდა იყოს მითითებული კანონზე, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა საქმის განხილვა-გადაწყვეტის დროს. სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ უმეტეს შემთხვევაში გადაწყვეტილებაში არ არის მითითება კანონზე, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტის დროს. უნდა ვალია, რომ ასეთი გადაწყვეტილება გაუგებარი და არადამაჯერებელია იმათ თვალში, ვისაც ეს გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება. ასეთი გადაწყვეტილება ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ სასამართლომ საქმე გადაწყვიტა არა კანონის შესაბამისად, არამედ ისე, როგორც ეს მას მიიჩნდა მიზანშეწონილად. მიზანშეწონილობის თვალსაზრისით საქმის გადაწყვეტა კი დაუშვებელია ჩვენს პროცესში. გარდა ამისა, გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებული არ არის კანონზე, ართულებს შესაბამისი ორგანოების მიერ ამ გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების საქმეს.

სასამართლოს მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეუძლია არ მიუთითოს კანონზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სასამართლოს მიერ განხილული და გადაწყვეტილი სადაო ურთიერთობა არ რეგულირდება კანონით და არც არსებობს კანონი, რომელიც მსგავს ურთიერთობას არეგულირებს.

ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ საქმე უნდა გადაწყვიტოს საბჭოთა კანონმდებლობის ზოგადი საწყისებისა და აზრის შესაბამისად (მუხ. 12). ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში, სასამართლო ვერ მიუთითებს თავის გადაწყვეტილებაში კანონზე, ვინაიდან ასეთი კანონი არ არსებობს. მაგრამ, ყოველივე

ეს, სასამართლომ სათანადოდ უნდა ასახოს თავის გადაწყვეტილებაში.

11. ჩვენი პროცესის შემდგომი დემოკრატიზაციის მიზნით „საფუძვლები“ ადგენს წესს, რომლის თანახმად მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს უნდა ჩაბარდეს საქმეზე შეტანილი პროტესტის ასლები. პროტესტის ასლები მხარეებს უნდა ჩაბარდეს ყოველთვის, არა მარტო საქმის საკასაციო წესით განხილვისას (მუხ. 44), არამედ საქმის ზედამხედველობის წესით განხილვის დროსაც (მუხ. 49). ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: „საფუძვლების“ 44-ე მუხლის თანახმად „მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს ეცნობებათ საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დრო და ადგილი“. ამრიგად, საქმის საკასაციო წესით განხილვის დროს მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს არა მარტო უნდა ჩაბარდეს პროტესტის ასლები, არამედ ყოველთვის უნდა ეცნობოს საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დრო და ადგილი. რა თქმა უნდა მხარეთა გამოუცხადებლობა საქმის განხილვას ვერ დააბრკოლებს საკასაციო ინსტანციაში, მაგრამ თუ მხარეები და საქმეში მონაწილე სხვა პირები გამოცხადდებიან — ისინი დაშვებულ უნდა იქნან საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას.

ანალოგიური დებულება გვაქვს ჩამოყალიბებული „საფუძვლების“ 49-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად, საქმის ზედამხედველობის წესით განხილვისას „საჭირო შემთხვევაში მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს ეცნობებათ საქმის განხილვის დრო და ადგილი“.

ამრიგად, თუ 49-ე მუხლში ჩამოყალიბებულ ამ დებულებას შევადარებთ 44-ე მუხლში ჩამოყალიბებულ დებულებას, უნდა მივიდეთ იმ უდაოდ დასკვნამდე, რომ თუ საქმის საკასაციო წესით განხილვის დრო და ადგილი ყოველთვის უნდა ეცნობოს მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს, საქმის ზედამხედველობის წესით განხილვის დრო და ადგილი მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს უნდა ეცნობოს მხოლოდ „საჭირო შემთხვევაში“, ე.ი. იმ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროდ მიაჩნია ზედამხედველობის წესით საქმის განხილველ სასამართლოს. მიზანი კი საქმის განხილვის დროსა და ადგილის შეტყობინებისა აბსოლუტურად იგივეა, როგორც საქმის საკასაციო წესით, ისე ზედამხედველობის წესით განხილვის დროს. საქმის განხილვის დროსა და ადგილის შეტყობინების მიზანი მხოლოდ ის არის, რომ მხარის გამოცხადება სასამართლოში საჭიროა და თუ ის გამოცხადდება დაშვებული უნდა იქნას საქმის განხილვაში, სულერთია საკასაციო ინსტანცია იხილავს საქმეს თუ საქმის განხილვა ხდება სასამართლო ზედამხედველობის წესით.

სხვა რაიმე მიზანი საქმის განხილვის დროსა და ადგილის შეტყობინებას ამ შემთხვევაში არ შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ თუ საქმის ზედამხედველობის წესით განხილვაში მხარეების ან საქმეში მონაწილე სხვა პირების მონაწილეობა საჭირო არ არის, მათ არც უნდა ეცნობოს საქმის განხილვის დრო და ადგილი და უნდა გაეგზავნოთ მხოლოდ პროტესტის ასლები.

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განსახილველად დიდი და განსაკუთრებით დიდი ობიექტებით

მ. ი. მანისურაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ-მა გადაწყვეტილებებმა ჩვენს წინაშე დააყენეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანები — უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტი დაცვა, მოხდეს დამანაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი. „კომუნისმის მშენებელ საზოგადოებაში, — ხათქვამია პარტიის ახალ პროგრამაში, — არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დამანაშავეობა“.


საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან და კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებასთან ერთად პირველ ადგილს იკავებს ახალი ადამიანის აღზრდა, მის შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევა, დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა აღმოფხვრა.

კანონიერების ზუსტად დაცვა ბევრად და მოკიდებული დანაშაულებრივი ქმედობის სწორ კვალიფიკაციაზე.

წინამდებარე წერილში გვინდა გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების კვალიფიკაციის ზოგიერთ საკითხზე.

საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მეორე თავის — „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ“ მთელ რიგ მუხლებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ჯერ ერთი იმის გათვალისწინებით, თუ რა ხერხით, რა სახით ხდება ეს გატაცება (ქურდობით, გაძარცვით, თაღლითობით, მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ყაჩაღობით) და ამას გარდა იმის მიხედვითაც დიდი ოდენობითაა თუ არა გატაცებული ან გასატაცებელი ქონება (ფული, ფასიანი ქაღალდები, სხვადასხვა საქონელი).

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 91, 92, 93, 94 და 96 მუხლები დიდი ოდენობით ჩადენილ გატაცებას თავისი საშიშროების მიხედვით, როგორც წესი, უთანაბრებენ გატაცებას, ჩადენილს განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ და სასჯელის მაქსიმუმად ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას ხუთმეტ წლამდე, რასაც თან ერთვის სხვადასხვა დამატებითი სასჯელები. როგორც ამ მუხლების დისპოზიციებიდან და სანქციებიდან ირკვევა, გატაცება ჩადენილი დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩათვლილია გატაცების ყველაზე მძიმე სახედ. ამ დანაშაულობასთან გადამწყვეტი და ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად განსაკუთრე-



ბული მნიშვნელობა ენიჭება ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დანერგვას დიდი ოდენობით გატაცების გაგების საქმეში.

როგორც აღვნიშნეთ, მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებდა გატაცებას დიდი ოდენობით და ამიტომ კვალიფიკაციის განსაზღვრაც შედარებით ნაკლებ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საქმარისი იყო შექმნილიყო სასამართლო პრაქტიკა დიდი ოდენობით გატაცების თაობაზე, რომ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს გეზი მისცემოდათ ამ კანონის სწორი შეფარდებისათვის. მაგრამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულებით — „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — სიკვდილით დასჯაც იქნა დაწესებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის. ამის გამო, სასამართლო პრაქტიკის წინაშე დაისვა ახალი, მეტად სერიოზული ამოცანა ამ დიდი ოდენობით გატაცებიდან მომეტებული საშიშროების მქონე ე. წ. „განსაკუთრებით დიდი ოდენობის“ გამოყოფის შესახებ. ასე მაგალითად, თუ ადრე, დავუშვათ, ოთხი ათასი მანეთის (ფულის ახალი ნიშნით) და ორმოცი ათასი მანეთის (ფულის ახალი ნიშნით) გატაცება დანაშაულის ერთი და იგივე შემადგენლობის ნიშნებს შეიცავდა, ვთქვათ, სისხლის სამართლის კოდექსის 94 მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების გამოცემის შემდეგ მეორე შემთხვევას უკვე ვეღარ მივიჩნევთ „დიდი ოდენობით გატაცებად“; იგი განხილული უნდა იქნეს როგორც „განსაკუთრებით დიდი ოდენობის გატაცება“.

დიდი ოდენობით გატაცების ზღვარი, რაც დანაშაულის კვალიფიკაციას დაედებოდა საფუძვლად, საკანონმდებლო წესით არ ყოფილა დადგენილი. შეიძლება ითქვას, რომ ამის საჭიროება არც არსებობდა; თუ კანონმდებელი ცნობდა, რომ გატაცება 3.000 მანეთზე ზევით ჩაითვალოს დიდ გატაცებად, ხოლო სალაროდან ფულის გამტაცებელი თანამდებობის პირი — მოლარე მიითვისებდა 2999 მანეთს, მაშინ ეს გამოიწვევდა დამნაშავის ლმობიერად დასჯას. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები შეზღუდული იქნებოდნენ აშკარად ფორმალური ნიშნით, რის გამოც ასეთი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირებულიყო სისხლის სამართლის კოდექსის 94 მუხლის მეორე ნაწილით. საქმარისია აღნიშნულ შემთხვევაში გატაცების თანხა გზრდილიყო ორი მანეთით და უკვე კვალიფიკაციის თვალსაზრისით საქმე გვექნებოდა ამავე მუხლის მესამე ნაწილთან. საკითხის ასეთი გადაწყვეტის უსაფუძვლობა უფრო ნათელი გახდება, თუ შევადარებთ 94 მუხლის მეორე ნაწილის სანქციას — თავისუფლების აღკვეთას შვიდ წლამდე ამავე მუხლის მესამე ნაწილს, სადაც სასჯელის ზომად გათვალისწინებულია ექვსი წლიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

ამავე მოსაზრებით შეიძლება აგხსნათ საკანონმდებლო წესით ზღვარის დადგენის მიზანშეუწონლობა „განსაკუთრებით დიდი ოდენობით“ გატაცებისათვის, მით უმეტეს, რომ გატაცებულ თანხაში ერთი ან ორი მანეთის განსხვავებას შეიძლება გამოეწვია ქმედობის კვალიფიკაცია ნაცვლად „განსაკუთრებით დიდი ოდენობისა“ „დიდი ოდენობად“, ან პირიქით. ყურადსაღებია ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 961 მუხლით სასჯელის ზომად შეიძლება შეფარდებული იქნეს სიკვდილით დასჯა.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას მოქმედ სასამართლო პრაქტიკაზე სხვადასხვა პერიოდში გავლენას ახდენდა ამინსტიასთან ან ახალი კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებით გამოცემული აქტები. ასე მაგალითად, ამ-

ნისტის შესახებ 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულების მეშვიდე მუხლის შესაბამისად ამნისტია არ გამოიყენებოდა იმ პირებზე, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ ხუთ წელზე მეტი ვადით კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის. სოციალისტური საკუთრების დიდი ოდენობით გატაცებისათვის, ბანდიტიზმისათვის, განზრახი მკვლელობისათვის. მაგრამ დიდი ოდენობით გატაცების განსაზღვრა ბრძანებულებაში არ იყო მოცემული. ვინაიდან პრაქტიკამ დააყენა ეს საკითხი, ამიტომ სათანადო წერილით გადაწყდა, რომ დიდ ოდენობად ჩაითვლება 50.000 მანეთზე (ფულის ძველი ნიშნით) მეტი თანხა. მაგრამ არ შეიძლება ასეთი თანხა ვადამწყვეტი და აუცილებელი ყოფილიყო კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის. ეს თანხა დაწესებული იყო ამნისტის შეფარდებისას გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, როგორც გატაცებულის დროებითი საზომი. სასამართლო პრაქტიკას ასევე გარკვეული დაღი დაასვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 14 თებერვლის დადგენილებამ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების სამომედლო შემოღების შესახებ და ამის შემდეგ მიღებულმა კანონმა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დამტკიცების შესახებ, რომლის მეორე მუხლში ჩაწერილი იყო, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი არ ვრცელდება იმ პირთა თავისუფლების აღკვეთის ვადაზე, რომელნიც მსჯავრდებულნი არიან 1958 წლის 25 დეკემბერს მიღებულ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების გამოცემამდე განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმისათვის, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობისა და ყაჩაღობისათვის. თუმცა ამ კანონში მითითებული არ იყო თანხაზე, რომელიც დიდი ოდენობის საკითხს გადაწყვეტდა, მაგრამ 1961 წ. 1 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდ გატაცებად ჩაითვლება გატაცება, ჩადენილი ერთი პირის მიერ ან პირთა ჯგუფის მიერ 2.500 მანეთზე მეტი თანხით (ფულის ახალი ნიშნით).

ცხადია, ყველა ამ ნორმატიული აქტით კვალიფიკაციის განმსაზღვრელი კრიტერიუმი არ დაწესებულა და მათ მნიშვნელობა ჰქონდათ მხოლოდ ერთდროული ხასიათის ღონისძიებების გასატარებლად¹.

როგორც სასამართლო პრაქტიკის მასალებიდან ირკვევა, ზოგიერთი სასამართლო იმდენად მოექცა ამ აქტების გავლენის ქვეშ, რომ საკმარისია გატაცებული ქონება 2.500 მანეთზე (ახალი ნიშნით) ცოტათი ნაკლები იყოს და მარტო ეს ზღვრა საფუძველი დიდი ოდენობით გატაცების ბრალდების უფრო მსუბუქი ბრალდებით შეცვლისათვის. ასე მაგალითად, ყირიმის საოლქო სასამართლომ მოძრაობის მეოთხე განყოფილების მუშათა მომარაგების საწყობის გამგის საუერის და ექსპედიტორ ზიატინის ქმედობა, რომლებმაც 2486 მანეთის ღირებულების 888,5 კილოგრამი კარაქი გაიტაცეს, უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 84 მუხლის მესამე ნაწილიდან გადააკვალიფიცირა მეორე ნაწილზე. ამავ დროს უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით არც თუ დიდი ღირებულების ქონების გატაცებას არასწორად იხილავენ როგორც დიდი ოდენობის

¹ ამ საკითხზე იხილეთ ჩვენი წერილი ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“, № 3, 1961 წ.

გატაცებად, მხოლოდ იმ ნიშნით, რომ გატაცებული ქონება მოცულობით დიდია ან ხერხებია საგულისხმო. ასე მაგალითად, ცელინოგრაფია ოლქის კილიანის რაიონის სახალხო სასამართლომ დიდ გატაცებად ჩათვალა 2,5 ტონა ხორბლის გატაცება. მოვიყვანოთ კიდევ ერთ მაგალითს: თბილისის 29 კომისრის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 20 ნოემბრის განაჩენით გაწერელია სცნო დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 17—91 მუხლის მესამე ნაწილით. იგი შეეცადა 1962 წლის 5 სექტემბერს მოეპარა 364 მანეთად ღირებული 2800 კილოგრამი ფურცლოვანი თუნუქი. გაწერელია საქონელი და აწყო სატვირთო ავტომანქანაზე და ცდილობდა გაეტანა, მაგრამ იმის გამო, რომ იგი ამხილა ავტომანქანის მძღოლმა ლეხკიმ, გაწერელია დაკავებული იქნა დაცვის მუშაკების მიერ.

გაწერელია დანაშაულებრივი მოქმედება წინასწარი გამოძიებისა და სახალხო სასამართლოს მიერ არასწორად იყო დაკვალიფიცირებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—91 მუხლის მესამე ნაწილით. როგორც განაჩენიდან ჩანს, გაწერელია ქმედობის ასეთ კვალიფიკაციას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ თუნუქი, რომლის გატაცებასაც მსჯავრდებული შეეცადა, სასამართლომ ჩათვალა დიდი ოდენობის ქონებად. სასამართლოს ეს მოსაზრება მცდარად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან 364 მანეთის ქონება, რა მოცულობისაც არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას დიდი ოდენობის ქონებად. ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია სავსებით სწორად მოიქცა, როცა გაწერელია ქმედობა სისხლის სამართლის კოდექსის 17—91 მუხლის მესამე ნაწილიდან გადააკვალიფიცირა ამავე მუხლის პირველ ნაწილზე.

უფრო რთულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების შესაბამისად დაწესებული სისხლის სამართლის კოდექსის 96' მუხლის გამოყენების საკითხი, რადგან აქ საქმე გვაქვს განსაკუთრებით მკაცრ სასჯელებთან.

თუ ბანდიტური ჯგუფი განსაკუთრებით დიდი ოდენობით გაიტაცებს სახელმწიფო ან საზოგადო ქონებას, მაშინ შეფარდებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის არა მარტო 78-ე მუხლი (ბანდიტიზმი), არამედ 96' მუხლიც.

გვარიძიშვილი, ონაშვილი, ახალკაციშვილი და სხვები იყვნენ რა ბანდის წევრები, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ცალკეულ პირებზე თავდასხმებში. მათ რამდენჯერმე გაძარცვეს მსუბუქი ავტომანქანები—ტაქსები, იტაცებდნენ როგორც სალაროს ფულს, აგრეთვე მძღოლის კუთვნილ ნივთებს. გარდა ამისა, ამავე პირებმა 1961 წლის 20 დეკემბერს წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მანჩხანის მალაზიის ყარაული იარაღის მუქარით მოხსნეს საყარაულო ობიექტიდან, მოათავსეს მანქანის საბარგულში და მალაზიიდან გაიტაცეს 13.662 მანეთის ღირებული საქონელი.

აღნიშნულ პირებს წარდგენილი ჰქონდათ ბრალდება ბანდიტიზმში, ყაჩაღობასა და სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებაში. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1962 წლის დეკემბერს მათ ბრალდება ყაჩაღობაში, როგორც ზედმეტად წარდგენილი, მოუხსნა.

იმის გამო, რომ მალაზიიდან გატაცებული ქონება განსაკუთრებით დიდი

ოდენობისა იყო, სასამართლო კოლეგიამ ბრალდებულებს შეუფარდა სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლთან ერთად 96¹ მუხლიც. მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულთა ქმედობის ასეთი კვალიფიკაცია სწორად უნდა ჩაითვალოს, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის 96¹ მუხლით გათვალისწინებული სასჯელის უმდაბლესი ზომა უფრო მაღალია, ვიდრე 78-ე მუხლისა.

საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკა ძირითადად თანხის მიხედვით წყვეტს დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების საკითხს და, როგორც წესი, საფუძვლად იღებს შესაბამისად დაახლოებით 2.500 მანეთისა და 10.000 მანეთის ფარგლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი 1962 წლის 3 ნოემბერს სპეციალურად განიხილა საკითხი დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის კანონმდებლობის გამოყენების შესახებ. პლენუმი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც 2.500 მანეთისა და მეტი თანხის გატაცებას იხილავს როგორც დიდ გატაცებას, ხოლო 10.000 მანეთისა და მეტის გატაცებას, როგორც განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებას, სწორედ უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცა, ჩვენის აზრით, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თუ მანეთით ნაკლები თანხა იქნება გატაცებული აუცილებლად ნაკლებ მძიმე ბრალდებაზე უნდა გადავიდეთ.

პროფ. ი. გოლიაკოვი რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 116 მუხლის (თანამდებობრივი მითვისება) შესახებ ძირითადად სწორად აღნიშნავდა, რომ „ზოგიერთი მოსამართლენი ჯერ კიდევ ეძებენ დატაცებულის ან გაფლანგულის ღირებულების იმ ზუსტ ზღვარს, რომელიც ცალკე გამოყოფდა 116 მუხლის მეორე ნაწილს მისი პირველი ნაწილიდან. ამ მოსამართლეებს ავიწყდებათ, რომ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების გამიჯვნას მექანიკურად განსაზღვრული თანხა კი არ უნდა დაედვას საფუძვლად, არამედ ამ კონკრეტული საქმის ყველა ერთობლიობა, რომელშიც ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავეს პიროვნებას და იმ გარემოებასა და პირობებს, რომელშიც ჩადენილია დანაშაული“¹.

ეს აზრი გამოთქმული იყო სამამულო ომის დროს და ამდენად აქ დამნაშავეს პიროვნებასთან ერთად წინა პლანზეა წამოყენებული გარემოება და პირობები, თუმცა დიდი ოდენობის განმსაზღვრელად პრინციპში სხვა გარემოებების გათვალისწინებით მაინც თანხა უნდა იქნეს მიჩნეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქონების დანაკლისის ან გატაცების შემთხვევაში დამნაშავეებზე სასამართლოების მიერ გატაცებულის ღირებულების გადახდის დაკისრება უნდა მოხდეს არა მისი სახელმწიფო გასაყიდი ფასების მიხედვით, არამედ მთავრობის ცალკეულ დადგენილებათა შესაბამისად სახელმწიფო ღირებულების ორმაგი, სამმაგი და მეტი ოდენობით. ისმება კითხვა, ასეთ შემთხვევაში კვალიფიკაციისათვის გამოსავალ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ მისი ძირითადი ღირებულება თუ ორმაგი, სამმაგი და ა. შ. ღირებულება?

მაგალითად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 10 ივლისის დადგენილებით იმ მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლე-

¹ ჟურნ. „Социалистическая законность“ 1942 г. № 4.

ბიკ დამნაშავენი არიან ძვირფასი ლითონის, ძვირფასი ქვებისა და სხვა საფუძვლურ ფასეულობათა გატაცებისათვის; დანაკლისისათვის ან ნორმის ზევით დანაკარგისათვის, დადგენილია მატერიალური პასუხისმგებლობა ტექნიკურ აღმასზე (1 კარატი) ან მისგან გაკეთებულ ნაკეთობებზე ხელყოფისათვის ათმაგი ოდენობით, წინააღმდეგ დაწესებული გასაცემი ფასებისა. ამავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზარალის ასანაზღაურებლად ამოღებული თანხა პირველ რიგში გადაეცეს შესაბამის საწარმოს, დაწესებულებას ზარალის ასანაზღაურებლად, ხოლო დანარჩენი ჩაირიცხოს საკავშირო ბიუჯეტში. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ კვალიფიკაციისათვის ძირითადი კრიტერიუმი პირველ რიგში უნდა იყოს გატაცებულის ღირებულება სახელმწიფო ფასებში

მგვიცხერ ღაპიფხათ ქაღაბისა ღა ბაჰჰჰჰჰის უჰღაბები

საქართველოს სსრ პროკურატურამ ქ. მოსკოვიდან მიიღო ი. დ. ქრისტოფოვიჩის საჩივარი. იგი წერდა, რომ ქ. მოსკოვის ბაჰმანის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით მოპასუხე ი. კ. ქრისტოფოვიჩის ბავშვის რჩენისათვის დაეკისრა ხელფასიდან 25 პროცენტის გადახდა. მაგრამ ალიმენტს იგი ვერ იღებს, რადგან მისი ყოფილი ქმარი, ცხოვრობს რა ქ. თბილისში, ხანგრძლივი დროის მანძილზე არ უგზავნის ფულს.

ქ. თბილისის პროკურატურის ჩარევის შემდეგ ი. კ. ქრისტოფოვიჩმა თავის ყოფილ მეუღლეს მთლიანად გადაუგზავნა დავალიანება, და შემდეგში, რეგულარულად დაიწყო ბავშვის სარჩენად სახსრების გადაგზავნა.

მოქ. ი. კ. არჩიევა საჩივარში წერდა, რომ მის ქმარს ვ. ი. ვესელოვს ყოველთვიურად უნდა ეხადა ბავშვის ალიმენტი ხელფასის 33 პროცენტის ოდენობით, მაგრამ ამ თანხას იგი ვერ იღებს იმის გამო, რომ მისი ყოფილი ქმარი თავს არიდებს ალიმენტის გადახდას. ქ. ქუთაისის მილიციის ორგანოების მიერ მიღებული ზომების შედეგად დადგინდა მოპასუხე ვ. ი. ვესელოვის საცხოვრებელი ადგილი, დააპატიმრეს იგი და მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

დაახლოებით ორი წლის განმავლობაში არიდებდა თავს ალიმენტის გადახდას ტ. ბ. ყაველაშვილი, ჭიათურის მილიციის განყოფილებამ დააპატიმრა იგი. ყაველაშვილი გასამართლებულ იქნა.

ზუგდიდის რაიონიდან მიღებული საჩივრების საფუძველზე დაიდგნა 29 პირი, რომელიც თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას. მათგან ოთხი: ა. ა. პოლიანსკი, პ. დ. მურავიევი, ვ. ნ. ბრულიოვი და კ. კ. ჩაიკა აღმოაჩინეს საკავშირო ტებნის გამოცხადების შედეგად; ისინი დააპატიმრეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში, გადმოგზავნეს ზუგდიდში და როგორც ალიმენტის ურჩი არგადამხდელები გასამართლებული იქნენ ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ. მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით.

შემოსული საჩივრებისა და განცხადებების საფუძველზე, საქართველოს სსრ მილიციის ორგანოებმა აღძრეს საცქაოდ ბევრი სამძებრო საქმე ალიმენტის ურჩი გადახდელთა მიმართ, მიღებული ზომების შედეგად 1960 წელს დაძებნილ იქნა 298 ასეთი პირი, 1961 წელს — 220, ხოლო 1962 წელს 300 ალიმენტის ურჩი არ გადახდელი. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ალიმენტის გადახდევინებაზე შემოსული საჩივრებისა და განცხადებების უმრავლესობა დასაბუთებულია. პროკურატურისა და მილიციის ორგანოების ჩარევის შედეგად ქალებისა და ბავშვების კანონიერი უფლებები აღდგენილ იქნა.

1961 და 1962 წლებში საქართველოს სსრ პროკურატურამ ქალაქ თბილისში და რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში შეამოწმა მილიციის ორგანოების მხრივ იმ პირთა დაძებნის მდგომარეობა, რომლებიც თავს არიდებენ ალიმენტის გადახდას.

შემოწმებამ ცხადყო, რომ უკანასკნელ ხანს განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი საჩივრებისა და განცხადებების გადაწყვეტის გაუმჯობესებისათვის. მილიციის ორგანოებმა დაძებნეს ალიმენტის ბევრი ურჩი არ გადახდელი. მილიციის მუშაკები ინიციატივას იჩენენ ადგილებზე, მტკიცედ იცავენ ქალებისა და ბავშვების უფლებებსა და ინტერესებს.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ქ. რუსთავის მილიციის განყოფილების მუშაობა, სადაც შემოსული საჩივრები ალიმენტის საქმეებზე სწრაფად მოწმდება და ტარდება ოპერატიული ღონისძიებანი საალიმენტო თანხის გადახდისაგან თავის ამრიდებელთა დაძებნისათვის. ამ საქმეში კარგად იყენებენ სახლის რწმუნებულებს, საბინაო კომუნალურ განყოფილებებს, დასაძებნ პირთა ყოფილ საცხოვრებელი სახლის მეზობლებს. ხშირად მათ წარუდგენენ ამოსაცნობ პირთა ფოტოსურათებს და სხვ. ქალაქის მილიციის განყოფილებამ მოიწვია რუსთავის საზოგადოებრიობის კრება, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ამ საკითხზე. კრებაზე გამოაქვეყნეს ძებნაში მყოფი პირთა სია, რომლებმაც მიატოვეს ოჯახი და ბავშვები საარსებო საშუალებების გარეშე. მეორე დღეს მილიციაში მოვიდა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ხარატი ამხ. კ. კუხნეცოვი, რომელიც ესწრებოდა აღნიშნულ კრებას და აცნობა მილიციას რ. ვ. სელდეცკოვის მისამართი, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას და რომლის მიმართ გამოცხადებული იქნა საკავშირო ძებნა.

მილიციის მუშაკები მოსარჩილეებთან საუბრით ადგენენ ახალ მონაცემებს მოპასუხეებზე. ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს მოქ. ა. ი. იაჩმენცევამ წარადგინა თავისი ყოფილი მეუღლისაგან მიღებული წერილი. მისი მეუღლე თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას. ამასთან ქმარი წერილში განზრახ არ უთითებდა თავის მისამართს. მას აინტერესებდა ბავშვის ბედი. წერილის შინაარსითა და საფოსტო ქვითრით გასაგები გახდა, რომ ა. მ. იაჩმენცევი იმყოფებოდა მოსკოვის ოლქის ქ. ჩეხოვში. მილიციის ორგანოებს სასწრაფოდ გაეგზავნათ შეკითხვა და საბოლოოდ გამოირკვა, რომ მოპასუხე ა. მ. იაჩმენცევი ნამდვილად ცხოვრობდა ქ. ჩეხოვში.

ბევრ ძალასა და ენერგიას ანდომებდა ალიმენტის ურჩი არ გადახდელთა დაძებნას ტყიბულის მილიციის განყოფილების საპასპორტო მაგიდის ყოფილი უფროსი ტ. კ. მიქიაშვილი. მისი მოსაზრებულობითა და ინიციატივით 1960 წელს დაძებნილ იქნა ალიმენტის 20 ურჩი არ გადახდელი; მათ მიმართ გამოცხადებული იყო ადგილობრივი ძებნა. ამას გარდა 40 ასეთი პირის მიმართ სხვა

ქალაქებში შეკითხვების გადაგზავნით, დადგენილი იქნა მათი საცხოვრებელი ადგილი.

ალიმენტის გადახდისაგან თავის ამრიდებელთა ძეგნაში თავი გამოიჩინა ქ. თბილისის 1 მაისის რაიონის მილიციის განყოფილების ყოფილმა მესასპორტემ ე. ა. საფაროვამ. მოქ. ე. მ. კირიანოვი 1946 წ. გასამართლებული იყო ქურდობისათვის, მან დაკარგა ადამიანის სახე, მიატოვა ოჯახი და უკანასკნელი 6 წელიწადი იმალებოდა. ამიტომ მისი მეუღლე ა. ს. კირიანოვი ვერ ლეგულობდა ალიმენტს. საკავშირო ძეგნამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შედეგი არ გამოიღო. რამდენჯერმე ე. ა. საფაროვა მოვიდა ე. მ. კირიანოვის უფროს ქალიშვილთან ერმაკოვასთან (პირველი ცოლისგან) მის ბინაზე ხეთაგუროვის ქ. № 97-ში ესაუბრა მას და მეზობლებს, რათა დაედგინა ე. მ. კირიანოვის საცხოვრებელი ადგილი. მან დაადგინა, რომ ერმაკოვა ვილაციისაგან იღებს ამანათებს. რამდენიმე დღე ე. ა. საფაროვა იჯდა ფოსტაში და ამოწმებდა საბუთებს საამანათო განყოფილებაში. საბოლოოდ მან მოძებნა ერთ-ერთი ამანათი ერმაკოვას სახელზე, რომელიც გადმოგზავნილი იყო ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის ერთ-ერთი რაიონიდან. საბუთზე აღნიშნული იყო ამანათის გადმომგზავნის გვარი — ე. მ. კირიანოვი. ასე იქნა დადგენილი ე. მ. კირიანოვის საცხოვრებელი ადგილი. ცუდად გამოიჩინა თავი ამ საქმეში თვით ერმაკოვამ, რომელმაც იცოდა ე. მ. კირიანოვის საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ ძაინც მალავდა, არ უმხელდა მილიციის ორგანოებს.

ხშირად მილიციის საპასპორტო მაგიდის მუშაკები, რომლებიც აწარმოებენ ალიმენტის ურჩ არ გადამხდელთა დაძებნას, აკავებენ სხვა დამნაშავე ელემენტებსაც.

მახარაძის რაიონის მილიციის განყოფილების მუშაკებმა დაადგინეს რამდენიმე პირის საცხოვრებელი ადგილი, რომელთა მიმართ ძეგნა იყო გამოცხადებული. ვინმე ზახაროვამ, ცხოვრობდა რა ამ რაიონში ჩაუწყევრავად, არაერთხელ მიმართა სხვადასხვა ინსტანციებს საჩივრით მილიციის მუშაკების უყურადღებო დამოკიდებულებაზე მოქალაქეების მიმართ და ა. შ. საპასპორტო მაგიდის მუშაკებმა დაადგინეს, რომ ზახაროვამ კარელიის ასსრ-ში გაიტაცა დიდი რაოდენობით სახელმწიფო თანხა და მიიძალა. იგი იძებნებოდა. მილიციის ორგანოების სიფხიზლით და მოსაზრებულობით ზახაროვა დაძებნილი და მხილებული იქნა.

ასევე დაძებნა და ამხილა სისხლის სამართლის დამნაშავე მ. გ. ეგიკიანი მცხეთის რაიგანყოფილების მილიციამ; დამნაშავეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა.

გურჯაანის რაიონის საპასპორტო მაგიდის მუშაკთა მიერ დაძებნილი და დაპატიმრებული იქნა ძეგნაში მყოფი რეციდივისტი ს. პ. ორეშვიცი, იგივე ფედოროვი.

ამის მიუხედავად, მთელ რიგ შემთხვევებში, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ქალებისა და ბავშვების უფლებათა დარღვევას. ზოგჯერ იმ პირთა დაძებნის საქმეში, რომლებიც თავს არიდებენ ბავშვის რჩენისათვის თანხების გადახდას, იჩენენ ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას. უმეტესად ასეთი საქმეები დიდი ხნის განმავლობაში უმოძრაოდ დევს.

ქ. ჭიათურის პროკურატურაში შევიდა მოქ. ტ. ვ. ბიწაძის განცხადება გ. ნ. ანასაშვილისათვის ალიმენტის გადახდევინების შესახებ. მილიციამ დაადგინა, რომ გ. ნ. ანასაშვილი მუშაობს ვანის რაიონის სოფ. ქვედა გორაში. ვანის მილიციის რაიგანყოფილების თანამშრომლები ფორმალურად მიუღწენ მოპასუ-

ხის დაძებნას, დაუბრუნეს მთელი მასალები ქ. ჭიათურის მილიციის განყოფილებას მიმართვით, რომ გ. ნ. ანასაშვილი მათ რაიონში არ ცხოვრობს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეში ჩაერია ქ. ჭიათურის პროკურატურა, ვანის რაიონის მილიციამ მიიღო ზომები ალიმენტის ურჩი არ გადამხდელის წინააღმდეგ.

ზუგდიდის მილიციის რაიგანყოფილებაში არის სამძებრო საქმე ალიმენტის ურჩი არ გადამხდელის ი. ვ. ლუკიანოვის მიმართ. აღნიშნული საქმიდან ჩანს, რომ აფხაზეთის ასსრ შსს-მ ძებნა გამოაცხადა 1957 წლის აგვისტოში, ხოლო მასალები ზუგდიდში მხოლოდ 1960 წ. მაისში გადაგზავნეს.

ქუთაისის მილიციაში 1959 წლის 5 აგვისტოდან წარმოებდა ადგილობრივი ძებნა ალიმენტის ურჩი არ გადამხდელის მ. გ. ლომიძის მიმართ; მასალები საერთო საკავშირო ძებნაზე გამოსაცხადებლად საქართველოს სსრ შსს-ში წარადგინეს 1960 წლის მარტის თვეში, იმ დროს როდესაც საერთო საკავშირო ძებნა ცხადდება ადგილობრივი ძებნის დროიდან სამი თვის გასვლის შემდეგ. ამრიგად, საერთო-საკავშირო ძებნა მ. გ. ლომიძის მიმართ გამოცხადდა არა სამი თვის, არამედ 7 თვის შემდეგ.

ცხაკაიას მილიციის რაიგანყოფილებამ 1959 წლის 12 სექტემბერს აღძრა ადგილობრივი ძებნა ალიმენტის ურჩი არ გადამხდელის ი. მ. ბაბინზე, ხოლო მასალები საერთო-საკავშირო ძებნაზე წარადგინა 5 თვის შემდეგ. დავიანებით იქნა წარდგენილი, აგრეთვე, მასალები ძიებაში მყოფ მ. ე. შუშანიასზე. ანალოგიურ დარღვევებს ჰქონდა ადგილი ჩხოროწყუს მილიციის რაიგანყოფილებაში ალიმენტის ურჩი არ გადამხდელის ა. ი. სოტჩენკოს მიმართ.

დარღვევები ქ. თბილისის სხვადასხვა მილიციის რაიგანყოფილებებშიც ხდება.

ორჯონიკიძის მილიციის რაიგანყოფილებაში არის მოპასუხე გ. ი. ნარგიევის სამძებრო საქმე. მოცემული საქმის შესწავლა ნათლად გვიჩვენებს ალიმენტის გადახდისაგან ბოროტი თავის ამრიდებლის მიმართ არასერიოზულ დამოკიდებულებას.

კომბაინის № 43-ში მცხოვრები მოქ. ე. კ. პეტროვა თავის განცხადებაში აღნიშნავდა, რომ მისი ქმარი გ. ი. მარგიევი 1955 წელს ვაემგზავრა კუსტანაის ოლქში ყამირ მიწებზე, იგი იქ დარჩა საცხოვრებლად და შვილი აღინა სარჩოს გარეშე მიატოვა. მან შექმნა იქ ახალი ოჯახი და ყოფილ მეუღლეს დაპირდა ალიმენტის გადმოგზავნას, მაგრამ თავისი დაპირება გ. ი. მარგიევმა არ შეასრულა და ალიმენტის გადახდას თავს არიდებდა. განცხადება მისი დაძებნის თაობაზე შეტანილ იქნა 1958 წლის ნოემბერში, ადგილობრივი ძებნა გამოცხადდა 1959 წლის მარტში, ხოლო საერთო-საკავშირო ძებნა — 1959 წლის დეკემბერში.

ქ. თბილისის საბადურის ქუჩა № 8-ში მცხოვრები მოქ. მ. ი. რიბაკი საჩივარში მიუთითებდა, რომ მისმა ქმარმა ნ. ს. ბონდარენკომ მიატოვა ოჯახი და თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას ბავშვის საზრდოსათვის. ადგილობრივი ძებნა ნ. ს. ბონდარენკოს მიმართ 1959 წლის 13 მაისს გამოაცხადა ქ. თბილისის 26 კომისრის მილიციის რაიგანყოფილებამ, ხოლო საერთო-საკავშირო ძებნა 1959 წლის 13 ოქტომბერს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1959 წელს სამჯერ დაადგინა მისი ადგილსამყოფელი, 26 კომისრის მილიციის რაიგანყოფილებამ არ მიიღო საჭირო ზომები ნ. ს. ბონდარენკოს დასაკავებლად. როგორც

კი მიაგნებდნენ ნ. ს. ბონდარენკოს კვალს. იგი ყოველთვის მოხერხებულად თავს არიდებდა პასუხისმგებლობას.

ამასთან მის მიმართ უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის დევნა, მიეცათ სანქცია მის დაპატიმრებაზე, მაგრამ რატომღაც მილიციის ორგანოები ავიანურებდნენ ამ საკითხის გადაწყვეტას. ყურადსაღებია, რომ 1962 წლის 14 თებერვალს სტავროპოლის მხარის კირიჩევსკის რაიონის მილიციის რაიგანყოფილებაში, რომ ბონდარენკო ცხოვრობდა № 1 მაღაროს დაბაში, სადაც ჩაიდინა ქურდობა და ამჟამად მასზე ძებნაა გამოცხადებული.

დადგენილია, რომ ბონდარენკო ორჯერ იყო პასუხისმგებაში ნამყოფი, ხოლო ესლა შეგნებულად არიდებს თავს მამის მოვალეობას, მოგზაურობს ერთი ოლქიდან მეორეში და ამით ფარავს თავის კვალს.

საინტერესოა კიდევ ერთი საქმე მოპასუხე გ. ნ. არტემოვის მიმართ, რომელიც 10 წლის განმავლობაში იძებნება ალიმენტის გადაუხდელობის გამო. გ. ნ. არტემოვი დემობილიზირებულ იქნა 1946 წელს, ცხოვრობდა თბილისში, დოლიძის ქუჩაზე. 1947 წლის მარტში მან დატოვა ოჯახი და გაემგზავრა უგზო-უკვლოდ; რადგანაც გ. ნ. არტემოვის მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. 1954 წელს ქ. თბილისის პროკურატურამ მისცა სანქცია მის დაპატიმრებაზე. 1957 წლის ივლისში ალიმენტის ურჩ არ გადამხდელ გ. ნ. არტემოვს მიაგნეს და დააპატიმრეს; მაგრამ მან შეძლო ორგანოების ნდობის მოპოვება, თითქოს მან არაფერი არ იცოდა აღმასრულებელი ფურცლის არსებობის შესახებ და პირობა დადო რეგულარულად გადახდიდა ალიმენტს.

იგი გაანთავისუფლეს. ამასვე ელოდა ვ. ნ. არტემოვიც, რომელიც კვლავ მიიმალა და მილიციის სამმართველოს არაფერი დარჩა გასაკეთებელი იმის გარდა, რომ კვლავ აღედგინა ძებნა და გაეცა სანქცია გ. ნ. არტემოვის დაპატიმრებაზე. მაგრამ ამ უკანასკნელმა მარჯვედ მოატყუა ყველა და მის შემდეგ მისი კვალი დაიფარა.

ყველა ეს ფაქტები კიდევ და კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ რაიონის პროკურორები ადგილზე სისტემატურად უნდა სწავლობდნენ ამ კატეგორიის საჩივრებსა და განცხადებებს და თავიანთი კვალიფიციური და დროული ჩარევით უნდა მიიღონ ზომები დედა-ქალების უფლებათა დარღვევის წარმომშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად. კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ქმედითი ზედამხედველობა აღსრულების კანონიერებასა და სასამართლო გადაწყვეტილებაზე ალიმენტის გადახდევინების დროს, მიღებული უნდა იქნეს ზომები საჩივრების დროული და სწორი გადაწყვეტისათვის.

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი მ. მირზოევი.


კომუნისტური პარტია

**პარტიული ორგანიზაციის ჩატარება დანაშაულებრივად
განხილვის საფუძველზე**

გ. რ. შალია

საქართველოს სსრ სწდს მილიციის სამმართველოს
უფროსი, მილიციის III რაზმის კომისარი

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან და კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, მათ შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევის, დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა აღმოფხვრას. კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამართლის დარღვევასა და დამნაშავეობას.


საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებმა, პარტიის ახალმა პროგრამამ ამოცანად დასახა — უზრუნველყოთ სოციალისტური კანონების მტკიცედ დაცვა, დამნაშავეობის წარმომშობი ყველა მიზეზის აღმოფხვრა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ორგანოებთან და მშრომელთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად დიდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის საბჭოთა მილიციას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ მილიციის ორგანოებს, რომლებიც იბრძვიან დანაშაულებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს საბჭოთა მილიციის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლის დარღვევისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ მილიციის მუშაკთა ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას.

საბჭოთა მილიცია მოწოდებულია დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებსა და სატრანსპორტო მაგისტრალეებზე, უზრუნველყოს სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა პიროვნებისა და უფლებების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, დროზე აიცილოს თავიდან, აღკვეთოს, გამოავლინოს სისხლის სამართლის დანაშაული.

მილიცია მთელი თავისი საქმიანობით ხალხის მსახურია, მისი ძალა მასებთან კავშირშია. მილიციის ორგანოები დაუღალავად უნდა აფართოებდნენ და განამტკიცებდნენ კავშირს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ეყრდნობოდნენ მათ დახმარებას, უფრო ფართოდ იყენებდნენ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა კოლექტივების, ამხანაგური სასამართლოებისა და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების ავტორიტეტსა და გავლენას. იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ისეთ სამარცხვინო მოვლენას, როგორცაა დამნაშავეობა, საჭიროა მილიციის, პროკურატურისა და სასამართ-



ლოს ორგანოებთან ერთად დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებან ტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაკები მჭიდრო კავშირში არიან რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებთან და საგრძნობლად აუმჯობესებენ დამნაშავეობასთან ბრძოლას. მათ ცალკეულ შემთხვევაში თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა გახსნის საქმეში.

მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ პროკურატურის გამომძიებლების და მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ოპერატიული მუშაკების მჭიდრო კონტაქტი, მათ მიერ ერთობლივი საგამომძიებლო ოპერატიული ღონისძიებების ჩატარება გვაძლევს ეფექტურ და სასურველ შედეგს.

ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს მოქალაქე ი. ს. გოხმანის მკვლელობის გახსნა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თერჯოლის რაიონში.

1959 წლის 4 დეკემბერს თერჯოლის რაიონის მილიციამ აღძრა საქმე უცნობი მამაკაცის გვამის აღმოჩენის ფაქტის გამო, რომელსაც თავის არეში მოხვედრილი ჰქონდა მცირეყალიბიანი იარაღის სამი ტყვია.

რესპუბლიკის ფარგლებში მოკლულისა და მკვლელის ვინაობის დადგენისათვის ჩატარებულმა ღონისძიებებმა შედეგი ვერ გამოიღო. ამის შემდეგ გადაწყვეტილ იქნა გაეგზავნათ გვამის ფოტორეპროდუქცია მოკავშირე რესპუბლიკის ყველა რაიონის მილიციის ორგანოებში.

1960 წლის აგვისტოში ლენინგრადის ოქტომბრის სახელობის რაიონის მილიციიდან მიღებულ იქნა ცნობა გვამის გამოსახულების ამოცნობის შესახებ. მოკლული აღმოჩნდა მოქ. ი. ს. გოხმანი, დაბადებული 1934 წ. პროფესიით კბილის ტექნიკი. ის მილიციის რაიგანყოფილების მიერ იძებნებოდა, როგორც უკვალოდ დაკარგული.

გამოთხოვილი მასალებით დადგინდა, რომ გოხმანმა უკვალოდ დაკარგვის წინა დღეს ლენინგრადში გაიცნო ეროვნებით ქართველი მამაკაცი და მასთან ერთად 1959 წლის 29 ნოემბერს საკუთარი ავტომანქანა „ვოლგით“ კავშირგზავრა ქ. თბილისში.

გამოძიების შემდგომი წარმოება და აუცილებელი ოპერატიული ღონისძიების ჩატარება დევეალათ საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტს, იუსტიციის მრჩეველს გ. ჟორდანიასა და რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილეს პოდპოლკოვნიკ ფ. მამუჩაშვილს.

შედგენილი ოპერატიული გეგმის მიხედვით მოქმედება ლენინგრადში იწყებოდა. გოხმანის ნათესავებისა და ახლობლების დაკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ მას ჰქონდა ვალები და ამიტომ გადაწყვიტა საკუთარი ავტომანქანის გაყიდვა. ლენინგრადში მან შემთხვევით გაიცნო თბილისელი ენრი ვასილისძე კვაჭიძე, დაბადებული 1927 წ. პროფესიით მძღოლი, წარსულში ორგზის ნასამართლები. კვაჭიძემ მოინდომა მანქანის ყიდვა 8 000 მანეთად. გოხმანი დახარბდა მისთვის მეტად სასარგებლო წინადადებას და ფულის მიღების მიზნით თავისივე „ვოლგით“ მყიდველთან ერთად საქართველოში გამოემგზავრა.

ამასთან დადგენილ იქნა, რომ კვაჭიძემ ქობულეთიდან გაიტაცა მოქ. ტ. კანკიაშვილის ავტომანქანა „ვოლგა“ და ქ. პუშკინოში მიყიდა იგი მოქ. ე. სუხოვს.

ქუთაისიდან თბილისისაკენ მიმავალ გზაზე 1959 წლის 4 დეკემბერს ღამით ე. კვაჭიძემ მცირეყალიბიანი პისტოლეტის სამჯერ თავის არეში სროლით მოკლა ი. გოხმანი, გაიტაცა მისი საბუთები, ავტომანქანა და მიიძალა.

თბილისში მან შეიძინა პასპორტი ედიკ მიხეილის-ძე გრიგორიანის სახელზე, ზუგდიდში მოახდინა მანქანის რეალიზაცია 5.000 მანეთად და გაიქცა რივაში.

რივაში მკვლელი ეწეოდა თავაშვებულ ცხოვრებას, ფლანგავდა ფულებს, რითაც მალე მიიქცია მილიციის ყურადღება, გრიგორიანის სახელზე შეძენილი პასპორტი ყალბი გამოდგა. სასტუმროს ნომერში მას აღმოაჩნდა მცირეყალიბიანი პისტოლეტი 24 ცალი საბრძოლო ვაზნით.

დოკუმენტის სიყალბისა და იარაღის არალეგალური ტარებისათვის კვაჭიძის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე; რადგან რიგის პროკურატურამ უარი განაცხადა მიეცა სანქცია კვაჭიძის დაპატიმრებაზე, მას ჩამოართვეს ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი და საქმე ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებთან ერთად გადმოგზავნეს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოში.

რა თქმა უნდა, ამ მომენტისათვის მისი ნამდვილი დანაშაული გამოაშკარავებული არ ყოფილა. არ დადგენილა ამ დროისათვის არც დაზარალებულის პიროვნება. რივაში განთავისუფლების შემდეგ კვაჭიძე მიიძალა.

ბალისტიკურმა ექსპერტიზამ დაამტკიცა გოხმანის თავის ქალიდან ამოღებული ტყვიებისა და რიგის მილიციის მიერ კვაჭიძისათვის ჩამორთმეული პისტოლეტის ტყვიების იგივეობა.

1960 წელს კვაჭიძე არალეგალურად ჩამოდის თბილისში, იძენს დოკუმენტებს შოთა ალექსანდრეს-ძე ლაცაბიძის სახელზე და მიემგზავრება იაკუტის ასსრ-ის კანგალახის რაიონში, სადაც იმალება ამ გვარით და მუშაობს ტაქსის მძღოლად.

სულ მალე დადგენილ იქნა მისი ადგილსამყოფელი, გვარი, რომლის ქვეშაც ბოროტმოქმედი იმალებოდა; იაკუტის მილიციის მიერ დაპატიმრებული კვაჭიძე ჩამოიყვანეს თბილისში მართლმსაჯულების წინაშე წარსადგენად.

ასე ბრწყინვალედ ჩატარდა ეს მეტად რთული და საინტერესო გამოძიება. საგამომძიებლო ორგანოებისა და სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაკების ერთობლივი მოქმედებისა და სწორი, კოორდინირებული ღონისძიებების ეფექტური შედეგის კარგი მაგალითია ისეთი განსაკუთრებით საშიში დანაშაულის გახსნა, როგორც იყო მოქ. ე. მიქიაშვილის მკვლელობა.

1959 წლის 22 მარტს სამტრედიის რაიონში გაძარცვის მიზნით მოქ. ე. მიქიაშვილს თავს დაესხა სამი უცნობი მამაკაცი. მიქიაშვილს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, მიატოვეს უგრძნობ მდგომარეობაში და მიიძალნენ. დაზარალებული საავადმყოფოში გარდაიცვალა.

იმავე ღამეს მილიციის მუშაკებმა შემთხვევის ადგილთან ახლოს დააკავეს ჯოვლაძე, მიქაძე, ესებუა, რომელთა ირგვლივ შეკრებილმა მასალებმა ცხადპყობათი მონაწილეობა ჩადენილ დანაშაულში; შემდეგ კი დაზარალებულმა ამოიცნო ერთ-ერთი მათგანი, რის საფუძველზეც ისინი დაპატიმრეს.

სამტრედიის რაიონის სახ. სასამართლომ სამივეს მიუსაჯა 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შემდეგში, საქმის ხელახალი გარჩევისას ქუთაისის სახალხო სასამართლომ ჯოგლაძე, მიქაძე და ესებუა გაანთავისუფლა. ისე, რომ მიქიაშვილის მკვლელობა გაუხსნელი დარჩა.

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურისა და მილიციის სამმართველოს ჩარევის შედეგად, მიქიაშვილის მკვლელობის საქმე გამოძიებისათვის გადაეცათ საქართველოს სსრ პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამოძიებელ დ. ქორიძეს და მილიციის სამმართველოს უფროს ოპერარწმუნებულს, მაიორ მ. ბათიაშვილს, რომლებმაც მალე სასურველ შედეგს მიაღწიეს.

გამოძიების მაღალხარისხოვანმა ჩატარებამ დაადასტურა განთავისუფლებულ პირთა დანაშაული და საქმე განსახილველად გადაეცა უმაღლეს სასამართლოს.

1959 წელს მარნეულის რაიონის სოფ. თამარისში იპოვეს თხრილში ჩაგდებული მამაკაცის გვამი, რომელსაც მარჯვენა მხარში მიყენებული ჰქონდა ჭრილობა ცეცხლმსროლელი იარაღით, ხოლო თავის არეში აჩნდა ბლავვი იარაღის დარტყმის კვალი თავის ქალის მარჯვენა მხარის ჩატეხვით.

გვამის აღმოჩენის ფაქტის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გამოძიება დაევალით მარნეულის რაიონის პროკურორის თანაშემწეს გ. ჯაფარიძეს და საქართველოს სსრ სწდს მილიციის სამმართველოს უფროს ოპერარწმუნებულს პოდპოლკოვნიკ ნ. კალანტაროვს.

მოკლულის ვინაობა მალე დადგენილ იქნა, იგი აღმოჩნდა გ. ყ. ამირხანოვი, დაბადებული 1897 წ., მცხოვრები ქ. თბილისში, პენსიონერი, პროფესიით გარმონისტი.

ამირხანოვის პიროვნების ოპერატიული შესწავლის დროს გამოირკვა, რომ პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იგი დაქორწინდა მ. ს. სიმონიანზე, რომელთანაც 30 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. 1955 წლიდან ის დაუახლოვდა პ. ვ. ეკმალიანს, რომელთანაც შეეძინა ვაჟი; ამასთან დაკავშირებით ამირხანოვი გაეყარა სიმონიანს და ოფიციალურად დაქორწინდა ეკმალიანზე. გამოირკვა ისიც, რომ ამირხანოვს განზრახული ჰქონდა ცოლთან ერთად გადასულიყო თავის ძველ ბინაში, სადაც მისი ყოფილი მეუღლე ცხოვრობდა, მისთვის კი ეყიდა ცალკე ოთახი.

საქმის მასალებით ამირხანოვი ხასიათდებოდა უარყოფით ტიპად, იგი ეწეოდა თავაშვებულ ცხოვრებას, როგორც გარმონისტი, ხშირად დადიოდა წვეულებებზე, რომლებიც მისივე აქტიური მონაწილეობით ჩხუბით და აყალ-მაყალით მთავრდებოდა. ადრე იგი დაჭრილი იყო ცეცხლმსროლელი იარაღით, მაგრამ ამის შესახებ საგამომძიებლო ორგანოებში არ უჩივლია.

ამასთან დადგინდა, რომ ამირხანოვის ყოფილი მეუღლე სიმონიან-ამირხანოვა აღიესო თავისი ქმრის მიმართ შურისძიების გრძნობით და ამ დამოკიდებულებას ხშირად ამჟღავნებდა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით წამოყენებული ვერსია — მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე, მუშავდებოდა და მოწმდებოდა სხვა ვერსიებთან ერთად.

მოწმეთა დაკითხვისას გამოირკვა, რომ დაზარალებული 24 ნოემბერს უცნობმა პირებმა მიიწვიეს ქორწილში, როგორც ვარმონისტი და მათთან ერთად იგი გაემგზავრა სოფელ თამარისში.

სასამართლო-სამედიცინო დაკითხვის თანახმად, ამირხანოვს სიკვდილის წინ ალკოჰოლი მიღებული არ ჰქონდა. დადგინდა ის, რომ თამარისში 24 ნოემბერს (ე. ი. დაზარალებულის სოფელში ჩასვლისა და სიკვდილის დღეს) და არც წინა დღეებში ქორწილი არ ყოფილა. ნათელი გახდა, რომ ამირხანოვის ქორწილში მიწვევა იყო მასთან ანგარიშის გასწორების მოგონილი საბაზი.

იმ პირების გამოვლინება, რომლებთანაც დაზარალებული შეიძლება ყოფილიყო მტრულ დამოკიდებულებაში გამოძიებით ვერ მოხერხდა.

გამოირკვა, რომ ამირხანოვი ქორწილის საბაზით დაპატიჟა მისივე ნათესავმა სერგეიმ, რომელიც ცხოვრობდა სოფელ თამარისში და მას თან ახლდა კიდევ ორი მამაკაცი.

გამოძიებით გამოირკვა, რომ დაზარალებულის ნათესავმა გევორჯ ავეტისოვმა, რომელიც იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, ამირხანოვის მკვლელად მისივე ნათესავი სერგეი გევორჯოვი დაასახელა. გამოძიებამ აგრეთვე დაადგინა ქეიფში მონაწილე ერთ-ერთი პირი მოქ. ა., რომელმაც დაადასტურა გევორჯ ავეტისოვის ნათქვამი.

გ. ავეტისოვი დააკავეს სოფელ სამშვილდოში და სასწრაფოდ დაიკითხა. პირველად იგი უარყოფდა თავის მონაწილეობას ჩადენილ დანაშაულში, იძლეოდა დაქსაქსულ პასუხებსა და საწინააღმდეგო ჩვენებებს. დარწმუნებითი მეთოდის ზემოქმედებით ერთ-ერთი დაკითხვის დროს ავეტისოვმა გამოთქვა სურვილი ყველაფერი ელიარებინა და მისცა შემდეგი ჩვენება: იგი დიდი ხანია იცნობდა დაზარალებულის ყოფილ მეუღლეს მარიამ სიმონის-ასულ სიმონიან-ამირხანოვას. ერთ-ერთი შეხვედრის დროს სიმონიან-ამირხანოვმა უამბო თუ როგორ მიატოვა ქმარმა და გამოთქვამდა ბინისა და ქონების დაკარგვის შიშს, რომელსაც მომავალში შეიძლებოდა დაუფლებოდა ეკმალიანი. შემდეგ მან წინადადება მისცა ავეტისოვს შოეკლა გ. ამირხანოვი—გადასცა თანხა 800 მანეთის რაოდენობით, 200 მანეთის გადახდას კი მომავლისთვის შეპირდა.

გ. ავეტისოვი დათანხმდა სიმონიან-ამირხანოვის წინადადებას. ბოლოს კი ბრალდების შემცირების მიზნით მან განაცხადა, რომ მკვლელობის ჩადენის შეეშინდა და ამიტომ შეუთანხმდა სერგეი გევორჯოვს, რომ მას მოეყვანა სისრულეში დანაშაული და გადასცა აღნიშნული თანხა უკლებლივ.

მაგრამ საქმის მასალები მოწმობენ, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო ნამდვილად სამი პირის მიერ და, რომ სამივე ერთნაირად იყვნენ დამნაშავენი. მესამე პირის დადგენის საკითხი ჯერ-ჯერობით ღიად რჩებოდა.

ს. გევორჯოვი დაკავებულ იქნა სოფ. თამარისში. მის შესახებ შეკრებილი მასალები მოწმობდნენ, რომ გევორჯოვი არ ეწეოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, თავაშვებულად ცხოვრობდა და ხშირად იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში.

დადასტურდა, რომ 24 ნოემბერს იგი იმყოფებოდა ქ. თბილისში და ბოლო ხანებში შემფოთებული და აღელვებული დადიოდა; დაკითხვის დროს მან არ უარყო თბილისში ჩამოსვლის ფაქტი, მაგრამ თბილისში ჩამოსვლის მიზეზად გევორჯოვმა ქალის მოტაცება დაასახელა.

გამოძიებამ გაატარა სათანადო ღონისძიებები მესამე დამნაშავე პირის დადგენისათვის და საბოლოოდ გამოირკვა, რომ მესამე დამნაშავე იყო თეთრი წყაროს რაიონის სოფ. სამშვილდოში მცხოვრები მ. გ. ჯაგინიანი, რომელიც დაპატიმრებულ იქნა.

ჯაგინიანი პირველად ამირხანოვის მკვლელობაში მონაწილეობას უარყოფდა, მაგრამ დამნაშავეებთან დაპირისპირების შემდეგ აღიარა, რომ მან ავეტისოვთან და გევორქოვთან ერთად მონაწილეობა მიიღო ამირხანოვის მკვლელობაში; სამივენი შეთანხმდნენ ერთად განეხორციელებინათ მკვლელობა, რის შემდეგ თანაბრად გაიყოფდნენ სიმონიან-ამირხანოვის მიერ მიცემულ თანხას. გადაწყვიტეს განზრახვა მოეყვანათ სისრულეში. მეორე დღეს, 24 ნოემბერს ისინი გაემგზავრნენ ქ. თბილისში, ამირხანოვი დაპატიჟეს ქორწილში და დაბრუნდნენ სოფ. თამარისში. სოფლიდან ორი კილომეტრის დაშორებით ჩამოვიდნენ დაქირავებული მანქანიდან იმ მოტივით, რომ საცალოფეხო გზით უფრო მალე მივიდოდნენ სოფელში. მიუახლოვდნენ ვენახს და მასზე გავლით შევიდნენ ბუჩქებში. ავეტისოვის ნიშნის მიცემისთანავე ჯაგინიანმა ამირხანოვს თავში დაარტყა ბლავვი იარაღი, შემდეგ გევორქოვმა გააგრძელა ჯაგინიანის დაწყებული საქმე; ავეტისოვმა კი ცეცხლმსროლელი იარაღით ჭრილობა მიაყენა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ განზრახვა სისრულეშია მოყვანილი, გარდაცვალებულს გახადეს ჩექმები, პალტო, აცალეს გარმონი; გვამი თხრილში ჩაადგეს, იარაღები წყალში ჩაყარეს და თვითონ კი მიიმალნენ. სამივე დამნაშავე მიიყვანეს შემთხვევის ადგილზე. მათ ჩვენებებში მოცემული აღწერა ზუსტად დაემთხვა სინამდვილეს. ამრიგად, დანაშაულის ყველა მონაწილე სახეზე იყო.

გამოძიებამ პატიმრობაში აიყვანა აგრეთვე ამირხანოვის ყოფილი მეუღლე მარიამ სიმონის ასული სიმონიან-ამირხანოვა; ამასთან ერთად ამოღებულ იქნა აწ გარდაცვლილ ამირხანოვის ნივთები.

ამრიგად, პროკურატურისა და მილიციის ოპერატიული მუშაკების შეთანხმებული ერთობლივი მუშაობით მიღწეულ იქნა კიდევ ერთი მორიგი გამარჯვება.

ამის დასადასტურებლად ჩვენ კიდევ მრავალი ფაქტის მოყვანა შეგვიძლია. ასე მაგალითად: საქართველოს სსრ სწდს მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ოპერატიულმა მუშაკმა მაიორ ონანაშვილმა და საქართველოს სსრ სწდს გურჯაანის რაიონის გამომძიებელმა დათუნაშვილმა შეთანხმებული მუშაობით მეტად სერიოზულ შედეგებს მიაღწიეს. მოკლე დროში მათ 36 სისხლის სამართლის დანაშაული გახსნეს, აქედან 17 ძარცვა, 14 მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის შემთხვევა.

მისასალმებელია საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ინიციატივა—საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ოპერატიულ მუშაკებთან ერთად უზრუნველყონ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეების გახსნა ერთობლივი ღონისძიების გატარებით.

საქართველს სსრ აფროკავშირის 40 წლისთავი

ბ. პანიბაძე

საქართველოს სსრ აფროკავშირის კოლეგიის
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

1922 წლის 2 ნოემბერს საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება საქართველოში ადვოკატურის შექმნის შესახებ.

ამ დადგენილების შესაბამისად შეიქმნა დამცველთა კოლეგიები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

საბჭოთა ადვოკატურა დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ფუნქციებს ასრულებს.

ბურჟუაზიული ადვოკატისაგან განსხვავებით საბჭოთა ადვოკატი არა მარტო იცავს სამართალში მიცემულის ინტერესებს, არამედ ეხმარება სასამართლოს სწორი მიმართულების აღებასა და სამართლიანი განაჩენის დადგენაში.

საბჭოთა სასამართლო მოწოდებულია მტკიცედ დაიცვას საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესები. იგი მკაცრად სჯის იმ პირებს, რომლებიც უხეშად არღვევენ სოციალისტური თანაცხოვრების წესებს. ამასთანავე სასამართლო ორგანოები მოწოდებული არიან მტკიცედ დაიცვან კანონმდებლობა, არ დაუშვან უდანაშაულო პირთა დასჯა, დანერგონ საბჭოთა ადამიანებში სოციალისტური კანონებისადმი პატივისცემის გრძნობა.

სასამართლო ამ ამოცანებს წარმატებით მხოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ განუხრელად დაიცავს საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. ამ მოთხოვნათა დაცვაში

საბჭოთა ადვოკატიც აქტიურად მონაწილეობს; იგი სამართალში მიცემულის კანონიერ ინტერესებს იცავს და ამით მნიშვნელოვან როლს ასრულებს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების საქმეში.

საბჭოთა ადვოკატი ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ღრმა ანალიზს უკეთებს, ცალკეულ შემთხვევაში აკრიტიკებს ნაკლოვანებებს, რომლებიც მოკვლევისა თუ გამოძიების მიერ იქნა დაშვებული. ქართველი ადვოკატების მაღალპრინციპულობის მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება სამართალში მიცემულთა უფლებების დაცვის სწორად განხორციელებისთან დაკავშირებით.

ადვოკატი ა. გელოვანი სამართალში მიცემულ კალანდაძის ინტერესებს იცავდა. კალანდაძეს საგამომძიებლო ორგანოების მიერ ბრალი ედებოდა უაღრესად მძიმე დანაშაულში — ადამიანის განზრახ მკვლელობაში. მთავარი ის იყო, რომ კალანდაძე წინასწარ გამოძიებაში თავს დამნაშავედ ცნობდა და მიუთითებდა იმ მიზეზებზე, რის გამოც მან მკვლელობა ჩაიდინა. დამახასიათებელია ისიც, რომ აღიარებასთან ერთად არსებობდა თითქოს არაპირდაპირი მხილებებიც. საქმის ღრმად შესწავლის შემდეგ ადვოკატ ა. გელოვანისათვის საეჭვო შეიქნა კალანდაძის მიერ მიცემულ ჩვენებათა სისწორე და, საბოლოოდ დარწმუნდა რა მის სრულ უდანა-

შეუღობაში, იბოვნა არგუმენტები და კანონიერი საფუძვლები. იმისათვის, რომ სასამართლოში ეშუამდგომლა კალანდაძის უდანაშაულოდ ცნობისა და მისი გამართლების შესახებ. სასამართლომ არ გაიზიარა ადვოკატ ა. გელოვანის შუამდგომლობა და კალანდაძეს 18 წლით პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ადვოკატის თანმიმდევრულმა, პრინციპულმა მოქმედებამ ნაყოფი გამოიღო — სასამართლოს ზემდგომმა ორგანოებმა კალანდაძე გაამართლეს. მკვლეელი სხვა პირი აღმოჩნდა.

დაცვის ინსტიტუტის არსებობა თავისთავად სრულებით არ გულისხმობს იმას, რომ ბრალდებულს თუ სამართალში მიცემულს როგორმე გაეწიოს დახმარება მიუხედავად იმისა, იქნება ეს კანონიერი თუ უკანონო. კანონის შესაბამისად „დამცველი მოვალეა გამოიყენოს კოდექსში აღნიშნული დაცვის ყველა საშუალება და ხერხი იმ მიზნით, რომ გამოირკვეს გარემოებანი, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას და გაუწიოს ბრალდებულს სხვა საჭირო იურიდიული დახმარება“. იცავენ რა კანონით გათვალისწინებულ ამ მოთხოვნებს, საბჭოთა ადვოკატები არ მიმართავენ დაცვის ისეთ საშუალებებსა და ხერხებს, რომლებიც დაბნეულობასა და არასიზუსტეს შეიტანს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებაში.

თავის პროფესიულ მოღვაწეობაში საბჭოთა ადვოკატი წინა პლანზე აყენებს სიმართლეს, პატიოსნებასა და ჰუმანურობას. ამ დადებითი თვისებების მატარებელი ბევრია საქართველოს სსრ ადვოკატთა შორის, მაგრამ ჩვენ ერთი დამახასიათებელი მაგალითის მოტანით დავკმაყოფილდებით.

ქ. თბილისში მომუშავე ადვოკატს კ. კალანდაძეს სასამართლომ დაავალა დაეცვა სამართალში მიცემულ არასრულწლოვან ილზა სუნას ინტერესები.

როგორც გამოირკვა ილზა სუნას მშობლებს დაეკარგა ომის დროს. იგი უგზო-უკვლოდ დაიოდა ქალაქიდან ქალაქში, ბოლოს ქ. თბილისში დანაშაულზე წაასწრეს და დააპატიმრეს. ადვოკატმა კ. კალანდაძემ გამოიჩინა დიდი გულისხმიერება, შეუდგა ილზა სუნას მშობლების ძებნას და სასამართლოს მეშვეობით დაუბრუნა იგი 14 წლის წინათ დაკარგულ დედას.

ქართველი ადვოკატები კანონით გათვალისწინებულ ყოველგვარ საშუალებებსა და მეთოდებს იყენებენ იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სამოქალაქო დავათა სწორი გადაწყვეტა.


საქართველოში ამჟამად ხუთასზე მეტი ადვოკატი მუშაობს.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში თითებზე ჩამოსათვლელი იყო ადვოკატი ქალი, ამჟამად იურიდიულ კონსულტაციებში 107 ადვოკატი ქალი მუშაობს. ადვოკატებიდან 254 სკკპ წევრია; უმაღლესი იურიდიული. განათლებითაა 430.

საქართველოს ადვოკატთა უმეტესი ნაწილი კარგად არის დაუფლებული თავის პროფესიულ საქმიანობას, ისინი სისტემატურად იმაღლებენ პოლიტიკური და იურიდიული ცოდნის დონეს; ბევრი მათგანი აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამ უკანასკნელ პერიოდში, სამოქმედოდ შემოღებული კოდექსებისა და ცალკეული საკანონმდებლო აქტების დამუშავებაში, აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მადლობა დაიმსახურეს ადვოკატებმა: ბ. ბარათაშვილმა, ა. გელოვანმა, ბ. ამირალოვმა და ა. საგინაშვილმა.

საკანონმდებლო აქტების პროექტთა დამუშავებაში აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე ადვოკატი ა. ზოჭოლავა.



საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი სისტემატურად ამოწმებს ადვოკატთა მუშაობის ხარისხს და ლებულობს საჭირო ღონისძიებებს მათი პროფესიული დაოსტატებისათვის. ადვოკატები ღიდ ყურადღებას უთმობენ სამართლის პროპაგანდის საკითხებს. საქართველოს ადვოკატების მიერ 1961 წელსა და 1962 წლის პირველ ნახევარში სამართლის საკითხებზე წაკითხულია 1460 ლექცია-მოსხენება. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა 1962 წლის 24 აპრილს, განიხილა რა სასამართლო პროცესებში ადვოკატთა აქტიური მონაწილეობის საკითხი, დაავალა რესპუბლიკის ყველა იურიდიულ კონსულტაციას მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიება იმისათვის, რომ ადვოკატები ზედმიწევნით ეცნობოდნენ კონკრეტულ საქმეთა შინაარსს, ღრმა იურიდიულ ანალიზს უკეთებდნენ წარმოდგენილ მასალებსა და ყველა საჭირო შემთხვევაში შუამდგომლობდნენ სასამართლოს წინაშე იმ პირთა სისხლისა თუ დისციპლინურ პასუხისმგებლობაზე, რომელთა დაუდევრობითა და უყაირათობით ხელი შეეწყო დანაშაულის ჩადენას. ამკამად ადვოკატები ღიდ ყურადღებას უთმობენ დანაშაულის მიზეზების შესწავლას და ეხმარებიან სასამართლო ორგანოებს ამ მიზეზების გახსნის საქმეში. ამასთანავე დაუნდობლად ამხელენ დაუდევრობას, უყაირათობასა და სხვა ისეთ მანკიერებას, რომელთა შესახებაც მოკვლევისა თუ წინასწარ გამოძიების დროს არ ყოფილა გამახვილებული ყურადღება.

1962 წლის 11 მაისს თელავის რაიონის სახალხო სასამართლოში განხილულ იქნა ს. კობტაშვილისა და ვ. ვარდანაშვილის ბრალდების საქმე. მათ ბრალი ედებოდათ სოფელ ართანის კოლმეურნეობიდან 6.690 ნამყენი ვაზის მოპარვაში. სასამართლოს პროცესზე გამოიჩინა, რომ კოლმეურნეობის გამ-

გეობის მიერ სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული ვაზის ნამყენი. ამით ისარგებლეს ბოროტმოქმედებმა და დაიტაცეს საკოლმეურნეო საკუთრება. ადვოკატმა ვ. ქიტაშვილმა მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა მიმართ კერძო განჩინების გამოტანის შესახებ. სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა და საქართველოს სსრ 321 მუხლის საფუძველზე გამოიტანა განჩინება კოლმეურნეობის იმ მუშაკთა დასჯის შესახებ, რომელთა უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის შედეგად მოხდა საკოლმეურნეო ქონების გატაცება.

1962 წლის 26 ივნისს დმანისის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა სოფელ ირგანჩაის კოლმეურნეობის ავტომძღოლის ბ. ბაირამოვის ბრალდების საქმე, რომელმაც ა/წლის 26 მაისს მოახდინა ავტო-ავარია, რის შედეგადაც დაიღუპა მოქ. ი. ნაზიევი და მძიმე დაზიანება მიიღო ორმა კაცმა. საქმის განხილვის დროს ადვოკატმა ა. ოვანიანმა სასამართლოს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ ავტომძღოლ ბაირამოვს გარაყიდან მანქანა ყოველთვის გამოყავდა ტექნიკურად მოუწესრიგებელ მდგომარეობაში. ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ გამოიტანა კერძო განჩინება იმ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, რომელთა უყურადღებობითა და დაუდევრობით არ ეწეოდა სათანადო კონტროლი და საჭირო ზედამხედველობა მანქანის მძღოლ ბაირამოვის საქმიანობას.

მრავალი მაგალითით დასტურდება, რომ უკანასკნელ დროს ადვოკატები საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მუშაკებთან ერთად აქტიურად არიან ჩაბმულნი დანაშაულის წარმოშობის მიზეზების გახსნისა და ამ მიზე-

ზების ლიკვიდაციისათვის ბრძოლის საქმეში.

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა გააფართოვა დაცვის უფლებები. ეს უმთავრესად ეხება წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობის საკითხს.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა მოახდინა ამ მიმართებით ჩატარებული მუშაობის შემოწმება და გამოიკვია, რომ ბევრი ადვოკატი კარგად ასრულებს კანონის ბოთხოვნას და წინასწარ გამოძიებაში ჩაბმის სტადიიდან საჭირო დახმარებას უწყევს საგამომძიებლო ორგანოებს ქვეშაირიტების დადგენის საქმეში.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში მომუშავე ადვოკატმა ს. გეწაძემ 1961 წლის ივლისის თვეში მონაწილეობა მიიღო, როგორც დაზარალებულის ინტერესების დამცველმა, ზესტაფონის რაიონის პროკურატურის წარმომებაში მყოფ ს. გელაძის ბრალდების საქმეზე. გელაძეს ბრალი ედებოდა თავისი ცოლის მკვლელობაში. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით მან მოაწყო ცოლის თვითმკვლელობის ინსცენირება და ცდილობდა დამტკიცებინა, რომ თითქოს მისმა ცოლმა დანით მოიკლა თავი. საქმის მასალების საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ ადვოკატმა ს. გეწაძემ სამართლიანი უშამდგომლობა აღძრა პროკურატურის წინაშე — მოითხოვა იმ პირთა დაკითხვა, რომლებმაც იცოდნენ მკვლელობის შესახებ, იუშამდგომლა ს. გელაძის ბინაში ჩხრეკის დამატებით ჩატარებაზე და სხვა. საგამომძიებელმა შიასრულა ეს მოთხოვნები. განმეორებით ჩატარებულ ჩხრეკის შედეგად მან სისხლიანი პერანგი და სხვა ისეთი ნივთმტკიცებები აღმოაჩინა, რომლებიც აშკარად ამხელდნენ გელაძეს მძიმე ბოროტმოქმედებაში.

კიროვის სახელობის რაიონის

იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ვ. კეკელია დებულობდა, რომ მონაწილეობას წინასწარ გამოძიებაში ს. ფოჩხუას მკვლელობის საქმეზე, მასალების ღრმად შესწავლის შედეგად, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დაზარალებული, რომლის ინტერესებს ის იცავდა, მოკლული იყო არა იმ მოტივებით; რაც სსკ 105 მუხლით არის გათვალისწინებული (პროკურატურის მიერ მკვლელის მ. მაგრაქველიძის დანაშაული სსკ 105 მუხლით იყო დაკვალიფიცირებული), არამედ მკვლელობა ჩადენილი იყო დამამძიმებელ გარემოებაში. ადვოკატ ვ. კეკელიას მოტივირებული უშამდგომლობანი ამ საქმეზე გაიზიარა პროკურატურამ. მაგრაქველიძე სსკ 104 მუხლით იქნა მიცემული პასუხისგებაში; საბოლოოდ, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ამავე მუხლით იცნო ის დამნაშავედ და გამოუტანა სათანადო სასჯელი.

წინასწარ გამოძიებაში აქტიურად მონაწილეობენ სხვა ადვოკატებიც. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციიდან ადვოკატი შ. ლეკვეიშვილი, კალინინის სახელობის რაიონის იურიდიულ კონსულტაციიდან ადვოკატი დ. სეზუა, პირველი მაისის სახელობის რაიონის იურიდიულ კონსულტაციიდან ადვოკატი ა. კვერნაძე, ზუგდიდის რაიონის იურიდიული კონსულტაციიდან ადვოკატი ს. შონია და ბევრი სხვა.

1961 წლის 27 დეკემბერს რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ — საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულება. დებულების შესავალში ახლებურად არის განსაზღვრული კოლეგიების ძირითადი ამოცანები და მოვალეობანი.

„ადვოკატთა კოლეგიები, — ნათქვა-

მიაღებულების მეორე მუხლში, — მთელი თავისი საქმიანობით მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას და განმტკიცებას, მართლმსაჯულების განხორციელებასა და საბჭოთა კანონების პროპაგანდას. ადვოკატთა კოლეგიების მუშაობის ეს მნიშვნელოვანი მხარე მხოლოდ ნაწილია რთული და მრავალმხრივი საქმიანობისა, რასაც დაცვის ინსტიტუტი ანხორციელებს ჩვენს სინამდვილეში.

— დებულების მე-18 მუხლი ავალებს ადვოკატს „მუდმივად იზრუნოს თავისი ცოდნის სრულყოფისათვის, თავისი იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის“.


ამ მიზნით ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ მიღებულია ქმედითი ღონისძიებანი, სისტემატურად ეწყობა მაღალი ტიპის სემინარული მუშაობა, ადვოკატები კითხულობენ მოხსენებებს ცალკეულ თემებზე. უმთავრესად კი ყურადღება გამახვილებულია ახალ საკანონმდებლო მასა-

ლების დამუშავებასა და პრაქტიკაში წამოჭრილ რთულ და სადაო საკითხების გარკვევაზე. ამ მხრივ კარგად მუშაობენ ადვოკატები: შ. გვათუა, ნ. გიგინეიშვილი, გ. ლეჟავა, ვ. ყურაშვილი, ბ. ხომერიკი, ი. კაშია, შ. ლეკვიეშვილი და სხვები.

პრეზიდიუმის ინიციატივით ტარდება ლექციები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე.

ეწყობა აგრეთვე იურიდიული ხასიათის შრომების საჯარო განხილვა, შეხვედრები საბჭოთა მწერლებთან და სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, სადაც აქტიურად მონაწილეობენ ადვოკატები: გ. უგრეხელიძე, ვ. სიღამონიძე, ნ. კველიშვილი, ვ. კეკელია და სხვები.

თვითეული ადვოკატი მოვალეა ყოველდღიურად იმაღლებდეს იდეურ პოლიტიკურ დონეს, იყოს უმწიკვლო, პატივს სცემდეს თავის პროფესიასა და სათანადოდ აფასებს მას; მხოლოდ მაშინ შესძლებს ის შეასრულოს დიდი საპატიო ამოცანა, რომელიც საბჭოთა ადვოკატს აკისრია.



ღვით ბაგრატიონი ბრალის შესახებ

პროფ. ივ. სურგულაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ღვით ბაგრატიონის გამოუქვეყნებელი შრომა „სამართალი“ (H, 840).

ეს შრომა ფასდაუდებელი განძია საქართველოს ისტორიისათვის, განსაკუთრებით კი ქართული სამართლის ისტორიისათვის. მასში მოცემულია დიდძალი მასალა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგის შესახებ.

ღვით ბაგრატიონი დიდად განათლებული ადამიანი იყო. ერეკლე II-ის საყვარელ შვილიშვილს, ღვითს სამეფო კარზე თავის დროისათვის ჩინებული განათლება ჰქონდა მიღებული. ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდის იგი გაგზავნილი იყო რუსეთში, სადაც გააღრმავა თავისი სწავლა. ღვითი კარგად იცნობდა XVIII საუკუნის განმანათლებელთა იდეებს.

მან ქართულად თარგმნა მონტესკიეს „კანონთა არსი“ და ამ შრომას თვლიდა ერთ-ერთ „უმჯობეს შრომად“. მანვე თარგმნა ქართულად ანსილიონის შრომა ესთეტიკის შესახებ. ღვითის კალამს ეკუთვნის ისტორიული, ფილოსოფიური, ენათმეცნიერული და იურიდიული შინაარსის შრომები¹.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ ღვითის თავისუფალი აზროვნებით სამეფო სახლი ძლიერ შემოფთობული იყო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ღვითი გამოთქვამს თავის მოსაზრებას „ბუნებითი სჯულის“ შესახებ; ეჭვგარეშეა, რომ ის იცნობს ე. წ. „ბუნებითი სამართლის სკოლას“ და მის შეხედულებას იზიარებს. რასაკვირველია, ბუნებითი სამართლის სკოლის საფუძვლები ყალბია, არამეცნიერული, მაგრამ ერთ დროს მან მაინც ერთგვარი პროგრესული როლი შეასრულა, რამდენადაც ის ახალგაზრდა ბურჟუაზიის

ხელში იდეოლოგიური იარაღი იყო დრომოქმული ფეოდალიზმისა და თეოლოგიის წინააღმდეგ.

ღვით ბაგრატიონის ხსენებული შრომა საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ მასში მოცემულია საინტერესო მასალა საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ შრომაში გატარებულია პროგრესული იდეები.

ამ შრომით ჩვენ ღვითი წარმოგვიდგება, როგორც უაღრესად განათლებული, ნიჭიერი მეკლევარი, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი. პატარა სტატიაში შეუძლებელია ყოველმხრივ დავახსიათოთ ღვით ბაგრატიონის ეს შრომა. ამ შესანიშნავი შრომიდან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ერთ საკითხს— ღვითის შეხედულებას ბრალის შესახებ.

ცნობილია, რომ ბრალის საკითხი დღინანია იქცევს კაცობრიობის ყურადღებას. კაცობრიობას დასჭირდა ხანგრძლივი დრო იმისათვის, რომ მისულიყო დასკვნამდე: ბრალი არის დანაშაულის არსებითი ნიშანი, არ უნდა არსებობდეს არავითარი სასჯელი, თუ არ არის ბრალი. სამართლის მეცნიერების წარმომადგენლები ერთხმად აღიარებენ, რომ ბრალის სწავლების სიღრმის ხარისხის მიხედვით იზომება ამა თუ იმ ხალხის სამართლის განვითარების დონე.

ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი, უცნობი იყო. კაცობრიობის განვითარების დაბალ საფეხურზე ბატონობდა ე. წ. ობიექტური შერაცხვის პრინციპი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ პასუხისმგებლობისათვის საკმარისი იყო მხოლოდ მოქმედების გარეგანი შედეგი. ობიექტური შერაცხვისათვის არავითარი მნი-

¹ ლ. ასათიანი, ვოლტერნიანობა საქართველოში, 1933 წ.

შენელობა არ ჰქონდა დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, მოქმედის შინაგან მდგომარეობას. ობიექტური შერაცხვისათვის საკმარისი იყო მოქმედება და მოქმედება — შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა ხასიათისა იყო ეს კავშირი. ობიექტური შერაცხვის პრინციპის შეცვლა ბრალით, როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძვლით — თანდათანობით ხდებოდა და საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა.

ბრალის ფორმებისა და სახეების შესახებ სწავლება მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ბრალის საკითხის დამუშავებაში მონაწილეობას ლებულობდა ქართული იურიდიული აზროვნება. ამ მიმართულებით აღსანიშნავია პირველ ყოვლისა ექვთიმე მთაწმიდელი, ფეოდალური საქართველოს გამორჩენილი მთაწმინდელი.

ექვთიმეს შეხედულებით დანაშაული შეიძლება იყოს განზრახვითი და „უნებელი“, ე. ი. არაგანზრახვითი. ექვთიმე მთაწმიდელი ახდენს განზრახვის დიფერენცირებას და აღნიშნავს, რომ ზოგიერთი დანაშაული შეიძლება განზრახვის „მანლობელი“ იყოს, ე. ი. შეიძლება განზრახვით დანაშაულს გავუთანასწოროთო. ავტორი დაწვრილებით ჩერდება არაგანზრახვით, ე. ი. „უნებელით“ დანაშაულზე და მოყავს სათანადო მაგალითები ასეთი დანაშაულის სხვადასხვა სახის დასახასიათებლად.

ექვთიმეს აზრით „ჭეშმარიტად უნებელი“ მოქმედება, როცა, მაგალითად, აღამიანი ძაღლს ესვრის ქვეს ან ჯოხს და კაცს მოხვდება, ან ხეს შესტყორცნის ნაყოფის ჩამოსაყრელად და კაცს მოკლავს; ან კიდევ: პატრონი ან მასწავლებელი თავის ყმას ან მოწაფეს სწავლების მიზნით სცემს და ამას მოყვება სიკვდილი, ამ შემთხვევაშიც ექვთიმეს აზრით საქმე გვაქვს „უნებელ“ დანაშაულთან.

ვახტანგის სამართლის წიგნიც მოქმედებას ყოფს „ნდომით“ ჩაღენილად და „უნდომლად“ (მუხ. 24).

ვახტანგის სამართლის წიგნი ითვალისწინებს „ნადირობაში შეძგერების“ დროს მომხდარ მკვლელობას (მუხ. 182)

„ფათერაკად“ (მუხ. 92) ან კიდევ ხუმრობასა ან თამაშობაში კაცის მოკვლას ან დაჭრას (მუხ. 194). ვახტანგის სამართლის წიგნში კანონმდებელი „ფათერაკის“ შესახებ აღნიშნავს, რომ „ბევრი ფათერაკი სხვა არისო“, ე. ი. ფათერაკს მრავალი სახე აქვსო.

ექვთიმე მთაწმიდელი და ვახტანგის სამართლის წიგნი იცნობენ განზრახვასა და არაგანზრახვას. ის მაგალითები, რომლებიც მოყვანილია ექვთიმე მთაწმიდელის შრომასა და ვახტანგის სამართლის წიგნში გაუფრთხილებლობასაც შეიძლება მიუდგეს, მაგრამ გაუფრთხილებლობის ცნება და განსხვავება „უნებელი“ მოქმედებასა და შემთხვევას შორის არ არის მოცემული არც ექვთიმეს შრომებში და არც ვახტანგის სამართლის წიგნში¹.

დავით ბაგრატიონმა თავისი შეხედულება ბრალის საკითხზე შემოღწევა ექვთიმე მთაწმიდელის, ვახტანგის სამართლის წიგნის და საერთოდ ქართულ იურიდიული აზროვნებისა და სამართლის ძეგლების მონაცემების საფუძველზე.

ბრალის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე უფრო საყურადღებოა დავითის „სამართლის“ ის მუხლი, რომელიც ფათერაკს ეხება: „ფათერაკის სახენი განიყოფებიან ორად: პირველი, რომელსაც აქუნდეს მსგავსება ნეფსითისათა, გარნა არა იყოს. ხოლო მეორე უნებლიეთ, გარნა ორისავე ამის სახე არს უნებლიეთობა, რომლისაცა სახენი არიან მრავალ, ესე იგი: ოდესაც კაცი სჭრიდეს ხესა და მის მიერ შემოხვდეს ვნებაი ანუ ხილსა ჯოხსა ესროდეს, ანუ ხუმრობით წინ დაუხვდეს, ანუ ხუმრობასა შინა შემოხვდეს ვნებაი რაიმე, რომელნიცა ესეგუარნი უსუბუქეს არიან. ხოლო ოსტატისა მიერ ნაკრავი, თუ ჯოხითა ნაცემი, ანუ ბატონისაგან და ხელის-უფროსისაგან ნაგვემობით, ანუ ტყორცებითა რაითამე, ანუ უფრთხილო ცხენისა რბევითა, რომელნიც ესეგუარცხენისა რბევითა, არიან უმძიმესნი, რომლისათვისცა, შეხდომებისამებრ საქმისა, მიეცემისთ მსაჯულთაგან სამართლად სისხლისა მესამედი, მეოთხედი,

¹ ი. სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, 1959 წ.

მეხუთედი, მეექვსედი ანუ საქმიმო და სამარხი. ხოლო უკეთუ ქმნას ესე განგებ შურიტა და მტრობითა, რომელსაც სახე აქუნდეს ფათერაკისა და მაშინ მსაჯულთა წინაშე აღმოჩნდეს განგებ მკულელად, მაშინ მსგავსად კაცის მკულელთა დაისაჯოს და ვნებისათვის მებრ შეხდომისა საქმისა და წინადადებულთა სჯულითა ამით განისაჯოს.

და უკეთუ ყრმათა მიერ უსაკოთა შემოხდეს კვლავი, მაშინ სამარხო გამოერთვას მშობელთა მისთა, ამად ვინაითგან არა აქუსთ ყრმათა თავისთვის ზრუნვაი და მიუციესთ თავისუფლებად; ხოლო წყულებისათვის მიეღებისთ საქმიომო“ (მუხ. 189). ეს ვრცელი მუხლი ჩვენ იმისათვის მოვიყვანეთ, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად. პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დავითი დანაშაულის სუბიექტური მხარის შესახებ გარკვეული სისტემის შექმნას ცდილობს.

მოყვანილი მუხლის მიხედვით, დავითი მოქმედებდათა დაყოფაში ეყრდნობა ექვთიმე მთაწმიდელის შრომებსა და ვახტანგის სამართლის წიგნის მონაცემებს. მაგალითების მოყვანისას დავითი იმეორებს ზოგიერთ შემთხვევაში ექვთიმე მთაწმიდელს, მაგალითად, „ჯოხის მეტყორცნა“, „მოწაფის წვრთნა“, ან კიდევ ვახტანგის სამართლის წიგნს, მაგალითად, ცხენის შეჭახება, ხუმრობაში მარცხი, განზრახვის დაკავშირება შერთან და მტრობასთან და სხვ. მაშასადამე, დავით ბაგრატიონს გათვალისწინებული აქვს სუბიექტური ბრალის შესახებ ის წყაროები, რომელშიც მოცემულია ამ საკითხის ესა თუ ის გადაჭრა. დავითი ცდილობს ამ მასალის ერთგვარ განზოგადებას. პირველ ყოვლისა, დავითი განზრახვით მოქმედებას უპირისპირებს ფათერაკს. ფათერაკის ცნება დავითის განმარტებით ფართოა და ის თავის მხრივ სახეებად დაიყოფა. ფათერაკის ძირითადი და პირველი დაყოფა დავითის აზრით შემდეგში მდგომარეობს: არის მოქმედებანი, რომელთაც „მსგავსება“ აქვთ ნებისითი მოქმედებასთან, მაგრამ ნებისითი არ არის, ხოლო სხვა მოქმედებანი არ მიემსგავსებიან ნებისითს, არამედ არიან უნებლიეთი. დავითის აზრით, როგორც პირველი ჯგუფის, ისე მეორე ჯგუფის მოქმედებას ახასია-

თებს უნებლიეთობა. მაშასადამე, ფათერაკის საერთო ნიშანი უნებლიეთობაა, ე. ი. არა ნებსითობა. განზრახვის იგი უპირისპირებს ყველა მოქმედებას, რომელიც განზრახვის გარეშეა; დავითი ასეთ მოქმედებას სიტყვა „ფათერაკით“ გადმოგვცემს. ამასთან, ფათერაკისათვის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად უნებლიეთობას თვლის.

დავით ბაგრატიონის „სამართალში“ განსხვავებით ვახტანგის სამართლის წიგნისა, ბრალის დიფერენცირება უფრო ღრმად არის მოცემული და სისტემის მხრივ უფრო თანმიმდევრულია. შეიძლება ითქვას, რომ დავითის „სამართალი“ წინა საკანონმდებლო ძეგლებთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია. გაუფრთხილებლობის საკითხში დავითი თითქმის მივიდა სათანადო ცნების ჩამოყალიბებამდე. ყოველ შემთხვევაში, დავითის „სამართლის“ ციტირებული მუხლის მიხედვით ფათერაკი მრავალი სახისაა. ის მოქმედებანი, რომლებიც ნებსითთან ახლოს არის, ცხადია, უფრო მძიმე დანაშაულად უნდა ჩათვლილიყო და პირიქით: მოქმედებანი, რამდენადაც შორდება ნებსითს, ბრალის მიხედვით ისინი უფრო მსუბუქია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის მაგალითები, რომლებიც დავითს მოყავს, იმის მიხედვით, თუ რა პირობებში მოხდება მოქმედება, შეიძლება შემთხვევაც იყოს და გაუფრთხილებლობაც. მართალია, დავითმა აღნიშნა, რომ ფათერაკის ყველა შემთხვევა ნების გარეშე მოქმედებას გულისხმობსო, მაგრამ ყველა დასახელებული შემთხვევისათვის მოქმედი პირი მეტნაკლებად პასუხისმგებელი გახდა, და მაშასადამე, შემთხვევა ცალკე აღარ გამოყო. შეიძლება მხოლოდ დავუშვათ, რომ იმ შემთხვევაში, როცა დავითი სანქციად მხოლოდ მატერიალურ ანაზღაურებას მოითხოვს, მაშინ ის უნდა გულისხმობდეს შემთხვევას (casus).

ამასთანავე, საზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დავითი ფათერაკის ერთერთ სახედ გაუფრთხილებლობას ცნობს და აღნიშნავს კიდევ ამას სიტყვით „უფრთხილო“. ქართულ ფეოდალურ საკანონმდებლო ძეგლებში გაუფრთხილებლობის ცნებასთან ასე ახლოს არავინ მისულა. დავითს ამასთანავე რომ მოეცა შემთხვევისა და გაუ-

ფორთხილებლობის განსხვავებაც, მაშინ მას სუბიექტური ბრალეულობაზე საუბრით დამთავრებული მოძღვრება ექნებოდა.

„უფროთხილებობას“ დავითი ხმარობს ტერმინის გაუფროთხილებლობის აღსანიშნავად: თუ დავირავებული სახლი დაიწვის „უფროთხილებობის გამო“, ვისაც გირაო აბარია ის პასუხისმგებელია (მ. 235); უკეთუ „უფროთხილებობის“ გამო ხელოსანს სხვისი ნივთი დაეწვას, მაშინ „მიეღოს მას ნახევარი“ (მუხ. 243).

გაუფროთხილებლობის აღსანიშნავად დავითი ხმარობს აგრეთვე ტერმინს უქრძალველობას. 93-ე მუხლის მიხედვით მიბარებული საქონელი თუ „უქრძალველობის“ შედეგად დაიღუპა, რადგანაც „უქრძალველობა უბედურებისა შემომტანელ-არს“, ამიტომ პატრონს უნდა აუნაზღაურდეს ზარალი. „უქრძალველობა“ და „განუქრძალველობა“ გვხვდება დავითის „სამართლის“ სხვა მუხლებშიც (მუხ. 42, 73, 138).

მორიდების, გაფროთხილების გადმოსაცემად დავითის მიერ ნახმარია აგრეთვე სიტყვა „უმკაცრენ“, „უმკაცრება“ (მუხ. 32, 73, 132).

საყურადღებოა იმ ცარემოების აღნიშვნა, რომ დავითი 77-ე მუხლში ეხება ბრალეულობის საკითხს და ამგვარ ასპექტში წარმოგვიდგენს მას; 77-ე მუხლის სათაურია: „კაცისა კვლისათვის უცებად ბრძოლასა შინა“. თვითონ მუხლი კი ასე იკითხება: „ყოველთა ვაფროთხილებთ, რათა იყუნენ ბრძოლასა შინა გონება შემოკრებით, რათა არა რაიმე შემოხდეს უბედურება და უკეთუ შეემთხვას ვისმე მკულელობა, მაშინ გამოძიებულ იქმნეს მსაჯულთაგან, რათა მკულელობა ესე ყოფილიყო განგებ, ანუ ჩხუბით, ანუ მობირებით, ანუ მესამძღვრეობით, ანუ მამულსა ზედა ურთიერთის ცილობით, რომელიცა ამას შინაა აღმოჩენილი მსგავსად მკულელთა დანსჯების, ხოლო უნებლიეთ მკულელნი და ანუ დამკოდელნი სამარხსა და საქიმოს გარდაიხდიან და თვითცა ეპისკოპოსისა თვისისა მიერ სასულიეროსა კანონითა განიკანონებიან“.

ამ მუხლში საუბარია განზრახ მკვლელობაზე, ანუ განგებ ჩადენილ მკვლელობაზე — ჩხუბით, საზღვარზე ცილო-

ბით, ვისმეს გაპირებით. ასეთი განზრახ მკვლელობა დაპირისპირებულია „უხეზლიეთ“ მკვლელობასთან, რომლისთვის მკვლელი სამარხსა და საქიმოს იხდის და ამასთანავე ეკლესიის იურისდიქციასაც ექვემდებარება. არც ამ მუხლშია შემთხვევა ცალკე გამოყოფილი. თუმცა მუხლის დასაწყისში ავტორი ისეთ სათაურს იძლევა, რომელიც გაუფროთხილებლობას შეეფერება, მაგრამ, „უბედურება“ — „შემთხვევა“, რომელზედაც საუბარია მუხლში casus-საც გულისხმობს.

126-ე მუხლში დავითი ეხება შემთხვევასაც; ამ მუხლში საუბარია მიბარებული ნივთის დაკარგვაზე; თუ მიბარებულ ნივთს ქურდები მოიტაცებენ, წერს დავითი, მაშინ ნახევარი ნივთის პატრონს აუნაზღაურონ. „ბუნებითი სამართლის“ მიხედვით, წერს დავითი, აქ ზღვევინება არ უნდა იყოს, „ვინაითგან წარიღეს ქურდთა, მაგრამ გულმოდგინებისათვის კრძალვისა ვაწესებ შთაზიარებასა“, ე. ი. ზარალის ანაზღაურებას იმიტომ ვაწესებ, რომ სიფროთხილე გამოიჩინონო. ხოლო იმ შემთხვევაში კი, თუ სიფროთხილის გამოჩენის მიუხედავად, მაინც მოხდება მიბარებული ნივთის ვნება, მაშინ, ალბათ, დავითის აზრით, „დაიყენების სამართალი“, ე. ი. პასუხისმგებლობის საკითხიც იხსნება. „სამართლის“ 196-ე მუხლის მიხედვით, როცა ვისმეს საქონელი ყავს მიბარებული, ის საქონლის პატრონის წინაშე პასუხს არ აგებს, თუ „შემთხვევისა მტერთასა და ანუ წყლისა, ვინა კეცხლისა“ დაზიანდა ეს საქონელი, დანარჩენ შემთხვევაში უნდა აუნაზღაურდეს.

დავით ბაგრატიონს საუბარი ბრალის შესახებ აქვს თავისი „სამართლის“ სხვა მუხლებშიც. მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ ღრმად აქვს დამუშავებული ეს საკითხი ავტორს. დავითის შრომაში ბრალის საკითხის დამუშავებამ ქართული ფეოდალური იურიდიული აზროვნების ისტორიაში მაღალ საფეხურს მიაღწია.

ასევე ღრმად არის გაშუქებული შრომაში ქართული სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტი.

რეკონსტრუქცია იემენში

კიდევ ერთი რესპუბლიკა შეემატა არაბულ სამყაროს. მიმდინარე წლის 26 სექტემბერს დაემხო მონარქიული რეჟიმი იემენში. შეიქმნა იემენის არაბთა რესპუბლიკა.

იემენი მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. მისი ტერიტორია შეადგენს 195 კვ. კმ-ს, ხოლო მოსახლეობა 4,5 მილიონს.

რევოლუციამდელი იემენი წარმოადგენდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ხრიკების წყალობით არაბეთის ნახევარკუნძულზე დღემდე შემორჩენილ და სოციალურ-ეკონომიური განვითარების უაღრესად დაბალ საფეხურზე მდგარ ფეოდალურ სახელმწიფოს.

იემენში ჩასვლისთანავე მნახველს თვალწინ გადაეშლება „ათას ერთი ღამის“ არაბული ზღაპრების დროინდელი რეალური სამყარო: ყრუ გაღავნებით გარემოცული ქალაქები, ვიწრო და მოუკირწყლავი მტკრიანი ქუჩები, ბნელ შუკვებში ღინჯად მიმავალი აქლემთა ქარავნები, შიშველი, გაძვალტყავებული და შიმშილით მუცელდაბერილი იემენელი ბავშვებისა და მოხუცების სიმრავლე, ძველთაძველი მეჩეთების მინარეთებიდან გადმომდგარ მუქმინთა გამყინავი ხმები, ჩადროსანი იემენელი ქალები, და არა მარტო ქალები და ქალიშვილები, თვით 4—5 წლის გოგონებიც კი — ყველა ჩადრში გახვეული, თიხაქვისისაგან ნაგები ერთსართულიანი ბანიანი ქოხები ერთმანეთზე გადაჯაჭვული, საშინელი სიბინძურე, უსუფთაობა, მათხოვართა და ხეივართა სიმრავლე, ბუზების მომაბუზრებელი ბუზილი, აქლემების ხროტინი და სახედართა ყროყინი...

ძველად ამ ქვეყანას „ბედნიერ არაბეთს“ უწოდებდნენ და მართლაც, იემენი ადრინდელ შუასაუკუნეებში არაბეთის ნახევარკუნძულის ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ მხარედ ითვლებოდა. მაღალ დონეზე ვითარდებოდა ვაზისა და ყავის კულტურები... იმ ხანად იემენის ქალაქ ზეიდიში ჩაისახა და იშვა ალგებრა... მაგრამ, მომდევნო სა-

უკუნეთა მანძილზე ეს ქვეყანა თითქოს ერთ წერტილზე გაიყინა და საკონტინენტაშორისო რაკეტებისა და კოსმოსური ხომალდების ეპოქაში X—XII საუკუნეების სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონეზე აღმოჩნდა.

რევოლუციამდელ „ბედნიერ არაბეთში“ მართოდენ იემენის მეფე და მისი საგვარეულო ცხოვრობდა ბედნიერად და ჭეშმარიტი განცხრომით. იემენში ბოლო დრომდე გაბატონებული იყო ფეოდალური და გვაროვნულ-ტომური საწარმოო ურთიერთობანი; ხოლო ქვეყნის ზოგიერთ მხარეში შემორჩენილი იყო მონობაც.

სახელმწიფო წყობილების თვალსაზრისით იემენი წარმოადგენდა თეოკრატიულ მონარქიას. იემენის მეფე 1962 წლის 13 სექტემბრამდე იყო აჰმედ იბნ-იაჰია ჰამიდ ელ-დინი. მას მინიჭებული ჰქონდა იმამისა და მართლმორწმუნეთა მზრძანებელის წოდებები. იგი მიჩნეული იყო თვით ალაჰის მოციქულად იემენში და ამდენად ითვლებოდა ქვეყნის როგორც საერო, ასევე სასულიერო თვითმპყრობელად. იგი იყო აგრეთვე იემენის ჯარის უმაღლესი მთავარსარდალი და უმაღლესი მსაჯული თავის სამფლობელოში.

იემენის მთავრობა მთლიანად შედგებოდა მეფე აჰმედის მრავალრიცხოვანი ძმებისა და არანაკლებ მრავალრიცხოვან უფლისწულთაგან. მეფეს და მისი საგვარეულოს წევრებს ეკუთვნოდათ თვალუწვდენელი სამეფო და საუფლისწულო მამულები. ყოველ მათგანს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში ჰქონდა რამდენიმე მდიდრული სასახლე. თვით აჰმედს ეკუთვნოდა 14 სასახლე. ქვეყანაში დაკანონებული იყო მრავალკოლიანობა. 6 წლის მეფეს, გარდა ოთხი „კანონიერი“ კოლისა, 43 ხასა ჰყავდა გამომწყვდეული თავის ჰარამხანაში. ასეთივე „დიდი ოჯახები“ ჰქონდათ მეფის ძმებს, უფლისწულებს, ფეოდალებსა და ტომთა ბელადებს.

ფეოდალური და გვაროვნულ-ტომური არისტოკრატიის ამგვარი ფუფუნება მძიმე ტვირთად აწევებოდა გაძვალტყავებულ იემენელ გლეხობას. იემენელ გლეხთა დიდი უმრავლესობა პალმის ტოტებისაგან ნაგებ ქოხმანებსა ან საერთოდ ღია ცის ქვეშ ცხოვრობდა. აუწერელ სიღატაკს და ანტისანიტარიას თან სდევდა მრავალნაირი სნეულებანი და ეპიდემიები — შავი ჭირი, ყვა-

ვილი, ვენერიული სნეულებანი, ოფტოლმია, ტუბერკულოზი და სხვ.

ფუფუნებამ და სიხარბემ იმდენად წარყენა მეფე და მისი საგვარეულო, რომ ისინი სრულიად არ ზრუნავდნენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, რის შედეგადაც თითქმის სრულიად გაჩანაგდა ამ ქვეყანაში ვენახები და განთქმული იემენური ყავის — „მოკოს“ პლანტაციები. მეფის მითითებით ვახსია და ყავის პლანტაციების ნაცვლად რგავდნენ ნარკოტიკულ ბუჩქნარ ყაბჯ, რომლითაც ვაჭრობა დიდ შემოსავალს აძლევდა მეფის ხაზინას.

იემენში არ იყო ქალღმრთლის ფული. ხმარებაში იყო ავსტრიის დედოფალ მარიამ-ტერეზიას დროინდელი ავსტრიული ტალერი, რომელიც 28 გრამ ვერცხლის მონეტას წარმოადგენდა. ქვეყანაში არ იყო არც ერთი კინოთეატრი, რომ არაფერი ითქვას თეატრსა და ტელეხედევაზე. არ იყო რადიოფიკაცია და ელექტროფიკაცია. ტრანსპორტის ძირითად სახეს წამოადგენდა აქლემი. ქვეყანას არ გააჩნდა არც ერთი შარაგზა. სრულიად არ არსებობდა მრეწველობა — არ იყო არც ერთი ფაბრიკა—ქარხანა.

მართლმსაჯულება იემენში წარმოებდა მუსლიმანური სამართლის — შარიათის და სატომო სამართლის საფუძველზე. მტკიცად იყო შემორჩენილი სისხლის აღების ტრადიცია.

სასამართლო ორგანოები არსებობდა იემენის ყოველ მაზრაში. მაზრის მოსამართლეს — ჰაქიმს ნიშნავდა უშუალოდ მეფე და, როგორც წესი, ის სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო. მაზრის მოსამართლე არ ემორჩილებოდა მაზრის უფროსს (ამილს), თუმცა ჰაქიმი მეორე პირად ითვლებოდა მაზრაში ამილის შემდეგ. ჰაქიმს ევალებოდა როგორც სარწმუნოებრივი ისე სამოქალაქო საქმეთა წარმოება. მისი გადაწყვეტილების დარღვევის უფლება ჰქონდა მარტოდენ მეფეს, როგორც უმაღლეს მსაჯულს. მეფის გადაწყვეტილება ითვლებოდა საბოლოოდ. ჰაქიმის გადაწყვეტილების დარღვევა შეეძლო აგრეთვე სამეფო საგვარეულოს ყოველ წევრს, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა მაინც თვით მეფეს ეკუთვნოდა.

განაჩენის გამოტანისას ჰაქიმი ეყრდნობოდა ზეიდელთა (შიიტები) ან შავიტელთა (სუნიტები) მუსლიმანური სამართლის დოგმებს, იმისდა მიხედვით თუ რომელ სექტას მიეკუთვნებოდა მომჩივანი ან ბოროტმოქმედი.

სამოქალაქო კანონებს აწარმოებდა მაზრის უფროსი ამილი, რომლის სასამართლო ფუნქციებში შედიოდა წვრილმან, უმნიშვნელო საქმეთა გარჩევა. გამოსაღების გადაუხდელობისა ან სხვა წვრილ დანაშაულობათა გამო ამილს უფლება ჰქონდა მიესაჯა მცირე ხნით პატიმრობა ანდა ხელ-ფეხზე ბორკილების დადება (5 წყვილამდე) დაპატიმრების გარეშე. ამასთან საჭი-

რო არ იყო საგანგებო განაჩენის გამოტანა. ხშირად მაზრის ამაღის რწმუნებით მსჯავრდებას ანხორციელებდნენ პოლიციის მოხელენი, რომელნიც ავადილბევე როზგავდნენ ან მუშტიო სცემდნენ მსჯავრდებულს.

იემენში შემორჩენილი ადათისა და შარიათის თანახმად მძიმე დანაშაულისათვის სასტიკი, შუასაუკუნეობრივი სასჯელები იყო დაწესებული: ქურდობისათვის — მარჯვენა ხელის მოკვეთა, ძარცვისა და ბანდიტობისათვის — მარჯვენა ფეხის მოკვეთა, ხოლო მკვლელობისათვის — თავის მოკვეთა. თავის მოკვეთით ისჯებოდა აგრეთვე ყველა, ვინც კი შენიშნული ან ეჭვმიტანილი იქნებოდა სამეფო ხელისუფლების ხელყოფაში. სიკვდილით დასჯა სწარმოებდა ძველთაძველი არაბული შუასაუკუნეობრივი ტრადიციით. იგი ხდებოდა საჯაროდ და ჯალათი ხმლის სამჯერ დაკრით სჭრიდა თავს სამსხვერპლოს. ერთი დაკრით თავის მოკვეთა არავითარ შემთხვევაში არ დაიშვებოდა. თავის მოკვეთა ხდებოდა თანდათანობით — სამი დაკრით, რაც შემზარავ სანახაობას წარმოადგენდა.

გფიქრობთ, აღნიშნულიც საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველმა თვალნათლივ წარმოიდგინოს, თუ რაოდენ დრომოჭმული იყო მონარქიული წყობილება იემენში.

მრავალტანჯულმა იემენელმა ხალხმა არა ერთხელ სცადა მონარქიის დამხობა, რაზედაც მეტყველებს 1948, 1955 და 1960 წლების აჯანყებები, რომლებიც სისხლში ჩაახშო იემენის მეფემ. უკანასკნელ წლებში რამდენჯერმე მოეწყო თავდასხმა მოხუც მეფეზე და უფროს უფლისწულზე — ტახტის მემკვიდრე მუჰამედზე. ამიტომ იყო, რომ შეშინებული მეფე და მისი მემკვიდრე თუ კი სასახლის გალავანს ვასცდებოდნენ, მათი ავტომანქანა მუდამ გარშემორტყმული იყო ოთხი ჯავშნოსანი და 200-მდე ცენოსან-აქლეომოსანი კბილებამდე შეიარაღებული მხედრებით.

1961 წლის აპრილში მოწყობილი თავდასხმის დროს მეფე აჰმედი მძიმედ დაჭრეს თქმოს არეში. მიმდინარე წლის 13 სექტემბერს აჰმედი მიღებული ჭრილობისაგან (განგრენა) გარდაიცვალა.

იემენის ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი 36 წლის მუჰამედ იბნ-აჰმედ ჰამიდ ალ-დინი. მაგრამ, ახალმა მეფემ ვერც კი მოასწრო თვითმპყრობელის ძალაუფლების სიამის განცდა, ისე აღმოხდა მას სული თავისივე ერთ-ერთი სასახლის ნანგრევებში.

26 სექტემბერს იემენის 20 ათასიანი არმია აჯანყდა. მას სათავეში ჩაუდგა მისი მთავარსარდალი პოლკოვნიკი აბდულა სალალი. აჯანყებულთა არტილერიის ცეცხლმა მიწასთან გაასწორა მეფის სასახლე, სადაც თვით მეფე და მისი მახ-

ლობლები იმყოფებოდნენ. მონარქია დაემხო. იემენში რესპუბლიკური წყობილება გამოცხადდა. აჯანყებულთა მიერ შექმნილმა სახალხო სასამართლომ სიკვდილით დასაჯა მონარქიული რეჟიმის 20-დე პოლიტიკური მოღვაწე, მათ შორის: მეფის ბიძა სეიფ ალ-ისლამ იბნ-იაჰია, საგარეო საქმეთა მინისტრი — ჰასან იბრაჰიმი და სხვანი.

შეიქმნა რესპუბლიკური ხელისუფლების დროებითი ორგანოები: საბრეზიდენტო, მინისტრთა და რევოლუციური საბრძოლვის საბჭოები. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა პოლკოვნიკი აბდულა სალალი, მის მოადგილედ — აბდურაჰმან ალი ბეიდანი, საგარეო საქმეთა მინისტრად — მუჰსინ აჰმედ ალ-ამინი.

იემენელი ხალხი აღფრთოვანებით შეეგება მონარქიის დამხობას და რესპუბლიკის გამოცხადებას. იემენის არაბთა რესპუბლიკამ უკვე ჰპოვა საერთაშორისო აღიარება. იგი სცნო არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ, ერაყმა, სირიამ, ტუნისმა, სუდანმა, საბჭოთა კავშირმა და რიგმა სხვა სახელმწიფოებმა.

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობენ დაამახინჯონ იემენში მომხდარი ანტიმონარქისტული რევოლუციის არსი და აქეზებენ საუდის არაბეთისა და იორდანის მონარქიულ მთავრობებს შეიარაღებული ძალებით ჩაერიონ იემენის საშინაო საქმეებში. განსაკუთრებით შემოთებულა ინგლისის მთავრობა, რომელსაც ეშინია არ დაჰკარგოს თავისი პოზიციები იემენის მეზობლად მდებარე ადენის პრო-

ტექტორატში და ამას წინათ მის მიერ შექმნილ ბულ „არაბეთის სამხრეთის ფედერაციაში“.

საბჭოთა კავშირის ხალხები მიესალმებიან იემენელი ხალხის რევოლუციურ მონაპოვარს, რომელიც ფართო გზას უხსნის მათ ქვეყანას თავისუფალი პოლიტიკური და ეკონომიური განვითარებისათვის.

„საბჭოთა კავშირის ხალხები გულწრფელად უსურვებენ იემენელ ხალხს წარმატებას თავიანთი სახელმწიფოს დამოუკიდებელი პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების გზაზე და დაუსევებლად მიიჩნევენ რაიმე უცხო ჩარევას იემენის საშინაო საქმეებში“, — ნათქვამია საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მიმართვაში პოლკოვნიკ აბდულა სალალისადმი.

იემენში მომხდარი ანტიფეოდალური რევოლუცია როდი წარმოადგენს ლოკალურ, მარტოოდენ იემენის საზღვრებში მოქცეულ მნიშვნელობის მოვლენას. იგი უთუოდ დააჩქარებს ასეთივე დრომოჭმული მონარქიული წყობილების დამხობას არაბეთის ნახევარკუნძულის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საუდის არაბეთი და იორდანია. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის აგრესია, რომელიც გააჩაღეს საუდის არაბეთის მეფემ იბნ საუდმა და იორდანის მეფემ ჰუსეინმა ახლადმოზილი იემენის არაბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ეჭვი არ არის, რომ თავისუფლებისმოყვარე იემენელი ხალხი შესძლებს გაუმკლავდეს რესპუბლიკის როგორც შინაურ, ისე საგარეო მტრებს, შეინარჩუნოს და განამტკიცოს რევოლუციის მონაპოვარი.

„ექსპერიმონის“ საქმიანობას უპირა ეხება

გაურკვეველი პროფესიის კაცი იყო დ. ყუყუნაშვილი, მაგრამ მისი ნახვა ყოველთვის შეიძლებოდა ქუთაისის სადგურზე, როცა იგი თბილისიდან მზესუმზირის ზეთით სავსე კასრებს იღებდა. ამ საქმეს მარჯვედ აკეთებდა და არც გასამრჯელოს იშურებდა დამხმარე პირებისათვის. ყუყუნაშვილის სახით ქუთაისის სადგურის მწონავეები და სატვირთო განყოფილების მოლარეები ხედავდნენ ექსპედიტორს, რომელიც სისტემატურად იღებდა ზეთს თბილისიდან. მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც შენიშნეს, რომ ეს ექსპედიტორი ხშირ-ხშირად გამოჩნდებოდა ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზრის დახლოდან, სადაც იგი თავისუფლად ვაჭრობდა მზესუმზირას ზეთით.

ნათელი გახდა, რომ ეს „ექსპედიტორი“ გაქნილი სპეკულანტი იყო. როცა დ. ყუყუნაშვილის საქმიანობას ახლოს გაეცნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სატრანსპორტო განყოფილების მუშაკები, მალე რამდენიმე სხვა პიროვნებაც გამოავლინეს, რომლებიც ისე, როგორც ყუყუნაშვილი, ზეთით სპეკულაციას ეწეოდნენ.

თითქოს ყველაფერი ამით უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ასე არ მოიქცა საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, პირველი კლასის იურისტი მ. ა. მანთაშიანი და მილიციის საჯარო განყოფილების უფროსი მომკვლევია, მაიორი ი. პ. გეორგელიძე, რომელიც მილიციის სატრანსპორტო განყოფილებამ გამოყო რესპუბლიკის პროკურატურის გამომძიებლის დასახმარებლად.

დ. ყუყუნაშვილის და სხვა სპეკულანტების საქმის გამომძიება დამთავრდა და გადაეგზავნა ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს. ბრალდებულთ სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

ამ საქმის ზოგიერთი მასალა ცალკე გამოიყო და მათზე გრძელდებოდა გულმოდგინე მუშაობა. მ. მანთაშიანი, ი. გეორგელიძე და ოპერარწმუნებული, მილიციის კაპიტანი მ. ჯამბოვევი ერთი წუთითაც არ წყვეტდნენ მუშაობას. გამომძიებლის პროცესში დადგინდა, რომ სიღნაღის რაიონის სოფ. ულიანოვკის მკვიდრნი: ნ. ვორობიევი, მ. ისაკინი, ი. არაშინი, ი. ლობაჩევი, ნ. კუდინოვი, ს. ალექსეევი, ვ. დრობევი, ა. ალექსეევა, ტ. არიშინა, ტ. გლაზოვა, მ. ბუბინა 1957-1960 წლების მანძილზე თბილისის სადგურიდან სისტემატურად აგზავნიდნენ მზესუმზირას ზეთს საქართველოს სსრ სხვადასხვა ქალაქებში და აგრეთვე ქ. ბაქოში.

მარტო ი. ვორობიევა ბაქოში და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში თბილისის საბარგო სადგურიდან გაგზავნა დაახლოებით 6 ტონა მზესუმზირას ზეთი, რომლის გაყიდვითაც 100 ათასი მანეთი მოიგო (ფულის ძველი ნიშნით), ხოლო ლ. ისაკინმა გაიტანა 3,5 ტონა ზეთი და 60 ათას მანეთზე მეტი აიღო. ზეთი თბილისის სადგურიდან ათეულ ტონობით იგზავნებოდა და სპეკულანტები უზომო შემოსავალს იღებდნენ. ისინი კოლმეურნეობის წევრებად ირიცხებოდნენ, სინამდვილეში კი არავითარ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას არ არ ეწეოდნენ. აირჩიეს რა მოგების იოლი გზა, დაიწყეს სპეკულაცია ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, ოჩამჩირის, ზუგდიდისა და სხვ. საკოლმეურნეო ბაზრებზე.

რათა ბოლომდე ემხილებინათ დამნაშავენი, ამიერკავკასიის რევ-
ნიგზის სამმართველოს არქივიდან ამოღებულ იქნა უამრავი საგზაო ზედწაღ-
ებების უწყისები თბილისის სატვირთო სადგურიდან საქართველოს ქალაქებსა
და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მზესუმზირას ზეთის გაგზავნის შესახებ.
წინასწარი ცნობებით, გაგზავნილი იყო სამასამდე ტონა ზეთი.

მზესუმზირას ზეთის გაგზავნაში წმირად მონაწილეობდნენ ვინმე დ. ოთია-
შვილი და ი. ქერელაშვილი. ამ პიროვნებების შემოწმებამ გვიჩვენა, რომ დი-
მიტრი ზაქარიას-ძე ოთიაშვილი, მცხოვრები სიღნაღის რაიონის სოფ. ნუკრიან-
ში, გაურკვეველი საქმიანობის კაცი, წინათ ნასამართლები იყო მზესუმზირას
ზეთის სპეკულაციისათვის. ილია ნიკოლოზის-ძე ქერელაშვილი, სიღნაღის რაი-
ონის სოფ. მაღაროს მკვიდრი, არ ეწეოდა სასარგებლო შრომას.

გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ ყველა სპეკულანტი, რომლებიც ამ საქ-
მეში გადიოდნენ, ზეთს გადასაყიდად აძლევდნენ ოთიაშვილი და ქერელაშვილი.
ამასთან მორიგება ხდებოდა პირდაპირ ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის
საკოლმეურნეო ბაზარზე. სპეკულანტები კილოგრამ ზეთს ყიდულობდნენ 15-16
მანეთად, შემდეგ კი ვაჭონდათ სხვადასხვა ქალაქებში და ჰყიდდნენ 17-18 მანე-
თად (ძველი ფულით).

დამახასიათებელია, რომ ისინი თბილისის სადგურზე ზეთის გაგზავნის
დოკუმენტების გაფორმებას თვითონ კი არ ესწრებოდნენ, არამედ ამისთვის
გარკვეული მეთოდი ჰქონდათ შემუშავებული: ოთიაშვილი და ქერელა-
შვილი ბაზარში იწერდნენ ზეთის გადამყიდველების სახელს, გვარს, მამის სა-
ხელს, მათ საცხოვრებელ ადგილს და მიდიოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ
კვლავ ბრუნდებოდნენ ბაზარში და გადასცემდნენ ზეთის შემსყიდველებს საგ-
ზაო უწყების ქვითრებს დანიშნულ სადგურზე მზესუმზირას ზეთის მისაღებად.
წარადგენდნენ რა პასპორტს ან სასოფლო საბჭოდან გაცემულ ცნობას,

სპეკულანტები დანიშნულ სადგურზე გამოისყიდდნენ ტვირთს ე. ი. ხელს აწერ-
დნენ საგზაო უწყისებს ტვირთის მიღებაზე. ზეთის რეალიზაციის შემდეგ ცა-
რიელ ტარას-კასრებს ისინი აგზავნიდნენ თბილისში, გაგზავნის შესახებ საბუ-
თებს კი თავიანთ სახელზე აფორმებდნენ. ქალაქში დაბრუნების შემდეგ ბაზარ-
ზე ისევ ხვდებოდნენ თავიანთ „მომმარაგებლებს“ — ოთიაშვილს და ქერელა-
შვილს, რომლებთანაც ახდენდნენ ანგარიშსწორებას და, აგრეთვე, გადასცემ-
დნენ ცარიელი ტარას მიღების ქვითრებს. ეს უკანასკნელნი თვითონ იღებდნენ
ტარას, მათ მაგიერ ხელს აწერდნენ მის მიღებაზე.

ერთი სიტყვით, საქმე ისე იყო მოწყობილი, თითქოს ოთიაშვილი და ქერე-
ლაშვილი ნამდვილად იყვნენ კოლმეურნეობების ექსპედიტორები და რეალი-
ზაციას უკეთებდნენ საკოლმეურნეო ზეთს. სამწუხაროდ, თბილისის საბარგო
სადგურის არც ერთი თანამშრომელი არ დაინტერესებულა ოთიაშვილის და ქე-
რელაშვილის პიროვნებით და არ მოუთხოვიათ მათგან საბუთი — სად ცხოვრობ-
დნენ, რას წარმოადგენდნენ და ვინ აძლევდა მათ უფლებას გაგზავნათ ასეთი
დიდი რაოდენობის ზეთი.

როგორც გამოძიებით იქნა დადგენილი, დ. ოთიაშვილმა 60-ზე მეტი გადა-
მყიდველის სახელზე გააცხორმა 242 კასრი მზესუმზირას ზეთი, თითქოს მის გან-
კარგულებაში იყო მთელი ზეთსახდელი ქარხანა. მას ოდნავადაც არ ჩამორჩე-
ნია მისივე მეგობარი ი. ქერელაშვილი, რომელმაც 40 გადამყიდველის მისამარ-
თით 156 კასრი ზეთი გაგზავნა.

თუ დავუჯერებთ ოთიაშვილისა და ქერელაშვილის სიტყვებს, ისინი თვი-

თონ ყიდულობდნენ ზეთს სხვა პირებისაგან, კილოგრამს 13-14 მანეთად და შემდეგ ყიდდნენ 16-17 მანეთად, რითაც რამდენიმე მანეთს იგებდნენ ყოველ კილოგრამზე; გადამყიდველებიც თავის მხრივ იგებდნენ, ოღონდ ცოტათი ნაკლებს, მაგრამ საბოლოოდ ორივე მხარის „შემოსავალი“ ამ ოპერაციით დღითიდღე იზრდებოდა.

ასე იქნა გამომჟღავნებული სპეკულანტებისა და გადამყიდველების დიდი ჯგუფი. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნახევარს წარმოადგენდა. საჭირო იყო იმის გამოკვლევა, თუ საიდან იღებდნენ ოთიაშვილი და ქერელაშვილი ასე დიდი რაოდენობით მზესუმზირას ზეთს. მათ ზომ არავითარი საერთო არ ჰქონდათ სახალხო მეურნეობასთან და მზესუმზირას მოყვანასაც არ ეწეოდნენ; მაშასადამე, მათ ვინმე რეგულარულად ამარაგებდა ზეთით, მაგრამ სახელდობრ ვინ — გამოცანად რჩებოდა. საბოლოოდ ეს გამოცანა ამოხსნილ იქნა გამოძიებულ მანთაშვიანისა და საგზაო განყოფილების მილიციის მომკვლევ გეორგელიძის გულმოდგინე და დაუცხრომელი მუშაობის შედეგად.

მათ შეძლეს დაედგინათ, რომ ზეთის გაყიდვას აწარმოებდნენ გიორგი ვლადიმერის-ძე ბარანოვი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული კვების საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ბაზა № 2-ის მმართველი და სერგო ალექსის-ძე ალიხანოვი — ამავე ბაზის ექსპედიტორი.

— ჩვენ არავისთვის არაფერი არ მიგვიყიდა. დიდი სურვილიც რომ გვქონოდა, არც შეგვეძლო გაგვეყიდა მზესუმზირას ზეთი, ვინაიდან მაშინ დანაკლისი გვექნებოდა, — ერთხმად ამტკიცებდნენ ბარანოვი და ალიხანოვი.


მზესუმზირას ზეთის შემოსავალ-გასავლის დოკუმენტალური რევიზიის ჩატარებით რაიმე დანაკლისის დადგენა არ მოხერხდა.

საგამომძიებლო ორგანოებს მოეპოვებოდათ ცნობები, რომ ბარანოვმა და ალიხანოვმა ავტომანქანები შეიძინეს იმ დროს, როცა ხელფასის მიხედვით მათ ამის საშუალება არ ჰქონდათ. ბარანოვი ცხოვრობდა თბილისში, კეთილმოწყობილ ბინაში, ამასთან გაგრაშიც ჰქონდა საკუთარი ავარაკი. ცხადი იყო, რომ მათ ჰქონდათ შემოსავლის წყარო, მაგრამ რა წყარო?

გამოძიება თანდათან აგროვებდა ისეთ მონაცემებს, რომლებსაც სინამდვილის სწორი სურათი უნდა დაეხატა. ჰქონდათ რა დიდი გამოცდილება რკინიგზაზე ტვირთის ზიდვის საქმეთა გამოძიებაში, მანთაშვიანმა და გეორგელიძემ შეისწავლეს თბილისის საბარგო სადგურის მთავარ გასასვლელიდან გამავალი ავტოსაჭაპანო ტრანსპორტის რეჟიმი. მათ აღმოაჩინეს საშუები, სადაც ნაჩვენები იყო მძღოლების და მზიდავების გვარები, რომლებსაც 1957-1960 წ. განმავლობაში გადაჰქონდათ ცარიელი ტარა-კასრები და ამავე დროს გადაჰყავდათ ამ ტარის გამგზავნელი პირები. გამოძიებამ კვლავ მიიყვანა გამოძიებლები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებულ კვების საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 2 ბაზაში.

ამ გზით გამოვლინდნენ მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ოთიაშვილისა და ქერელაშვილის დავალებით მოჰქონდათ ტარა ბაზა № 2-ში და აბარებდნენ ბარანოვსა და ალიხანოვს. მალე იქნა დადგენილი მზესუმზირას ზეთის ორგანიზებულ-გეგმიური გატაცების წყაროებიც: კვალი მივიდა საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წარმოებაში.

ერთი შეხედვით საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს-



თან არსებულ უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო ამ საქმესთან თითქოს არავითარი კავშირი არა აქვს. სინამდვილეში, ეს პატირა საწარმო მზესუმზირას ზეთის მნიშვნელოვანი ფონდშემცველია. მზესუმზირას ზეთს ეს საწარმო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული კვების საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამმართველოს ბაზა № 2-დან იღებს თავის წარმოებისათვის. ბარანოვმა და ალიხანოვმა, როგორც მატერიალურად პასუხისმგებელმა პირებმა, კარგად იცოდნენ, რომ ზეთის დანაკლისისათვის პასუხს აგებდნენ, როგორც მატერიალურად, ისე სისხლის სამართლებრივად. ამიტომ მათ მიმართეს ისეთ მეთოდს, რომლითაც მიიღებდნენ მზესუმზირას ზეთის ნამეტს. სახელდობრ, დანაშაულებრივი კავშირი დაამყარეს ფონდშემცველებთან, კერძოდ, საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წარმოების თანამშრომლებთან — ბ. ამაშუკელთან, ი. ჩერნიავესკთან, ბ. ჟორჟოლაძესთან, ა. სახურისთან და სხვ.

ზემოხსენებულ პირთა დანმარებით, პროდუქციის ხარისხის გაუარესების გზით, საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წარმოების საამქროებში კეთდებოდა მზესუმზირას ზეთის ეკონომია. შემდეგ კი წარმოებდა უსაქონლო ოპერაციები და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებულ კვების საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამმართველოს ბაზა № 2-ში რჩებოდა განსაზღვრული რაოდენობის ზეთი, რომელსაც იტაცებდნენ და გადამყიდველებსა და სპეკულანტებს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა.

საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წარმოებაში ამ საქმეს მეთაურობდა ბიძინა ოლიფანტეს-ძე ამაშუკელი, არაერთხელ გასამართლებული სხვადასხვა დანაშაულისათვის. მაგალითად, 1950 წელს, სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის მას მისჯილი ჰქონდა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ 1958 წელს ავადმყოფობის გამო გადასახლებიდან დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წარმოების ლაქშემდებავ საამქროში ბრიგადირის თანამდებობაზე. აქ იგი კვლავ განაგრძობდა თავის დანაშაულებრივ მოქმედებას, დაუკავშირდა რა სხვა დამნაშავეებს, როგორც იყვნენ ზემოხსენებული საამქროს ოსტატი ი. ფ. ჩერნიავესკი, ასევე მატერიალურ-პასუხისმგებელი პირი ბ. ჟორჟოლაძე, საპნის სადღული საამქროს უფროსი ა. სახურია, ამავე საამქროს ოსტატი, ვინმე ს. შულცი, დაბადებული ქ. ნიუ-იორკში, მცხოვრები ქ. თბილისში, ისიც წარსულში ნა-სამართლევი.

დადგინდა, რომ საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ უსინათლოთა საზოგადოების სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წარმოების საქმოსნები მზესუმზირას ზეთის ხარჯვის პროცესში წმინდა 100 პროცენტისანი ოლიფას დამზადების მაგიერ ეწეოდნენ მზა ნაწარმის ფალსიფიკაციას; განსაზღვრული რაოდენობის მზესუმზირას ზეთს ცვლიდნენ იაფფასიანი გამსხნელებით, როგორცაა ნათი ან უაისპირიტი. ამ გზით ისინი ქმნიდნენ ზეთის ნამეტს. შემდეგ, ბარანოვთან და ალიხანოვთან ერთად აწარმოებდნენ

უსაქონლო ოპერაციებს, ე. ი. გასავლის საბუთებში ხელს აწერდნენ ზეთის მფლობელებზე, ფაქტიურად კი ის ზეთი რჩებოდა ბაზა № 2-ში გატაცების მიზნით.

როგორც დადგენილ იქნა, მარტო საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ უსინათლოთა საზოგადოების სოღანლულის სასწავლო-საწარმოო წარმოებამ დატოვა ბაზაში 54.000 კილოგრამი მზესუმზირას ზეთი. მზესუმზირას ზეთის ფონდშემცვლელ საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ უსინათლოთა საზოგადოებას უნდა დაემზადებინა სუფთა 100 პროცენტის ოლიფა, ფაქტიურად ამზადებდნენ ნაკლები ზარისხის მქონე ოლიფას, უმატებდნენ რა ხარშვისას მასში იაფფასიან გამხსნელებს. 1 ტონა 100 პროცენტის ნატურალური ოლიფის დამზადებისას 10-20 პროცენტის გამხსნელის დამატებით ლაქსაღებავ საამქროს შექმლო დაეზოვა 100-დან 200 კილოგრამამდე მზესუმზირას ზეთი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ 1959 წ. ამ საამქრომ გამოუშვა 478 ათასი კგ. 100 პროცენტის ოლიფა, ხოლო 1960 წ. 371 ათასი კილოგრამი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი ფალსიფიკაციის გზით იქმნებოდა მზესუმზირას ზეთის ნამეტი დაახლოებით 100 ტონამდე.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ცნობის თანახმად ერთ კილოგრამ მზესუმზირას ზეთის გასაყიდი ფასი 1958-1960 წ.წ. განმავლობაში იყო 17 მან. 20 კაპ. (ფულის ძველი ნიშნით), მაშინ, როცა ერთი კილოგრამი გამხსნელი ღირდა 48-50 კაპ. (ფულის ძველი ნიშნით). ამგვარად, განსხვავება მზესუმზირას ზეთსა და გამხსნელის ფასებს შორის შეადგენდა 16 მან. 70 კაპ., რაც მთლიანად ხელს აძლევდათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების გზაზე დამდგარ ამაშუკელს, ყორყოლაძესა და სხვა დამნაშავეებს.

ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ უსინათლოთა საზოგადოების სოღანლულის სასწავლო-საწარმოო წარმოებაში მრავალი საჩივარი შედიოდა უხარისხო ოლიფის გაგზავნის გამო. ასეთი ოლიფა ხშირად უბრუნდებოდათ უკან ოლიფას ფონდშემცველებს.

დოკუმენტურად დასაბუთებულია, რომ 1957-1960 წ.წ. განმავლობაში გატაცებული და გაზიდული იყო 4,5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მზესუმზირას ზეთი (ფულის ძველი ნიშნით). მარტო დ. ოთიაშვილმა ი. ქერელაშვილთან, მის ძმასთან გ. ქერელაშვილთან და ვინმე გ. შიტუხინთან ერთად, სპეკულატნ-გადაძვირებების საშუალებით თბილისიდან გაგზავნა 1.800 ათას მანეთის 400-ზე მეტი კასრი ზეთი. ზეთის უდიდესი ნაწილი გატაცებულია საქმოსნების: ბარანოვის, ალიხანოვის, ამაშუკელისა და სხვათა მიერ.

მართალია, გამტაცებლებთაგან ზოგიერთი (ჩერნიავსკი, შიტუხინი და სხვ.) გამოძიებას და სასამართლოს დაემალა, მაგრამ მათი საქმე ცალკე გამოსაძიებლად არის გამოყოფილი. რაც შეეხება დანარჩენ მონაწილეებს, 20 კაცის შემადგენლობით, მხილებულნი და პასუხისმგებაში არიან მიცემული.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ნ. გაჩიევის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების შ. არველაძის და ვ. ფირანიშვილის და სახელმწიფო ბრალმდებლის, პროკურორ კუჭავას მონაწილეობით ამაშუკელს, ბარანოვს, ალიხანოვს, ოთიაშვილს და შულცს, თვითეულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო ქერელაშვილს — 12 წლით, ყორყოლაძეს — 10 წლით, ელიზბარაშვილს — 6 წლით, პირადი ქონების კონფისკაციით. დანარჩენ დამ-

ნაშავეებს შეეფარდათ სასჯელის სხვადასხვა ზომა თავისუფლების აღკვეთის გარეშე.

ამასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთმა მოწმემ—ი. პოლოსოვმა, ა. ვართანოვმა, კ. შინჯიკაშვილმა სასამართლოზე შეცვალეს წინასწარ გამოძიებაზე მიცემული ჩვენება და ცდილობდნენ, როგორმე დახმარებოდნენ ზოგიერთ დამნაშავეს, სასამართლომ გამოიტანა კერძო დადგენილება: ამ „მოწმეების“ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე გადაცემის შესახებ.

საქართველოს სსრ პროკურატურა არ დაკმაყოფილდა ამით და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს წარუდგინა მოთხოვნა უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წარმოების № 2-ის ზოგიერთი მუშაკის დასჯის შესახებ მუშაკების, რომლებმაც თავისი დაუდევრობით და გულგრილობით დამნაშავეებს მისცეს საშუალება გაეტანათ მატერიალური ფასეულობა


როგორც პროკურატურას სოცუზრუნველყოფის მინისტრმა მ. ე. თოდუროძემ აცნობა, ეს საკითხი სპეციალურად იქნა გარჩეული სოცუზრუნველყოფის სამინისტროში და დამნაშავეები სასტიკად იქნენ დასჯილნი

ვფიქრობთ, ეს კარგი ვაკვეთილი იქნება სხვებისათვის, ვინც შეეცდება ხელყოს სოციალისტური საკუთრება. აუცილებელია მომავალშიც ვაწარმოოთ მტკიცე ბრძოლა ჩვენ საზოგადოებაში ასეთი სამარცხვინო მოვლენების ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდ როლს ასრულებს ჩვენი სასამართლო. იგი არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ ხელს უწყობს მოქალაქეთა აღზრდას კანონიერების განუხრელი შესრულების სულისკვეთებით და სოციალისტური თანაცხოვრების წესების პატივისცემით.

ამასთან ერთად შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ როცა ასეთი საშიში დანაშაულის წარმოშობის მიზეზის ანალიზს აკეთებ, მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ ამ დანაშაულობათა ჩადენას პირველ რიგში ხელს უწყობს წარმოების უწყების მხრივ გამოშვებულ პროდუქტზე არასრულყოფილი კონტროლი, ან სრული უკონტროლობა. სწორედ ამაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება; ვინაიდან პროდუქციის ხარისხის გაუარესებისა და ფალსიფიკაციის ხარჯზე განუწყვეტლივ იქმნება ნამეტი, რომელსაც სხვადასხვა საშუალებით იტაცებენ.

უდაოა, რომ გატაცებათა აღკვეთა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ყველა სამეურნეო საწარმოებსა და უწყებებში იწარმოებს სათანადო საბუღალტრო აღრიცხვა და გატაცების აღმოფხვრისათვის იბრძობებენ თვითონ წარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები. არ შეიძლება მთლიანად დავეყრდნოთ მხოლოდ მილიციას, პროკურატურასა და სასამართლოს. გატაცებებთან ბრძოლაში დიდი როლი ენიჭებათ საბჭოთა პარტიულ ორგანოებს, მთელ საზოგადოებრიობას.



სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1962 წლის 29 მარტი.

სამოქალაქო საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის
ჯოგირითი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების
სამოქალაქო კანონმდებლობის და სსრ კავშირისა
და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასა-
მართლო წარმოების საფუძვლების მიღებასთან და-
კავშირებით, აგრეთვე მოქმედი სამოქალაქო და
სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობის სხვა
ცვლ. ლებებთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმა-
ღლესი სასამართლოს პლენუმი ა დ გ ე ნ :

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის
უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემდეგი დად-
გენილებანი სამოქალაქო საქმეებზე:

1. 35-ე პლენუმის 1931 წლის 28 ოქტომბრის
დადგენილება „კომუნალური მომსახურებით სარ-
გებლობის ხელშეკრულებათა გამო დავების საქმე-
უწყებობის შესახებ“.

2. 45-ე პლენუმის 1933 წლის 20 ნოემბრის და-
დგენილება „საავტორო გასამრჯელოს მიღებაზე
მუსიკალური ნაწარმოების ავტორის უფლების შე-
სახებ გრამფონის ფირფიტაზე ჩაწერის გზით მისი
ნაწარმოების განმეორებისა და გავრცელების
დროს“.

3. 1941 წლის 9 აგვისტოს პლენუმის დადგენი-
ლება № 34/16/უ „ინდივიდუალური მესესებლე-
ბისათვის სარჩელზე სასარჩელო ხანდაზმულობის
ვადის აღდგენის პირობების შესახებ მათ მიერ მი-
ღებული სახელმწიფო სესხის დაბრუნების თაობა-
ზე“ 1954 წლის 17 სექტემბრის პლენუმის დად-
გენილებით შეტანილი ცვლილებებით.

4. 1342 წლის 29 იანვრის პლენუმის დადგენი-
ლება № 3/6/უ „ერთ-ერთი მეუღლის სახელზე
შემნახველ საღაროში შეტანილი ანაბრების მე-
უღლეთა შორის გაყოფის შესახებ“.

5. 1944 წლის 2 დეკემბრის პლენუმის დადგე-
ნილება № 17/10/უ „იმ კოლმეურნეთათვის, მუშა-
მოსამსახურეთათვის ხორცის ჩაბარების ნარჩენთა
გადახდევინების შესახებ, რომლებმაც საკონტრაქ-
ტაციო ხელშეკრულებით კოლმეურნეობებს ჩააბა-
რეს მოზარდეული საქონელი“.

6. 1948 წლის 9 ივლისის პლენუმის დადგენი-
ლება „სასამართლოების მიერ იმ საკონტრაქტაციო
ხელშეკრულებებით ნარჩენთა გადახდევინების სა-
ქმეთა განხილვის წესის შესახებ, რომლებსაც კა-
ნონის ძალა აქვთ“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორკინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. გრიზანიძე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1962 წლის 29 მარტი.

სისხლის სამართლის საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს
კლენუმის ჯოგირითი დადგენილების ძალადაკარგულად ან შემცვლილად
ცნობის შესახებ.

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური
რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძ-
ვლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლი-
კების სისხლის სამართლის კანონმდებლობის სა-
ფუძვლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რეს-

პუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო
წარმოების საფუძვლების, სახელმწიფო დანაშაუ-
ლისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლო-
ბის შესახებ კანონის, სამხედრო დანაშაულისათ-
ვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაო-

ბაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით და მათ საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

I

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემდეგი დადგენილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე:

1. 23-ე პლენუმის 1929 წლის 4 მარტის დადგენილება „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების 33-ე მუხლის განმარტება იდეალური და რეალური ერთობლიობის შესახებ“.

2. 47-ე პლენუმის 1934 წლის 7 ივნისის დადგენილება „საბჭოთა მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ტრესტების დირექტორების და მათი მოადგილეების, აგრეთვე ყველა სხვის მრეწველობის თანამდებობის პირთა არანაკლებ დირექტორებისა, მათი მოადგილეებისა და მთავარი ინჟინრების მიმართ საქმეთა განსჯადობის შესახებ“.

3. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1935 წლის 4 თებერვლის დირექტიული წერილი № 4 „აღმკვეთი ღონისძიებების სწორად შეფარდებისა და განაჩენის აღსრულებისადმი თვალყურის დევნების გაუმჯობესების შესახებ“.

4. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1935 წლის 31 აგვისტოს დირექტიული წერილი № 43 1957 წლის 18 იანვრის პლენუმის დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით „იმ მოსწავლეთა მიმართ შრომითი გამასწორებელი სამუშაოების გამოყენების შესახებ, რომლებიც სწავლას სამსახურს არ უთავებენ“.

5. 1939 წლის 13 ივნისის პლენუმის დადგენილება პირველი ინსტანციის სასამართლოების სახით „საოქო და მათი შესაბამისი სასამართლოების განჩინებათა გასაჩივრების წესის შესახებ“.

6. 1939 წლის 13 სექტემბრის პლენუმის დადგენილება 1953 წლის 4 დეკემბრის პლენუმის მიერ შეტანილი ცვლილებებით „იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნდა შეეფარდოს იმ მსჯავრდებულთ, რომლებიც ზოროტად არიდებენ თავს შრომითი გამასწორებელი სამუშაოების მოხდას“.

7. 1940 წლის 3 აპრილის პლენუმის დადგენილება № 7/6/უ „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი მიწების პირადი მიზნებისათვის თვითნებური გამოყენების კვალიფიკაციის შესახებ“.

8. 1940 წლის 3 ივლისის პლენუმის დადგენილება № 20/10/უ „ერთპიროვნული განჩინებებისა და დადგენილებების შესახებ, რომლებიც გამოაქვთ მოსამართლეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსში აღნიშნულ შემთხვევებში“.

9. 1942 წლის 22 იანვრის პლენუმის დადგენილება № 2/4/უ „თავისუფლების აღკვეთისა და შრომითი გამასწორებელი სამუშაოების სახის სასჯელთა შეფარდების წესის შესახებ“.

10. 1945 წლის 19 სექტემბრის პლენუმის დადგენილება № 12/10/უ „1945 წლის 7 ივლისის ამნისტიის შეფარდების წესის შესახებ იმ შემთხვევაში, როცა მსჯავრი დაედო ერთობლივად, ხოლო განაჩენში არ არის აღნიშნული სასჯელის ზომა თვითეული დანაშაულისათვის, რომელიც ერთობლიობაში მოცემულია“.

11. 1947 წლის 22 აგვისტოს პლენუმის დადგენილება № 12/5 „კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა თანამდებობრივი დანაშაულის თაობაზე საქმეთა განხილვის წესის შესახებ“.

12. 1948 წლის 19 მარტის პლენუმის დადგენილება № 6/6/უ „სახალხო სასამართლოებში ხელახლა განსახილველად სისხლის სამართლის სა-მოქალაქო საქმეთა გაგზავნის წესის შესახებ“.

13. 1948 წლის 25 ივნისის პლენუმის დადგენილება № 12/11/უ „კოოპერაციასა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში კერძო მესაკუთრის შესვლასთან დაკავშირებული დანაშაულის კვალიფიკაციის შესახებ“.

14. 1949 წლის 22 ივლისის პლენუმის დადგენილება № 9/5/უ „განაჩენების აღსრულების წესის შესახებ იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებსაც მიესაჯათ შრომაგამასწორებელი სამუშაოები და რომლებიც სასჯელის მოხდის პერიოდში ცნობილ იქნენ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდებად“.


15. 1950 წლის 3 მარტის პლენუმის დადგენილება № 5/12/პ „პასპორტიზაციის დარგში ცალკეული დანაშაულის კვალიფიკაციის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1935 წლის 21 მარტის 50-ე პლენუმის დადგენილების შეცვლის შესახებ.

16. 1951 წლის 20 აპრილის პლენუმის დადგენილება № 5/11/უ „ნომინალურზე დაბალი ფასით სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შესყიდვის კვალიფიკაციის შესახებ“.

II

„საკასაციო წესით საქმეების განხილვის სასამართლოთა მუშაობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ“ 1950 წლის 1 დეკემბრის პლენუმის № 17/15/უ დადგენილებაში, რომელშიც ცვლილებები შეიტანეს 1953 წლის 4 დეკემბრისა და 1957 წლის 10 აპრილის პლენუმებმა, შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების აღწერილობითი ნაწილის მეექვსე აბზაცი, რომელიც იწყება სიტყვებით „ამასთან სასამართლოები ზოგჯერ გამოდინარეობენ



სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 349 მუხლის მოთხოვნებიდან...“ ამოღებული იქნეს.

ბ) დადგენილების აღწერილობითი ნაწილის მეშვიდე აბზაციდან სიტყვები: „...ამ შემთხვევებში...“ ამოღებული იქნეს.

გ) დადგენილების აღწერილობითი ნაწილის ბოლოდან მეორე აბზაცი, რომელიც იწყება სიტყვებით: „ამგვარი დარღვევა ხდება აგრეთვე საქმის განხილვის დროს კასაციაში...“ ამოღებული იქნეს.

დ) დადგენილების მეხუთე პუნქტი გადმოყვებული იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მიეცეს სასამართლოებს მითითება, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების

46 მუხლის შესაბამისად მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის საფუძველზე თუ არ არის პროცესორის პროტესტი ან დაზარალებულის საჩივარი სასჯელის ღმობიერების შესახებ ან იმ კანონის გამოყენების საჭიროების შესახებ, რომელიც იწვევს უფრო მკაცრ სასჯელს, მათ უფლება არა აქვთ ამ მოტივებით გააუქმონ განაჩენი და გადასცენ საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის.“

ე) დადგენილების მეექვსე პუნქტის პირველი აბზაცი, აგრეთვე სიტყვები: „ამასთან დაკავშირებით...“ ამავე პუნქტის მეორე აბზაციდან ამოღებული იქნეს.

ვ) დადგენილების მეშვიდე პუნქტის მეორე აბზაცი ამოღებული იქნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორაკინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ბრიზანიძე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

რეზოლუცია

1962 წლის 29 მარტი.

„სსსჯელისაგან მსჯავრდებულთა ვადამდე პირობითი განთავისუფლების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის № 2 დადგენილების მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის შემცვლის თაობაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში აღგენს:

„სასჯელისაგან მსჯავრდებულთა ვადამდე პირობითი განთავისუფლების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის № 2 დადგენილების „ე“ პუნქტი გადმოცემულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლოებმა ვადამდე პირობითი განთავისუფლებისას არ უნდა დააწესონ რაიმე გამოსაკლებელი ვადა, რამდენადაც სსრ კავშირისა და მო-

კავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის აზრით გამოსაკლებელი ვადა ამ შემთხვევაში არის სასჯელის მოუხდელი ნაწილი; მაგრამ განჩინებებში ვადამდე პირობითი განთავისუფლების შესახებ სასამართლოებმა უნდა მიუთითონ სასჯელის მოუხდელი ნაწილი, რომლისგანაც მსჯავრდებულები თავისუფლდებიან. ასევე არ შეიძლება თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ვადის შეცვლა პირობითი მსჯავრით.“

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორაკინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ბრიზანიძე.

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ე

1962 წლის 31 მარტი.



„სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 26 მარტის
№ 8 დადგენილების მე-10 პუნქტის შეცვლის თაობაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

„სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 26 მარტის № 3 დადგენილების 10 პუნქტი შეიცვალოს და გადმოცემულ იქნეს იგი შემდეგი რედაქციით:
„კოლმეურნეობების სასარგებლოდ კოლმეურნეობის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ საქმეთა განხილვის დროს, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ასეთ საქმეებზე გარდა სარჩელებისა, რომლებიც წარმოადგინა პროკურორმა რსდსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების წესით, აგრეთვე სარჩელებისა დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ და დებიტორული დავალიანების გადახდევინების შესახებ, როგორც წესი უნდა არსებობდეს იმ ორგანოს წინასწარი გადაწყვეტილება, რომლის კომპეტენციასაც მოცემული კოლმეურნეობის წესდებამ ამ საკითხის გადაჭრა მიაკუთვნა (კოლმეურნეობის წვევრთა საერთო კრება ან რწმუნებულთა, კოლმეურნეობის მიერ არჩეულ ნდობით აღჭურვილ პირთა კრება, ბრიგადის კრება ან კოლმეურნეობის გამგეობა)“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე პ. გორკინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ბრიშვანიძე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის საქმე

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ე

1962 წლის 31 მარტი.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო პლენუმების სახელმძღვანელო განმარტებათა შესახებ.

მოისმინა რა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის აშხ. ლ. ნ. სმირონოვის მოხსენება სასამართლო საქმეების განხილვის დროს კანონების გამოყენების შესახებ სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებების მიცემის თაობაზე მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრაქტიკის გამო, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მოხსენება მიღებული იქნას ცნობად. განზოგადების მასალები მოცემულ საკითხზე დაეკუთვნოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს.


2. მიექცეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ყურადღება იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების და კანონმდებლობის გამოყენების საკითხთა თავის დროზე განმარტებას სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მოკავშირე რეს-

პუბლიკების სასამართლო წყობილების კანონების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს პლენუმების სახელმძღვანელო განმარტებანი უნდა მიეძღვნას რესპუბლიკური კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს, ისინი უნდა სსნიდნენ კანონის შინაარსს და შეესაბამებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებს.

3. საჭიროდ იქნას მიჩნეული, რომ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმებმა გააძლიერონ მუშაობა სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადებისათვის და სახელმძღვანელო განმარტებების მიცემისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმების დადგენილებანი, რომლებშიც მოცემულია განმარტებანი რესპუბლიკური კანონმდებლობის გამოყენების ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, გამოქვეყნდეს „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენში“.

4. მიექცეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ყურადღება იმას, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას სათანადო კონტროლ



ლი, რათა სასამართლოებმა სწორად გამოიყენონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებანი.

იმ შემთხვევებში, როცა საჭირო ხდება განმარტებების მიცემა საერთო-საკავშირო კანონმდებლობის საკითხებზე, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებების დასამატებლად ან შესაცვლელად, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები შესაბამისი წინადადებებით უნდა შევიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში.

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმების სახელმძღვანელო განმარტებებთან ერთად

იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება სამოქალაქო სისხლის სამართლის საქმეთა კატეგორიის საზღვრას, მოხდეს სახელმძღვანელო მითითებების მიცემა აგრეთვე კანონის გამოყენების ცალკეულ საკითხებზე.

6. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმების სახელმძღვანელო განმარტებანი, რომლებიც შეიცავენ არასწორ მითითებებს ან მიღებული არიან მათთვის მინიჭებული კომპეტენციის დარღვევით, მოიყვანონ კანონისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებების შესაბამისობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გორკინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. გრიშანიძე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კანონის

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ე

1962 წლის 14 მაისი.

მეჭრთამეობასთან და სახალხო დოვლათის დატაცებასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

შოისმინა და განიხილა რა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის აზხ. ვ. ვ. კულიკოვის მოხსენება—მექრთამეობასთან და სახალხო დოვლათის დატაცებასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიექცეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს ყურადღება იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს სასამართლო ორგანოების საქმიანობა მეჭრთამეობასთან ბრძოლაში, დროულად და ყოველმხრივ იქნას განხილული შემოსული სისხლის სამართლის საქმეები, შეეფარდოს რა ქრთამის მიცემასა და აღებაში დამნაშავეებს, აგრეთვე მეჭრთამეობაში შუამავალთ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მკაცრი ღონისძიებანი.

2. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მეჭრთამეობის საქმეთა სასამართლო განხილვის აღმზრდელი მნიშვნელობა, მიპყრობილ იქნას ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება ამ საშიში სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი, აგრეთვე შეიქმნას შეუწყნარებელი ვითარება მეჭრთამეობის ირგვლივ. წინადადება მიექცეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებს უახლოეს დროში მოაწიონ ღია სასამართლო პროცესები მათ წარმოებაში მყოფ მეჭრთამეობის საქ-

მეებზე, იმ საწარმოებში, მშენებლობებსა და დაწესებულებებში ვასვლით, სადაც ჩადენილა ეს დანაშაული.

3. წინადადება მიექცეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებს მოახდინონ სასამართლო პრაქტიკის განზოგადება მეჭრთამეობის საკითხებზე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებათა დანიშვნის სისწორის, დანაშაულით მიყენებული ზარალის გამოვლინებისა და ანაზღაურების, ან დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამორკვევის საკითხებს, აგრეთვე მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელების საკითხებს. განზოგადების მასალები და თავიანთი წინადადებანი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა წარმოადგინონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოში ა. წ. 1 ივლისისათვის.

4. საჭიროდ ჩაითვალოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნას ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეთა მოხსენებები მეჭრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გორკინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. გრიშანიძე.



1962 წლის 31 ივლისი.

მეტრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

მიისმინა და განიხილა არა მოსხენებები მეტრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უკრაინის, საქართველოს, ყირგიზეთის სსრ და რსფსრ უმაღლესი სასამართლოების მუშაობის შესახებ და განიხილა რა ამ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განვითარების მასალები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს მთელი რიგი რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები ყველაზე უფრო სერიოზულ საქმეებს მეტრთამეობის შესახებ ღებულობენ თავიანთ წარმომებაში და იხილავენ მათ ღია სამსჯავრო სხდომებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ბრალმძებელთა მონაწილეობით, ამ საქმეებისადმი ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობით და მასალების პრესაში გაშუქებით.

ამასთან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს მიაჩნია, რომ სასამართლო ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ დააკეთეს საჭირო დასკვნები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 20 თებერვლის დადგენილებიდან — „მეტრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“. ამ დანაშაულთა განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროების არსებული შეუფასებლობის დაძლევა ხდება წელი ტემპით. სასამართლოების მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი თანამდებობის პირთა სამსახურებრივი მდგომარეობის დანაშაულებრივ — ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში, ნაკლები ყურადღება ექცევა იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლინებას და თავიდან აცილებას, რომლებიც ხელს უწყობენ მეტრთამეობას.

მიჩნეულია რა მეტრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა სასამართლო ორგანოთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად, მათ ამავე დროს უნდა გაუწიონ ანგარიში, რომ მეტრთამეობა, როგორც ერთერთი საპარტახეინო და საზოგადოებრივი გადაშინაშით, რომელიც შემორჩა ჩვენს საზოგადოებას მეგვიდროებით ცაპიტალიზმისაგან, შესაძლებელია საბოლოოდ აღმოიფხვრას ადმინისტრაციული, სასამართლო ორგანოებისა და საზოგადოებრიობის მხრივ მიღებული გადამწყვეტი ღონისძიებებით. მაგრამ ზოგიერთმა სასამართლო ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ დააღწიეს თავი სერიოზულ შეც-

დომებს ამ საშიშ დამანაშავეებისათვის სასჯელის ზომის დანიშნისას; ისინი გაუმართლებელ შემწყყნარებლობას იჩენენ ქრთამის ამღებთა და ქრთამის მიმცემთა მიმართ. ხშირად ათავისუფლებენ უკანასკნელთ კანონიერი პასუხისმგებლობისაგან ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ისინი ფულით აღწევდნენ ქრთამის ამღებისაგან მათთვის სასარგებლო უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას.

ითვალისწინებს რა, რომ მეტრთამეობა შეადგენს განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭომ გააძლიერა საბჭოთა ქრთამის აღების, მიცემისა და მეტრთამეობაში შუამავლობისათვის; იმ პირთა მიმართ, ვინც ცნობილია დამანაშავედ ქრთამის აღებაში განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში, დაშვებულია სიკვდილით დასჯის-დასჯერტის შეფარდება. შრძანებულებით დადგენილი ასეთი სასჯელის ზომები გამოხატავენ იმ დანაშაულთა საშიშროების მაღალ ხარისხს, რომლებიც ხშირად მტაცებლობასთან, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებასთან, გადამეტებასთან და სხვა უკანონო მოქმედებებთანა დაკავშირებული.

ბოროტულ დამანაშავეთა მიმართ სასჯელის მკაცრი ზომის შეფარდებისას სასამართლოებმა იმავე დროს არ უნდა დაუშვან ჩვენი კანონმდებლობის საწინააღმდეგო განუტრეველი მიდგომა დამანაშავეებზე. არ შეიძლება ერთნაირად მოექცეთ მორალურად გახრწნილ, ბოროტულ დამანაშავეებს, საქმოსნებს, რომელთა მისწრაფება ანგარების მიზნით და მოსყიდვის გზით შეიტანონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ აპარატის მუშაობაში გახრწნის ელემენტები, და ისეთ ადამიანებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს შემთხვევით გარემოებათა გამო.

იმ კანონის არასწორად გავების შედეგად, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მეტრთამეობისათვის, სასამართლო პრაქტიკაში უშვებენ სერიოზულ შეცდომებს, რაც იწვევს ცალკე შემთხვევებში დამსახურებულ სასჯელისაგან დამანაშავეთა განთავისუფლებას ან ისეთ ადამიანთა მიმართ სასჯელის გამოტანას მეტრთამეობისათვის, რომლებსაც არ ჩაუდენიათ ასეთი დანაშაული.

ქრთამის მიცემისა და აღების დროს მასალათა შემოწმებისას სასამართლოები არ უთმობენ ჯერ-

როგან ყურადღებას გამოავლინონ ყველა გარემოება, რაც დაკავშირებულია მექრთამეობასთან და ხშირად ისინი ვერ ამჩნევენ ისეთ არანაკლებ საშიშ დანაშაულს, როგორცაა სახალხო დოვლათის გატაცება, კერძო სამეწარმეო საქმიანობა, სპეკულაცია, მინაწერი და სახელმწიფოს მოტყუება. ამის შედეგად არ იხსნება ყველა დანაშაული, არ ვლინდება მასში მონაწილე ყველა პირი, რის გამოც საშიში დანაშაულები ბევრჯერ რჩებიან დაუსჯელოდ.

ასე, მაგალითად, იაროსლავის ოლქის უკლიჩის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა სკელის ქარხნის უფროსი მიმღები ლიხაჩოვი, რომელიც დანაშაულები იქნა ცნობილი მასში, რომ ქრთამის შედეგად ღებულობდა კალინინის სახელობის კოლმურნეობისაგან არაკონდიციურ სელს როგორც პირველ ხარისხიდან. დაკმაყოფილდნენ რა ქრთამის აღების ფაქტის დადგენით, საგამომძიებლო ორგანოებმა და სახალხო სასამართლომ გვერდი აუარეს ისეთ დანაშაულებრივ ქმედობებს, რომლებიც დაკავშირებულია თვალის ახვევასთან და სახელმწიფოს მოტყუებასთან.

ქრთამის აღებისათვის კანონის პირდაპირი მითითებით შეიძლება პასუხი აგონ მხოლოდ თანამდებობის პირებმა. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევებში სასჯელს უფარდებენ ქრთამის აღებისათვის ისეთ მუშაკებს, რომლებიც არ არიან აღჭურვილნი თანამდებობის პირთა უფლება-მოვლიებით (გამცილებლნი რკინიგზის ტრანსპორტზე, გამომჭირლნი ატელიჟებში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშეები და სხვ.), როცა ასეთი პირების, მოქმედებაში სახეზეა დანაშაულის შემადგენლობა, მათ პასუხი უნდა აგონ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, ხოლო დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის შემთხვევაში — მათ უნდა შეეფარდეთ დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზეგავლენის ღონისძიებანი.

სხვადასხვანაირად წყდება საკითხი დანაშაულის მოქმედებაში ისეთი დამამძიმებელი გარემოების არსებობის ან არ არსებობის შემთხვევაში, როგორცაა ქრთამის გამოტაცება. სახალხო სასამართლოები არასწორად იხილავენ როგორც ქრთამის გამოტაცებას — თანამდებობის პირის წინადადებას ვინმემ მისცეს მას ქრთამი ისე, რომ მის მხრივ ადგილი არ ჰქონდეს იმ პირის მიმართ კანონიერი ინტერესებისადმი ზიანის მიყენების მუქარას, ვისგანაც მან მოითხოვა ქრთამი. ამავე დროს ზოგჯერ ქრთამის აღება მუქარისა და სხვა შევიწროებების გზით, რის შედეგადაც მოქალაქენი იძულებული ხდებიან მისცენ ქრთამი თავიანთი კანონიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, შეცდომით კვალიფიცირდება როგორც დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ჩადენილი დანაშაული.

არ არის ერთიანობა ისეთ დამამძიმებელ გარემოებათა გაგებაშიც, როგორცაა ქრთამის აღების თანამდებობის პირის საპასუხისმგებლო მდგომარეობა, ქრთამის არაერთგზის მიცემა, აღება და მექრთამეობაში შუამავლობა, აგრეთვე წინანდელი ნასამართლობა მექრთამეობისათვის.

ზოგიერთი სასამართლოები არასწორად მსჯელობენ, რომ რაკი შუამავლობა მექრთამეობაში კანონით გამოყოფილია დანაშაულის ცალკე შემადგენლობად, მაშასადამე ამით გამორიცხულია შესაძლებლობა მიეცენ პასუხისგებაში შუამავალთა ქრთამის აღებასა და მიცემაში მონაწილეობისათვის, მაშინ როცა შუამავლები ხშირად ამ დანაშაულთა ორგანიზატორები და წამქეზებლები არიან.

ასე მაგალითად, სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის წინათ გასამართლებული კოლბაია, გათავისუფლდა რა საპატიმრო ადგილიდან, არსად არ მუშაობდა და ეწეოდა პარაზიტულ ცხოვრებას. მან გაიცნო მშრომელთა დეპუტატების სოხუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსი ბეჭკაია, რომელსაც შესთავაზა მიეღო ქრთამი იმ პირებისაგან, ვისაც ჰქონდოდა საბინაო პირობების გაუმჯობესება. ამ მიზნით კოლბაიამ და ბეჭკაიამ დააწესეს ქრთამის „განაკვეთი“ როგორც რიგში ყოფნის გადანაცვლების, ასევე ბინაში ჩასახლებისათვის. უხელმძღვანელა რა ამ დანაშაულის ჩადენის, კოლბაიამ პირადად სხვა შუამავალთა მეშვეობით მიიღო 33 ქრთამის — მიმცემისაგან 30.000 მანეთი, აქედან 12.000 მანეთი გადასცა ბეჭკაიას, ხოლო დანარჩენი ფული სხვა შუამავლებთან ერთად გამოიყენა პირად სარგებლობისათვის.

აფხაზეთის ასსრ საგამომძიებლო ორგანოებისა და უმაღლესი სასამართლოს მიერ კოლბაიას მოქმედება დაკვალიფიცირებულ იქნა როგორც შუამავლობა მექრთამეობაში (საქართველოს სსრ სსკ 124 მუხლი), თუმცა ამ შემთხვევაში კოლბაია იყო ქრთამის აღების ორგანიზატორი და მისი მოქმედება უნდა ყოფილიყო დაკვალიფიცირებული არა როგორც შუამავლობა, არამედ როგორც მონაწილეობა ქრთამის აღებაში.

რიგ შემთხვევებში ქრთამის მიმცემის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საკითხი შემთხვევის შესახებ ნებაყოფლობით განცხადების მოტივებით წყდება იმასთან დაკავშირებით, თუ როდისაა ეს განცხადება შეტანილი — სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე თუ მერე, თუმცა ეს გარემოება ყოველთვის როდი ავლენს განცხადების ნებაყოფლობით ხასიათს, რაც იწვევს დაუსაბუთებელ მსჯავრდებას ან ქრთამის მიმცემ პირთა განთავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან.

სასამართლო პრაქტიკაში არ არის ერთიანობა



იმ პირთა მოქმედებების შეფასებაში, რომლებმაც განაცხადეს ქრთამის მიცემა ქრთამის ამღების მიერ თავისი დაპირების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით და უარის თქმის გამო დაუბრუნეს ქრთამის სახით გადაცემული ფასულობანი.

ცალკეული სასამართლოები არასწორად ცნობენ დაზარალებულად საქმეზე პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულ ქრთამის მიმცემთ. სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრება საკითხი იმ ფული-სა და ფასულობის გადახდევინების შესახებ, რომლებიც გადაეცათ ქრთამის სახით და რომლებიც ვერ იქნენ აღმოჩენილნი საქმის გამოძიების დროს, აგრეთვე სხვა საკითხებიც მექრთამეობის საქმეებზე კანონის შეფარდებასთან დაკავშირებით.

სასამართლო პრაქტიკაში მექრთამეობის საქმეებზე ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიექცეს სასამართლოთა ყურადღება, რომ მექრთამეობა შეადგენს განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს და მოითხოვს თანმიმდევრულ და გამაწყვეტ ბრძოლას მის წინააღმდეგ, მექრთამეთა გარშემო მოუთმენლობისა და საზოგადოებრივი ვაკიცხვის ვითარების შექმნას. სასამართლოები ვალდებული არიან უზრუნველყონ მექრთამეობის საქმეთა საგულდაგულოდ განხილვა, გამოავლინონ ამ დანაშაულში დამნაშავე ყველა პირი, დაადგინონ თვითეული სამართალში მიცემულის დანაშაულის როლი და ხარისხი, კანონით გათვალისწინებული დამაკვალიფიცირებელი ნიშნები, აგრეთვე დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი, რათა არც ერთმა ქრთამის მიმცემმა, შუამავალმა და ქრთამის ამღებმა არ დააღწიოს თავი პასუხისმგებლობას და ამასთანავე არ იქნას დაშვებული დაუსაბუთებელი და უპართებულო მსჯავრდება.

საჭიროა, უფრო ხშირად იხილებოდეს მექრთამეობის საქმეები წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში; ეწყობოდეს სასამართლოს გამსვლელი სესიები სამსჯავრო განჩევაში საზოგადოებრივ ბრძიდებულთა ჩაბმით, ვაშუქდეს პროცესების შედეგები პრესის, რადიოს მეშვეობით, მოსამართლეების მიერ მოსახლეობისათვის ჩატარებულ ლექციებსა და მოხსენებებში.

2. სასამართლოები ვალდებული არიან უზრუნველყონ სასჯელის სწორად შეფარდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 20 თებერვლის ბრძანებულებით დადგენილ სანქციების შესაბამისად. ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არამართო ქრთამის ამღების, არამედ ქრთამის მიმცემის, აგრეთვე შუამავლის მოქმედებათა საშიში ხასიათი.

ვინაიდან ქრთამის აღებისა და მექრთამეობაში

კვალიფიცირებული შუამავლობისათვის სასჯელის დამატებითი ზომის სახით აწესებს ქონების კონფისკაციას, მოსამართლეები ვალდებული არიან განურჩევლად დაიცვან კანონის ეს მოთხოვნაც. ქონების კონფისკაციის შეუფარდებლობა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველთა 37-ე მუხლში გათვალისწინებული წესის მიხედვით.

დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის და მექრთამეობაში შუამავლობისათვის სასჯელის დადებისას სასამართლოებმა უნდა განიხილონ აგრეთვე საკითხი თავისუფლების აღკვეთის შემდეგ, დამატებით სასჯელის ზომის სახით, გადასახლების შეფარდების ან შეუფარდებლობის შესახებ.


ამასთანავე სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან განურჩეველი მდგომარეობა სასჯელის ზომის დანიშნისას. კონკრეტულ საქმეთა განხილვისას ანგარიში უნდა გაეწიოს ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოებას, დამანაშავის პიროვნებას, უნდა გამოიყოს ბოროტეული მექრთამეობისაგან დანაშაულის მეორე ხარისხობანი მონაწილე და ისეთი პირნი, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს შემთხვევითი გარემოებათა გამო.

3. მექრთამეობის საქმეთა განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლოებმა გაზრდილი მოთხოვნები უნდა წაუყენონ წინასწარი გამოძიების ხარისხს, მიღწიონ ჩადენილი დანაშაულის სრულყოფილად გახსნას, რათა სასამართლოს ყოველი განჩენი ეყრდნობოდეს სამსჯავრო განჩევისას ღრმად გამოკვლეულ ობიექტურ და უტყუარ ფაქტებს.

შეცდომებისაგან თავის დაღწევის მიზნით სასამართლოებმა გულდასმით უნდა გამოავლინონ საქმის ყველა ფაქტური გარემოება, იმ პირის თანამდებობრივი მდგომარეობა, რომელსაც ბრალი ედება ქრთამის აღებაში, მოქმედებათა ხასიათი, რომლებიც მან ჩაიდინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რისთვისაც ეძლეოდა ქრთამი, ქრთამის აღების, მიცემის ან მექრთამეობაში შუამავლობის დამაკვალიფიცირებელი გარემოებათა არსებობა ან არსებობა. ყველა შემთხვევაში სასამართლოს დასკვნები მოტივირებული უნდა იქნენ განჩენში.

ისეთ გარემოებათა გამოვლინებისას, რაც საფუძველს იძლევა, რომ მექრთამეობასთან დაკავშირებით ჩადენილია სხვა დანაშაული, ასეთი კერძო განჩინებით უნდა ეუწყოს გამოძიების ორგანოებს, ხოლო საჭირო შემთხვევებში აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

4. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს მი-



ამნია, რომ ქრთამის მიცემის და აღებისათვის გავრდილი პასუხისმგებლობა ვერ გამოირიცხავს პასუხისმგებლობას მექრთამეობასთან დაკავშირებულ სხვა უფრო საშიშ დანაშაულს, ისეთს, კერძოდ, როგორცაა სახალხო დოვლათის მტაცებლობა.

წინასწარ შეთანხმებით თანამდებობის პირის მიერ ქრთამის სახით აშუარა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების მიღება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის პრინციპით როგორც ქრთამის მიღება და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება დამამძიმებელ გარემოებაში სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

ქრთამის მიმცემთა და შუამავალთა მოქმედება, რომლებიც ქრთამის გადაცემისას თავის საკუთრებად ატყევენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სახსრების ნაწილს, არეთვიც იმ თანამდებობის პირთა მოქმედებას, რომლებიც ახდენენ ამ სახსრების ამოღებას და მათი ქრთამის სახით გადაცემას, პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც მექრთამეობისა და გატაცების ერთობლიობა.

5. წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, რომლებიც დაავალდებენ სხვა პირთ, მათ შორის სამსახურით დაქვემდებარებულთ, ქრთამის მიცემის გზით მიაღწიონ სასურველ მოქმედებას ან უმოქმედობას, უნდა აკონ პასუხი როგორც ქრთამის მიცემის ორგანიზატორებმა. ის პირი, რომელიც ასეთ ხელმძღვანელთა დავლებით შეუთანხმდება თანამდებობის პირს, რათა მან ქრთამის მიღების შედეგად შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, და გადასცემს ქრთამს, უნდა აკონ პასუხი როგორც ქრთამის მიმცემმა. უკეთუ ასეთ პირთა მოქმედება განისაზღვრება როგორც მხოლოდ ქრთამის გადაცემა დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელობის მითითებით, მაშინ ასეთ შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდება როგორც შუამავლობა მექრთამეობაში, ხოლო საწარმოს და დაწესებულების ხელმძღვანელთა მოქმედება — როგორც ქრთამის მიცემა.

6. განემარტოთ სასამართლოებს, რომ კანონის თანახმად ქრთამის აღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა მხოლოდ თანამდებობის პირნი. ამიტომ იმ მუშაკებს, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირნი და იღებენ საუდიეროს მოქალაქეთა მომსახურებისათვის, რაც დაკავშირებულია მათ საწარმოს საქმიანობასთან, უკეთუ ამ მოქმედებაში არ მოიპოვება სხვა დანაშაულთა ნიშნები (მაგალითად, კერძო სამეწარმო საქმიანობა, კომერციული შუამავლობა, აკრძალული რეწვა, თადლითობა და ა. შ.), უნდა შეეფარდეთ ადმინისტრაციული, დისციპლინური და საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომები.

ისეთ შემთხვევებში, როცა მუშაკნი, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირნი, ღებულნი არიან იმ გასამარტველოს მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენების გზით, სახელმწიფოსა ან საზოგადოებრივ ორგანიზაციისათვის ზიანის მიყენებით, ასეთ პირთა მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სსკ 94 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაბამისი მუხლებით (მაგალითად, როცა რონოდის გამცილებელი მგზავრისაგან ღებულს ფულს უბილეთოდ მგზავრობისათვის).

7. მიეთითოთ სასამართლოებს, რომ მათ მტკიცედ გამიჯნონ შუამავლობა მექრთამეობაში ქრთამის მიცემისა და აღებისაგან იმის გათვალისწინებით, რომ შუამავალი ისაა, ვინც, მოქმედებს რა ქრთამის მიმცემის ან ქრთამის ამღების თხოვნით ან დავლებით, ხელს უწყობს, რათა მიღწეული იქნას ან განხორციელდეს შეთანხმება ქრთამის მიცემა-აღების შესახებ.


იმ პირთა მოქმედება, ვინც ასრულებდა რა შუამავლის როლს, ერთდროულად ქრთამის მიცემის ან აღების ორგანიზატორი იყო, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც თანამონაწილეობა ამ დანაშაულში.

8. სასამართლოებმა სწორად უნდა შეუფარდონ მითითებანი კანონისა დამამძიმებელ პასუხისმგებლობის გარემოებებზე და არ დაუშვან ამ გარემოებათა არც შეკუმშვა და არც ვანერცობა. ამასთან დაკავშირებით განემარტოთ, რომ:

ა) საკითხი იმ თანამდებობის პირის სახალხო-მგებლო მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ბრალად ედება ქრთამის აღება, წყდება სასამართლოს მიერ საქმის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით, ასევე გათვალისწინებით თუ რა ხასიათის თანამდებობა უკავია მას და რაოდენ მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრცილებს იგი (ხელი-სუფლების წარმომადგენელი, წარმოება-დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკნი, საკონტროლო და სარევიზიო ორგანოთა ოპერაციული მუშაკნი და სხვ.);

ბ) მექრთამეობისათვის წინათ ნასამართლობის მქონედ უნდა ჩაითვალოს პირი, რომელიც წარსულში უკვე იყო მგზავრებული სასამართლოს მიერ ქრთამის აღების ან მიცემისათვის ამ მექრთამეობაში შუამავლობისათვის, უკეთუ ნასამართლობა მოცემულ დანაშაულისათვის არ არის გაუქმებული ან მოხსნილი კანონით დადგენილი წესის მიხედვით;

გ) ქრთამის არაერთგზის აღება, ქრთამის მიცემა ან მექრთამეობაში შუამავლობა ვარაუდობს ერთერთი ასეთი დანაშაულის ჩადენას არა ნაკლებ ორგზისა, უკეთუ ამასობაში არ გავიდა სისხლის სამართლის დენის კანონით გათვალისწინებული ვადები. ქრთამის ერთდროულად აღება



რამდენიმე პირისაგან, ქრთამის მიცემა რამდენიმე პირისათვის, ან შუამავლობა მექრთამეობაში სხენებულ გარემოებათა ვითარებაში, უნდა იქნას განხილული როგორც არაერთგზის ჩადენილი დანაშაული;

დ) გამოძალგა ნიშნავს, როცა თანამდებობის პირი მოითხოვს ქრთამს სამსახურის სახით ისეთ მოქმედებათა მუქარის ქვეშ, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ქრთამის მიმცემის კანონიერ ინტერესებს, ან როცა უკანასკნელი ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რომ იგი იძულებულია მისცეს ქრთამი, რათა თავიდან აიცილოს მისი უფლებრივი ინტერესებისათვის მავნე შედეგები.

9. მიეთითოთ მოსამართლეებს, რომ ნებაყოფლობითი განცხადება ქრთამის მიცემაზე ვარაუდობს, როცა ასეთი განცხადებით (სიტყვიერად თუ წერილობით) მიმართავენ ქრთამის მიმცემი მილიციას, პროკურატურას, სასამართლოს, აგრეთვე სხვა საბჭოთა ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიუხედავად მოტივებისა, მაგრამ იმასთან დაკავშირებით კი არა, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაული უკვე ცნობილი გახდა ხელისუფლების ორგანოებისათვის.

10. იმ შემთხვევებში, როცა მოცემული პირი, წააქეზებს რა ქრთამის მიმცემს, გამოართმევს მას ფულს ან სხვა ღირებულებას თითქოს თანამდებობის პირისათვის. ქრთამის სახით გადასაცემად, მაგრამ ფაქტიურად ითვისებს ასეთებს, ეს დანაშაული იმ პირთა მიმართ, ვინც დაიყოლია მიეცა ქრთამი, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც წაქეზება ქრთამის მისაცემად, ხოლო ქრთამის მიმცემთა მიმართ — როგორც ქრთამის მიცემის ხელყოფა.

11. განემარტოთ, რომ ფული და სხვა ფასეულობანი, რომლებიც შეადგენდნენ ქრთამის საგანს და ცნობილ იქნენ ნივთიერ მტკიცებად, ექვემდებარებიან სახელმწიფოს სასარგებლოდ მიქცევას. რსფსრ სსსკ 86 მუხლის მე-4 პუნქტისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ სათანადო მუხლების შესაბამისად. ქრთამის მიმცემის განთავსება

ვისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მისთვის ქრთამის გამოძალგის ან შემთხვევის შესახებ ნებაყოფლობით განცხადების მოტივებით არ ნიშნავს, რომ ამ პირის მოქმედებაში არ არის დანაშაულის ნიშნები. ამიტომ ქრთამის მიმცემი არ შეიძლება ცნობილ იქნას დაზარალებულად და მას უფლება არა აქვს განაცხადოს პრეტენზია ქრთამის სახით გადაცემულ ფასეულობათა დასაბრუნებლად.

უკეთუ ქრთამის სახით გადაცემული ფული ან სხვა ფასეულობა ვერ იქნა აღმოჩენილი, უსაფუძვლო გამდიდრება ამოიღება სასამართლოს მიერ რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 402 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების შესაბამისად.

12. მექრთამეობის საქმეთა განხილვისას სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ მიზეზებისა და პირობების გამომქლავებას, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ დანაშაულთა ჩადენას და სათანადო სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით მიიღონ ყველა, მათგან დამოკიდებული ღონისძიება ამ მიზეზებისა და პირობების აღკვეთის მიზნით.

13. მიექცეთ სასამართლოებს ყურადღება, რომ შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 14 მარტის დადგენილებას: „მექრთამეობასთან და სახელმწიფო დოვლათის გატაცებასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ პერიოდულად შეისწავლონ და განაზოგადონ სასამართლო პრაქტიკა მექრთამეობის საქმეებზე ასეთ საქმეთა განხილვაში არსებულ ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

14. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ცნობილ იქნას ძალადაკარგულად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წ. 23 ივნისის № 7/2/უ დადგენილება: „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გორკინი.
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ბრიშანინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმი დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 10

1962 წლის 31 ივლისი.

თავისუფლების აღკვეთაზე მისჯილ პირთათვის უროგაზაფროების კოლონიის სახის განსაზღვრის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

განხილა რა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინება და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალები, სსრ კავშირის უმაღლესი

სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად უფარდებენ მოკავშირე რესპუბლიკათა შინაგან საქმეთა სამინისტ-

როების შრომაგასწორების კოლონიებისა და ციხეების დებულებებს და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წ. 19 ივნისის დადგენილებას „მი პირთა მიმართ შრომაგასწორების კოლონიის სახის განსაზღვრის წესზე, ვისაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა“.

ამასთანავე თავისუფლების აღკვეთა მისჯილ პირებზე კოლონიის სახის განსაზღვრისას სასამართლოები უშვებენ სერიოზულ შეცდომებს, რაც იწვევს პატიმართა ცალ-ცალკე ყოლის დადგენილი წესის დარღვევას, გამომდინარე მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მათი პიროვნებიდან. ბევრი სასამართლოს განაჩენები კოლონიის სახის არასწორად განსაზღვრის მიზეზით იცვლებიან ან უქმდებიან, რის გამოც ფერხდება მათი აღსრულება და მსჯავრდებულთა ვაგზავნა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოსახდელად.

სასამართლოები ხშირად უსაფუძვლოდ ვაგენიან საერთო რეჟიმის კოლონიაში მსჯავრდებულთ მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე იმ პირთ, რომლებიც უკვე არაერთჯერ იხდიდნენ სასჯელს თავისუფლების აკვეთის ადგილებში და რაც უარყოფით გავლენას ახდენს პატიმრებზე, რომლებიც პირველად მოხვდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილას.

ასე, სომხეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ მკვლელობისათვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთაზე მისჯილი ბაბახანიანი, რომელიც წინად არაერთჯერ იხდიდა სასჯელს საპატიმრო ადგილებში, უნდა ვაგეზავნათ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, მაგრამ სასამართლომ სასჯელის მოხდა დაუნიშნა მას საერთო რეჟიმის კოლონიაში.

ქ. ვორონეჟის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით მეზენცევს ქურდობისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სასჯელის საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით. მეზენცევს წარსულში სამეზის ჰქონდა მისჯილი თავისუფლების აღკვეთა ასეთივე დანაშაულისა და საპატიმრო ადგილიდან გაქცევისათვის.

იმავე დროს არის შემთხვევები, როცა სასამართლოები სასჯელის მოხდას უსაზღვრავენ გაძლიერებულ ან მკაცრი რეჟიმის კოლონიებში ისეთ პირებს, რომლებიც პირველად არიან მსჯავრდებულნი ნაკლებად საშიშ დანაშაულისათვის, მათ რიცხვში გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთათვის; აგრეთვე იმათაც, ვისაც მოკლე ვადით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

გორკის ოლქის გაგინის რაიონის სახალხო სასამართლომ, მაგალითად, ვოინოვს მიუსაჯა რა წვრილმანი ქურდობისათვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მოხდა საერთო რეჟიმის კოლონიის ნაცვლად დაუნიშნა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში.

პერმის ოლქის ჩუსოვის საქალაქო სახალხო სა-

სამართლომ ავტოტრანსპორტის უშიშროების მოძრაობის წესების დარღვევისათვის ბუტორინს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, მაგრამ არ მოიყვანა არავითარი მოტივი იმისა, თუ რატომ არ დაუნიშნა მას სასჯელის მოხდა უფრო მკაცრი რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში.


ზოგჯერ განსაკუთრებული რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში, სადაც სასჯელს უნდა იხდიდნენ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები და ისეთი პირნი, ვისაც სიკვდილით დასჯა, შეწყენარების სახით, შეეცვალა თავისუფლების აღკვეთით. იგზავნებიან მსჯავრდებულნი, რომლებიც არ არიან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები.

არის ისეთი ფაქტებიც, როცა სასჯელის მოხდა ენიშნებათ გაძლიერებული ან განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში ქალებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, მაშინ როდესაც კანონის მიხედვით ისინი არ უნდა იყვნენ მოთავსებულნი ასეთ კოლონიებში.

ცალკეული სასამართლოები დამნაშავეთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოტანისას, საერთოდ არ იხილავენ საკითხს, თუ რა სახის კოლონიას უნიშნავენ, სადაც მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს სასჯელი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1961 წლის 15 ივლისის დადგენილებით განმარტა, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა შსს შრომაგასწორების კოლონიებისა და ციხეების დებულების შესაბამისად სასამართლოს ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია დაუნიშნოს მსჯავრდებულს, როგორც არ უნდა იყოს შრომაგასწორების კოლონიის სახე, ვარდა განსაკუთრებულისა, პატიმრის პიროვნების, დანაშაულის სახისა და საზოგადოებრივი საშიშროების სახისათვის და წარსულისა და საქმის გარემოებათა გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა სასამართლოები იმ მსჯავრდებულთა პიროვნების შეფასებისას, რომლებიც უკვე იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ყოველთვის როდი დებულობენ მხედველობაში ამ პირთა წარსულ დანაშაულებრივ საქმიანობას და ნაცვლად მკაცრი რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიისა უსაზღვრავენ მათ გაძლიერებულ ან კიდევ საერთო რეჟიმის კოლონიაში მოთავსებას.

უნიშნავენ რა მსჯავრდებულთ ნაკლებად მკაცრი ან უფრო მკაცრი რეჟიმის კოლონიას, ვიდრე ისეთს, რომლითაც შეიძლებოდა განესაზღვრათ, გამომდინარე დანაშაულის ხასიათისა და მსჯავრდებულის პიროვნებიდან, სასამართლოები ბევრ შემთხვევაში არ აღნიშნავენ განაჩენებში მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოტივებს, ან მათ მოჰყავთ ისეთი მოტივები, რომლებიც ვერ და-



ედებათ საფუძვლად სხვა რეჟიმის კოლონიის და-
ნიშვნისათვის.

სასამართლო პრაქტიკაში არ არის ერთიანობა
იმ პირთა მიმართ კოლონიის სახის განსაზღვრი-
სას, რომლებიც წარსულში იხდიდნენ სასჯელს
თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ისეთი და-
ნაშაულისათვის, რომელიც ჩადენილი ჰქონდათ
თერამეტი წლის ასაკამდე.

არასრულწლოვანთათვის სასჯელის გამოტანი-
სას, ზოგიერთი სასამართლოები უნიშნავენ რა მათ
თავისუფლების აღკვეთას არასრულწლოვანთა
შრომით კოლონიაში, მასთან ერთად განაჩენებში
აღნიშნავენ კოლონიის სახეს, სადაც მათ უნდა მო-
იხადონ სასჯელი თერამეტი წლის ასაკამდე მიღ-
წვევის შემდეგ. ასეთი პრაქტიკა არ არის სწორი,
იგი არ ეყრდნობა კანონს.

სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას სა-
სამართლოები საკმაოდ გულდასმით როდი ავლე-
ნენ მონაცემებს მსჯავრდებულის პიროვნებაზე,
მისი წინანდელი ნასამართლობის ხასიათს, რასაც
დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლონიის სახის სწო-
რად განსაზღვრისათვის. საქმეებში ხშირად არ
არის ცნობები ბრალდებულის წინანდელ ნასამარ-
თლობაზე და სხვა, მისი პიროვნების დამახასიათე-
ბელი მასალები, მაგრამ სასამართლოები არ უყე-
ნებენ რა ჯეროვან მომთხოვნელობას წინასწარი
გამოძიების ორგანოებს და არ ავსებენ რა ასეთ
ხარვეზებს სამსჯავრო განხილვის სტადიაში, წყვე-
ტენ საქმეებს არსებითად.

სხვადასხვანაირად წყდება სასამართლოების მი-
ერ საკითხი იმ პირთა მიმართ კოლონიის სახის
განსაზღვრისას, რომლებსაც უწინ შეფარდებული
ჰქონდათ პირობითი სასჯელი ან რომლებიც სას-
ჯელს იხდიდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგი-
ლებში ისეთ შემთხვევებში, როცა მათ ნასამარ-
თლობა მოესხნათ ან გაუქმდათ.

ცალკეული სასამართლოები უმოტივოდ უნიშ-
ნავენ სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხ-
დას მართოდ იმ პირთ, რომლებსაც სასჯელის
სახით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ სამ-
გზის, მაშინ როდესაც დებულებათა თანახმად სა-
სამართლოს მკაცრი რეჟიმის შრომაგასწორებითი
კოლონია შეუძლია დაუნიშნოს იმათ, ვისაც ორ-
გზის შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო და სახუდამხედველო ინსტანციები,
რიც შემთხვევებში არ ამოწმებენ იმ მსჯავრდე-
ბულთა მიმართ შრომაგასწორების კოლონიის სა-
ხის განსაზღვრის კანონიერებას და საფუძვლიანო-
ბას, რომლებსაც შეეფარდათ თავისუფლების აღ-
კვეთა; გვერდს უფლიან დაშვებულ დარღვევებს.
ხოლო მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემა-
მსუბუქებელ გარემოებათა დადგენისას ყოველ-
თვის როდი იხილავენ საკითხს კოლონიის დანიშ-
ნული სახის შეცვლის შესაძლებლობის შესახებ.

დაშვებული შეცდომები იმის შედეგია, რომ ზო-
გიერთი სასამართლოს მუშაკები ყურადღებით არ
უდგებიან მსჯავრდებულთა მიმართ შრომაგასწო-
რების კოლონიის სახის განსაზღვრას, შეუფასებ-
ლობას იჩენენ მასში, რომ ამ საკითხის სწორად
გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს პატიმართა.
გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდისათვის.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით
და სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ საკითხებ-
თან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი სა-
სამართლოს პლენუმი ა დ გ ე ს:

1. მიეტყვეს სასამართლოთა ყურადღება, რათა
იმ პირთა მიმართ შრომაგასწორების კოლონიის
სახის განსაზღვრისას, რომლებსაც შეეფარდათ
თავისუფლების აღკვეთა, განუხრებლად დაცვან
მოკავშირე რესპუბლიკათა შსს შრომაგასწორების
კოლონიებისა და ციხეების დებულებათა და სსრ
კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1961 წ. 19 ივ-
ნისის დადგენილების მოთხოვნანი.

2. მსჯავრდებულთათვის შრომაგასწორების კო-
ლონიების სახის დანიშვნისას სასამართლოებმა
მტკიცედ უნდა დაცვან ინდივიდუალური მიდგო-
მა, ანგარიში გაუწიონ ჩადენილი დანაშაულის ხა-
სიათსა და საზოგადოებრივი საშიშროების ხა-
რისხს, საქმის გარემოებებს, დამნაშავის პიროვნე-
ბას, წარსულში მის დანაშაულებრივ საქმიანობას
და სასჯელის მოხდას თავისუფლების აღკვეთის
ადგილებში.

მსჯავრდებულთა მიმართ ნაკლებად მკაცრი ან
უფრო მკაცრი რეჟიმის კოლონიის სახის განსაზღ-
ვრისას, ვიდრე ისეთისა, როგორც უნდა ყოფი-
ლიყო შეფარდებული, სასამართლო ვალდებულია
განაჩენში მოიყვანოს მიღებული გადაწყვეტილე-
ბის მოტივები.

3. იმ პირებისადმი შრომაგასწორების კოლო-
ნიის სახის დანიშვნისას, რომლებიც წარსულში
სასჯელს იხდიდნენ თავისუფლების აღკვეთის ად-
გილებში და რომლებსაც ნასამართლობა მოესხნათ
ან გაუქმდათ, სასამართლოებს არ შეუძლიათ გა-
მომდინარეობდნენ მხოლოდ მათთვის ნასამარ-
თლობის გაუქმების ან მოხსნის ფაქტიდან, არამედ
ანგარიში უნდა გაუწიონ ერთობლიობით ყველა
მონაცემს მსჯავრდებულის პიროვნების შესახებ,
აგრეთვე მის მიერ უწინ ჩადენილ დანაშაულის ხა-
სიათსა და სიმძიმეს.

უწინდელი პირობითი სასჯელი, დისციპლინუ-
რი ბატალიონში გაგზავნა, აგრეთვე წინათ თავი-
სუფლების აღკვეთის მოხდა მცირეწლოვანთა შრო-
მით კოლონიაში მეორედ სასჯელის გამოტანისას
თავისთავად არ შეიძლება საფუძველი გახდეს იმი-
ნათვის, რომ მათ სასჯელად შეეფარდოთ თავისუ-
ფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიის გან-
საზღვრით.

4. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1961 წლის 19 ივნისის დადგენილების მე-6 პუნქტის დამატებით განემარტოთ, რომ პატიმრები, რომლებმაც მოიხადეს მათ მიმართ დანიშნული სასჯელის ვადის არა ნაკლებ ნახევარი, კარგი დახასიათებისა და შრომისადმი კეთილსინდისიერ მოპყრობისას, სასამართლოს განჩინებით შეიძლება გადაყვანილ იქნან განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიიდან მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ შრომაგასწორების კოლონიაში იყვნენ ისინი მოთავსებულნი განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიის განსაზღვრამდე.

5. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ისეთ შემთხვევებში, როცა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს და მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთ მიესჯება მათ მიმართ დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადის ნაწილის ციხეში მოხდა, მაშინ განაჩენში უნდა იყოს აღნიშნული, რომ სასჯელის ვადის ამ ნაწილის მოხდის შემდეგ ისინი გადაყვანილ უნდა იქნენ: განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები — განსაკუთრებულ რეჟიმის კოლონიაში, მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირნი — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში, ხოლო ისინი, ვისაც ორგზის ან მეტჯერ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად არ არიან ცნობილნი — მკაცრი რეჟიმის კოლონიაში“.

6. არასრულწლოვანის თავისუფლების აღკვეთაზე მისჯისას სასამართლო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გზავნის მას სასჯელის მოსახდელად არასრულწლოვანთა შრომით კოლონიაში.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის 18 წლის ასაკის მიღწევისას მისი გადაყვანა შრომაგასწორების კოლონიაში ხდება არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიის ადმინისტრაციის წარდგენებით. შეთანხმებით არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან, სასამართლოს განჩინებით მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით მსჯავრდებულის სამსჯავრო სხდომაზე სავალდებულო წესით გამოძახებით. ამ დროს მსჯავრდებული იგზავნება საერთო ან გაძლიერებული რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდა მის მიერ ჩადენილი დანაშაული, დამნაშავის პიროვნებისა და არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიაში მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით.

7. ორგზის ან მეტჯერ დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას, აგრეთვე რამდენიმე განაჩენის მიხედვით სასჯელის დანიშნ-

ნისას, სასამართლომ უნდა დანიშნოს კოლონიის სახე მხოლოდ იმას შემდეგ, როცა სასჯელის უკანასკნელი ზომა განესაზღვრება დანაშაულთა ერთობლიობით და არა ცალ-ცალკე თვითული დანაშაულისათვის.

8. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხარეო და საოლქო სასამართლოებმა, ავტონომიური ოლქებისა და ნაციონალური ოკრუგების სასამართლოებმა გააძლიერონ ზედამხედველობა, რათა დაქვემდებარებული სასამართლოები კანონიერად და საფუძვლიანად უნიშნავდნენ შრომაგასწორების კოლონიის სახეს და დროულად გამოასწორონ სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომები.


იმ შემთხვევაში, უკეთეს მსჯავრდებულს დაუსაბუთებლად დაენიშნება კოლონიის სახე უფრო მკაცრი რეჟიმით, ზემდგომ სასამართლოს საკასაციო ან ზედწესით საქმის განხილვისას უფლება ენიჭება დაუნიშნონ მსჯავრდებულს უფრო რბილი რეჟიმის კოლონია.

უკეთეს მსჯავრდებულს არასწორედ აქვს განსაზღვრული კოლონიის სახე ნაკლებად მკაცრი რეჟიმით, საკასაციო ინსტანცია აუქმებს განაჩენს ამ ნაწილში, პროკურორის პროტესტის მიხედვით და რსფსრ სსსკ 368 და 369 მუხლებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ სათანადო მუხლების წესით შეფარდებით, საქმეს გზავნის ხელახლა განსახილველად კოლონიის სახის განსაზღვრის მიზნით.

პროტესტის შემოუტანლობის შემთხვევაში საკასაციო ინსტანცია, ტოვებს რა განაჩენს ცვლილების ვარეშე, კერძო განჩინებით კანონის დარღვევის შესახებ, უნდა აუწყოს შესაბამის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლისგანაც დამოკიდებულია პროტესტის ზედწესით შეტანა.

უკეთეს განაჩენში არაა განსაზღვრული კოლონიის სახე, საკასაციო ან საზედამხედველო ინსტანცია კერძო განჩინებით მიუთითებს სასამართლოს, რომ დაშვებულია კანონის დარღვევა და საჭიროა დაინიშნოს კოლონიის სახე. ამ შემთხვევაში კოლონიის სახის განსაზღვრა უნდა წარმოებდეს განაჩენის დამდგენ სასამართლოს მიერ რსფსრ სსსკ 368 და 369 მუხლებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ — სათანადო მუხლების შეფარდებით.

9. სასამართლოებმა უნდა გამოიჩინონ საჭირო მომთხოვნელობა წინასწარ გამოძიების მასალებთან, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მსჯავრდებულისათვის გარკვეული სახით შრომაგასწორების კოლონიის დანიშვნას, გულდასმით გამოარკვიონ ყველა მონაცემი სამართალში მიცემულის პიროვნების შესახებ, ხოლო იმ შემთ-



ხვევაში, უკეთეს მას წარსულში ნასამართლობა აქვს, მაშინ მის მიერ უწინ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიც.

რეკომენდაცია მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკე-

ბის უმაღლეს სასამართლოებს, რათა ამ ხაკითხზე მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოთა პლენუმების მიერ მიღებული დადგენილებანი მოიყვანონ ამ დადგენილების შესაბამისობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორბინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. გრიშანიძე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლავის

დ ე რ გ ე ნ ი დ ე ბ ა № 11

1962 წლის 31 ივლისი.

დანაშაულთა წინასწარ შეუპირებელი დაფარვის, გატაცებულად შეცნობილი ქონების შექმნისა და გასაღების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით პასუხისმგებლობა თანამონაწილეობაში დანაშაულის ჩადენისათვის ზუსტადაა განსაზღვრული წინასწარ შეუპირებელი დაფარვისა ან დანაშაულის თაობაზე განუცხადებლობისაგან. ქმედობის, როგორც დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობის ან როგორც წინასწარ შეუპირებელი დაფარვის ან განუცხადებლობის სწორ კვალიფიკაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების ორგანოთა საქმიანობაში კანონიერების უზრუნველსაყოფად, სასჯელის გაინდივიდუალებისა და დანაშაულთა წინასწარ არიდების ამოცანების შესრულებისათვის.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგები მოწმობენ, რომ წინასწარ და სამსჯავრო გამოძიების მსვლელობაში ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება ყველა იმ გარემოების გამოკვლევას, რაც დანაშაულის თანამონაწილეობის, დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვის, დანაშაულის განუცხადებლობის, დანაშაულგებრივი გზით მოპოვებულად შეცნობილი ქონების შექმნისა ან გასაღების განსაზღვრასთანაა დაკავშირებული.

ზოგჯერ სასამართლოები გვერდს უფლიან თანამონაწილეობის ისეთ მნიშვნელოვან ნიშანს, როგორცაა მიზეზობრივი და დანაშაულგებრივი კავშირი ადამიანის მოქმედების ან უმოქმედობის და მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის.


სასამართლოები ჯგუფურ საქმეებზე რიც შემთხვევებში გუდასმით არ ამქდავენებენ თვითთელი დამნაშავის როლს დანაშაულის ჩადენაში. ხშირად თანამონაწილეობის ნიშნების უქონლობაზე დასკვნა კეთდება მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ თვით პრალდებულის მოქმედება ჩადენილი იყო დანაშაულის დამთავრების შემდეგ, იმის მხედველობაში მიუღებლად, რომ ასეთი წინასწარ იყო შეპირებუ-

ლი, ამასთანავე სასამართლოები ზოგჯერ გამოძინარეობენ იმ მოწმეთა ჩვენებებიდან, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი და დაინტერესებულნი არიან საქმის შედეგით, ანგარიშს არ უწევენ სხვა დამამტყიცებელ საბუთებს, რომლებიც მოწმობენ დანაშაულში თანამონაწილეობის არსებობას. ამასთან დაკავშირებით ორგანიზატორთა, წამქეზებელთა და ხელშემწყობთა მოქმედება ზოგჯერ შეცდომით კვალიფიცირდება არა როგორც თანამონაწილეობა, მაგალითად მტაცებლობაში, არამედ მხოლოდ წინასწარ შეუპირებელი დაფარვა, ან დანაშაულგებრივი გზით მოპოვებულად შეცნობილი საქონლის შექმნა და გასაღება.

ასეთი შეცდომა თავად იწვევს იმ პირთა პასუხისმგებლობის უკანონოდ შერბილებას, რომლებიც თანამონაწილენი არიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებასა და სხვა საშიშ დანაშაულთა ჩადენაში.

არ არის ერთგვაროვნება ისეთ დანაშაულთა დაკვალიფიცირებაში, როგორცაა დანაშაულგებრივი გზით მოპოვებულად შეცნობილ ფასეულობათა შექმნა და გასაღება. ხშირია ფაქტები, როცა ჯეროვანი პასუხისმგებლობის გარეშე რჩებიან ისეთი პირნი, ვინც სახელმწიფო დოვლათის მტაცებლებისაგან იქნენ სახელმწიფო ორგანიზაციებში გატაცებულად შეცნობილ სამარაგო ნაწილებს, საშენ მასალებს ან სხვა ფასეულობებს და გატაცებულის ანგარიშზე აწენებენ სახლებს, ავარაკებსა და სხვა ნაგებობებს.

ასე, ნ. ი. სულეიმანოვი, არ მუშაობდა რა არსად, სახელმწიფო ქონების გატაცების საქმეზე მსჯავრდებულ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებისაგან ორი წლის მანძილზე სისტემატურად ყიდულობდა გატაცებულ საქონელს შემდგომი გასაღების მიზნით. მან შეისყიდა 19 ტონაზე მეტი ბენზინი, 15 ტონაზე მეტი ავტოლი, დიდი ოდენო-



ბის საშენი მასალა. მიუხედავად ამ მოქმედებათა ხასიათისა, რაც წინასწარვე ჰქმნიდა შემდგომი გატაცების პირობებს, ასტრახანის საოლქო სასამართლომ სულეიმანოვის მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც სპეკულაცია, მაშინ როცა ეს დანაშაული უნდა ყოფილიყო დაკვალიფიცირებული როგორც თანამონაწილეობა გატაცებაში. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმეს ეს განაჩენი.

სხვა შემთხვევაში არასწორად აკვალიფიცირებენ გატაცებული ქონების რეალიზაციაში წინასწარ შემირებულ მონაწილეობას, როგორც დანაშაულში თანამონაწილეობას. მაგალითად, რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უსაფუძვლოდ გააუქმა ქ. დონის-როსტოვის პროლეტარული რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი ი. ა. ნაგორნის მიმართ და მიუთითა, რომ ვინაიდან ნაგორნი აქტიურად მონაწილეობდა 165 მანეთად ღირებული გატაცებული მაგნიტოფონის რეალიზაციაში და სარგებლობდა ასეთის გაყიდვის შედეგად ამოღებული ფულით იგი „დანაშაულის უშუალო თანამონაწილე იყო“. ამასობაში საქმეზე დადგინილია, რომ ნაგორნს არ მიუღია მონაწილეობა მტაცებლობაში, რომ მტაცებლობის შესახებ მან გაიგო ასეთის ჩადენის შემდეგ და მან მხოლოდ მონაწილეობა მიიღო სხვა პირების მიერ მოტაცებული მაგნიტოფონის რეალიზაციაში.

სასამართლო პრაქტიკაში სხვადასხვანაირად კვალიფიცირდება შემთხვევები, როცა თანამდებობის პირნი თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით იძენენ და ასაღებენ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ქონებას. ზოგ შემთხვევებში ასეთი მოქმედებანი კვალიფიცირდებიან როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ზოგჯერ კი როგორც თანამონაწილეობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებაში ქურდობის გზით, ან როგორც სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას უშვებენ სხვა შეცდომებსაც. ზოგი სასამართლოები დაფარვას აკვალიფიცირებენ ერთობლიობით დანაშაულის განუცხადებლობასთან, სხვები კი ასეთ ქმედობას იხილავენ მხოლოდ როგორც წინასწარ შეუპირებულ დაფარვას.

სასამართლოები არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას ისეთ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ანალიზსა და განზოგადებას, რომლებიც შეეხება დანაშაულის წინასწარ შეუპირებულ დაფარვას, გატაცებულად შეცნობილი ქონების შენახვასა და გასაღებას.

იმ მიზნით, რათა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი

სხენებული კატეგორიის საქმეებზე კანონმდებლობის შეფარდებისას, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აძლევს სასამართლოებს შემდეგ სახელმძღვანელო განმარტებებს:


1. სასამართლოებმა კანონის შესაბამისად სწორად უნდა განსაზღვრონ თანამონაწილეობა, რომელიც გათვალისწინებულია, როგორც ორ ან მეტ პირთა განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში დანაშაულისადმი ჩარევის ისეთი ფორმებისაგან, როგორცაა დანაშაულის წინასწარ შეპირებული დაფარვა და დანაშაულის შესახებ განუცხადებლობა.

დანაშაულის დაფარვა, აგრეთვე დანაშაულებრივი გზით მოპოვებულად შეცნობილი ქონების შექენა და გასაღება შეადგენს ან თანამონაწილეობას დანაშაულში, ან კანონით გათვალისწინების შემთხვევებში დამოუკიდებელ დანაშაულებრივ საქმიანობას, რის გამოც პასუხისმგებლობა ეკისრებათ რსფსრ სსკ 189 ან 208 მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაბამისი მუხლებით.

2. დანაშაულის დაფარვა, აგრეთვე დანაშაულებრივი გზით მოპოვებულად შეცნობილი ქონების შექენა და გასაღება შეიძლება ცნობილ იქნას თანამონაწილეობად, უკეთეს ეს მოქმედება შეპირებული იყო შემსრულებლისათვის დანაშაულის ჩადენამდე ან მისი ჩადენის დროს, ან კიდევ სხვა მიზეზთა მიხედვით (მაგალითად, მათი სისტემატურად ჩადენის ძალით) საფუძველს აძლევდნენ დანაშაულის შემსრულებელს ჰქონოდა ამგვარი ხელშეწყობის იმედი.

3. დანაშაულის წინასწარი შეუპირებელი დაფარვა, გატაცებულად შეცნობილი ქონების შექენა და გასაღება, რაც ჩადენილი იქნება თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით, უნდა დაკვალიფიცირდეს მოკავშირე რესპუბლიკის სსკ იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას, როგორც სხენებულ დანაშაულთათვის, ასევე სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ერთობლიობით.

4. იმ თანამდებობის პირთა მოქმედება, რომლებიც იძენენ გატაცებულად შეცნობილ ქონებას შემდგომში ასეთის რეალიზაციის მიზნით, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების დროს, უკეთეს ეს მოქმედებანი წინასწარ შეპირდნენ მტაცებელს ან ხდებოდა სისტემატურად, რაც ვამტაცებელს საფუძველს აძლევდა ჰქონოდა თანამდებობის პირის მსგავსი ხელშეწყობის იმედი, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და თანამონაწილეობა მტაცებლობაში.



5. დანაშაულის შესახებ განუცხადებლობა იმ პირის მხრივ, რომელიც დანაშაულის თანამონაწილეა, ან დამნაშავეთა დანაშაულის წინასწარ შეუპირებელ დაფარვაში, არ მოითხოვს დამატებით დაკავალიფიცირებას განუცხადებლობისათვის სის-

ხლის სამართლის კოდექსის მუხლებზე დახვედრით ვინაიდან განუცხადებლობა ასეთ შემთხვევაში უფრო მძიმე დანაშაულის ნაწილია და მოცემულია იმ მუხლებში, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ხსენებულ დანაშაულთათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გორბინი.
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ბრიზანიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კანონის

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 12

1962 წლის 31 ივლისი.

სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის შემზარდვინს პრაქტიკაში წარმოადგენს ნაპოვანებთან შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1959 წლის 19 ივნისის დადგენილებაში „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის ზომების შეფარდების პრაქტიკის შესახებ“ მიუთითა სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხში სასამართლოების მიერ კანონის მოთხოვნათა განუხრებლად შესრულების შესახებ. პლენუმმა განმარტა, რომ სასამართლოები, უფარდებენ რა მკაცრ სასჯელს მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთ, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს, ამასთანავე ვალდებული არიან უფრო ხშირად შეუფარდონ სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, ისეთ პირთ, ვინც ჩაიდინა დანაშაული, რაც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და რომლებსაც ძალუძთ დაადგენ გამოსწორების გზაზე საზოგადოებისაგან მათი იზოლაციის გარეშე.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ სასამართლოები, სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების, რესპუბლიკური კოდექსებისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებათა შესაბამისად, ძირითადად სწორად უფარდებენ სისხლის სამართლის სასჯელის ზომას.


მაგრამ უკანასკნელ დროს აღინიშნება შემთხვევები, როდესაც სასამართლოები უსაფუძვლოდ უფარდებენ მკაცრ სასჯელს, დაკავშირებულს მცირე ვადით თავისუფლების აღკვეთასთან, ისეთ პირთ, ვინც პირველად ჩაიდინა ნაკლებად საშიში დანაშაული, თუმცა მათი გამოსწორება შეიძლებოდა საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე. მცირე ვადით თავისუფლების აღკვეთას სასამართლოები ხშირად უნიშნავენ იმ პირთ, რომლებსაც ბრალი ედებათ ისეთი დანაშაულის ჩადენაში,

რის გამოც კანონი ამ სახის სასჯელთან ერთად ითვალისწინებს გამასწორებელ სამუშაოს, ჯარიმას, გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევას ან გარკვეული საქმიანობის აკრძალვას და სხვა, ან ისეთი სასჯელის შეფარდებას, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული.

სასამართლოები არ აფასებენ თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი სისხლის სამართლის სასჯელისა და საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომებს, რაზედაც მოწმობს ის, რომ უკანასკნელ დროს აღინიშნება მსჯავრდებულთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის შეფარდება კერძო ბრალდების საქმეებზე ე. ი. იმ პირთა მიმართ, რომლებზედაც შეიძლებოდა სხვა ზომის სასჯელის შეფარდება, ან რომელთა საქმე შექმლო განეხილა ამხანაგურ სასამართლოს.

სასამართლო სტატისტიკის მონაცემები მოწმობენ, რომ სასამართლოების მიერ თავისუფლების მცირე ვადით აღკვეთის შეფარდების ზრდასთან ერთად აღინიშნება შემთხვევები, როდესაც მცირდება პირობითი მსჯავრდების შერჩევა და პირობით მსჯავრდებულთა გადაცემა შუამდგომლობით საზოგადოებრიობისათვის გამოსასწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად.

სინამდვილეში კი საზოგადოებრიობის შუამდგომლობით მშრომელთა კოლექტივებისათვის ხელახლა აღსაზრდელად გადაცემული პირნი, როგორც წესი, კარგად მუშაობენ წარმოებაში და იცავენ სოციალისტური თანაცხოვრების წესებს. მშრომელთა კოლექტივებისათვის ხელახლა აღსაზრდელად გადაცემულ პირთა რიცხვიდან დანაშაულის კვლავ ჩამდენთა რაოდენობა შეადგენდა 1960 წელს 1,2%, 1961 წელს — 1,1%. იმ პირთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის



არასწორედ შეფარდების ფაქტებთან ერთად, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი დანაშაული, რაც არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საშიშროებას, მხილებულია შემთხვევები, როცა ცალკეული სასამართლოები საშიშ დანაშაულთა ჩამდენ პირთ უსაფუძვლოდ უფარდებენ მცირე ვადით თავისუფლების აღკვეთას. ასეთი შეცდომები უარყოფით გავლენას ახდენს დამნაშაევობასთან ბრძოლის საქმეში და ასუსტებს სასჯელის გამაფრთხილებელ ზეგავლენას.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, სამხარეო, საოლქო და საოკრუგო სასამართლოები არ სწავლობენ საკმარისად სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდების პრაქტიკას და დროულად არ ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს. საქმეთა საკასაციო და საზედამხედველო წესით შემოწმებისას ზოგჯერ ღებულობენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არასწორ ორიენტირებას აძლევენ პირველი ინსტანციის სასამართლოებს სასჯელის დანიშვნის საკითხებზე და, კერძოდ, ნაკლებად საშიშ დანაშაულთათვის მცირე ვადით თავისუფლების შეფარდების თაობაზე.

მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების პლენუმები არ იხილავენ „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდების პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის დადგენილებაში შემცველ მითითებათა შესრულების შედეგებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიეთითოთ სასამართლოებს, რომ საჭიროა აღმოფხვრას შეცდომები, დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთის მცირე ვადით შეფარდებასთან იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საშიშროებას და რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთასთან ერთად კანონით გათვალისწინებულია სხვა სახის სასჯელებიც დამნაშავის საზოგადოებიდან იზოლირების გარეშე.

ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ შეცდომების გამოსწორება, რომლებიც დაკავშირებულია ნაკლებად საშიშ დანაშაულთათვის თავისუფლების აღკვეთის არასწორ შეფარდებასთან, არ უნდა იწვევდეს სასჯელის შემსუბუქებას მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა და საშიშ დამ-

ნაშავე-რეციდივისტთა მიმართ. ასეთ პირებს შიშველ ვალშიც განუხრელად უნდა შეეფარდოთ სისხლის სამართლის სასჯელის მკაცრი ზომები.

2. იმ პირთა მიმართ, ვინც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც არ შეადგენს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საშიშროებას, ან დანაშაულის მეორეხარისხოვანი მონაწილეა, სასამართლოებმა, ჩადენილი ქმედობის ხასიათისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, ნაცვლად მცირე ვადით თავისუფლების აღკვეთისა უნდა შეუფარდონ გამასწორებელი სამუშაო, ჩამოართვან გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლება, აუკრძალონ გარკვეული საქმიანობა, დაადვან ჯარიმა, დაავადლონ მიყენებული ზიანის გამოსწორება და სხვა ზომის სასჯელები, რომლებიც არ იქნებიან დაკავშირებული დამნაშავის საზოგადოებისაგან იზოლაციასთან.

სხენებულ პირთა მიმართ უფრო ვრცლად უნდა იქნას შეფარდებული სამართლის დამრღვევებზე ზეგავლენის ისეთი გამართლებული ფორმა, როგორცაა პირობითი სასჯელი და მათი გადაცემა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივებისათვის მათი შუამდგომლობით ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად.

3. საქმეთა საკასაციო და საზედამხედველო წესით განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასჯელის სახით მცირე ვადით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის სისწორეს ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებზედაც კანონით გათვალისწინებულია სხვა ზომის სასჯელიც, რაც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

4. მიექცეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოთა, სამხარეო, საოლქო და საოკრუგო სასამართლოთა ყურადღება, რომ საჭიროა სისტემატურად იქნას შესწავლილი და განზოგადებული სასამართლოების მიერ ისეთი ზომის სასჯელის შეფარდების პრაქტიკა, რაც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, დროულად აღმოფხვრან მხილებული შეცდომები. რეკომენდაცია მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს განიხილონ პლენუმზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის დადგენილება — „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის ზომების შეფარდების პრაქტიკის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გორკინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ბრიშანინი.



ნაგებობაზე პირადი საკუთრების უფლების საქმეთა გამო სასამართლო პრაქტიკის შესახებ

ნაგებობაზე პირადი საკუთრების უფლების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ზოგიერთი სასამართლოები არასწორად წყვეტენ ამ კატეგორიის საქმეებს და რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფენ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. ამასთანავე სასამართლოები ყოველთვის დაკვირვებით რომელი აწარმოებენ ბრძოლას ისეთ მოვლენებთან, როგორცაა მომხვეჭელობა, მიწის ნაკვეთების ფარულად გაყიდვის ფაქტები აგებული ან შექმნილ სახლებზე პირადი საკუთრების უფლების თითქოს თავის ფასში დათმობის სახით და სხვა კერძო საკუთრების უფლების ზოროტად გამოყენება.

სასამართლოებს იშვიათად გამოაქვთ კერძო განჩინებანი საქმის განხილვისას გამოვლინებულ კანონიერების დარღვევაზე ცალკეულ მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მხრივ.

სასამართლო პრაქტიკაში არ არის მთლიანობა საკითხზე იმის შესახებ, რომ მშენებლისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის აგებაში ცალკეულ მოქალაქეთა ხელშეწყობა შრომით და სახსრებით ითვლება თუ არა საფუძვლად, რათა მას ამშენებელთან ერთად მიენიჭოს უფლება სახლის საერთო საკუთრებაზე, თუ ასეთი მონაწილეობა ქმნის მოსთვის უფლებას მოითხოვოს მხოლოდ სახლის მშენებლობისათვის დაბანდებული სახსრების კომპენსაცია. ერთიანობა არ ემჩნევა აგრეთვე სესხით დატვირთულ სახლზე საკუთრების უფლების დაგათა გადაწყვეტაში.

ხშირია შემთხვევები, როცა სასამართლოები უშეგებენ პროცესუალურ დარღვევებს: დებულებები წარმოებაში არაქვემდებარე დავას, გულდასმით არ ამზადებენ საქმეებს სამსჯავრო განხილვისათვის, არ მოითხოვენ მხარეებისაგან დოკუმენტებს ნაგებობებზე, არ არიან ჩაბმულნი კომუნალური მეურნეობის განყოფილებები პროცესში მონაწილეობის მისაღებად. ზოგიერთი სასამართლოები დაუსაბუთებლად იხილავენ სარჩელს განსაკუთრებული წარმოების წესით ნაგებობაზე საკუთრების უფლების შესახებ.

აღინიშნება შეცდომების დაშვება სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრისას; ნაგებობაზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ აღძრულ სარჩელზე ზოგჯერ ახდენიან ბაჟს სარჩელის ფასის შეუსაბამოდ.

ნაგებობაზე პირადი საკუთრების უფლების საქმეთა გამო ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დაწესების მიზნით, სსრ კავშირის შუალესი სასამართლოს პლენუმი ადგენს მიცემ სასამართლოებს შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი:


1. ნაგებობაზე პირადი საკუთრების უფლების საქმეთა განხილვისას სასამართლოებმა მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობით, რომლითაც რეგულირდება ნაგებობაზე პირადი საკუთრების უფლება და ინდივიდუალური მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის წესი, ღრმად ჩაწვდნენ დავათა არსში, ალკვეთონ საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლების ზოროტად გამოყენება.

მიექცეს სასამართლოთა ყურადღება, რომ შეუძლებელია მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი სახლის ან მისი ნაწილის გამოყენება არაშრომითი შემოსავლის მისაღებად (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 25-ე მუხლი).

2. ნაგებობათა ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, იჯარა და მიწის ნაკვეთის დათმობა, რითაც ფაქტიურად იფარება მიწის ნაკვეთის გაყიდვა, სასამართლომ უნდა ცნოს ბათილად იმ შემდეგებით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-14 მუხლის მეექვსე წაწილით.

3. ისეთი ფაქტის დადგენისას, რაც მოწმობს, რომ სახლი, აგარაკი ან სხვა ნაგებობა, რომელთა გამო წყდება დავა, შექმნილია არაშრომითი შემოსავლით, მოსამართლე ვალდებულია დასვას საკითხი ამ ნაგებობათა უსასყიდლოდ ამოღებასა და ასეთების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს კომუნალურ ფონდში, კოლმეურნეობებში, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გადაცემაზე მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

4. სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა ხორციელდება იმ პირთა და მათ ოჯახის წევრთა ბინის ფართობით უზრუნველყოფის მიზნით, რომ-



ლებსაც მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა გამოყოფილი მიწის ნაკვეთი უნადო სარგებლობაში. ამასთან დაკავშირებით მენაშენეთათვის გარეშე პირთა მონაწილეობა სახლის აგებაში ვერ გახდება საფუძველი იმისათვის, რათა მას მიენიჭოს ნაგებობაზე საკუთრების უფლება. ამ შემთხვევაში ხსენებულ პირებს უფლება აქვთ სახლის მესაკუთრეს წაუყენონ მოთხოვნა გაღებულ დანახარჯის ანაზღაურების შესახებ.

მაგრამ, როდესაც მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი არ არის წინააღმდეგი შეიცვალოს ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ, სასამართლოებს აუცილებელ შემთხვევაში საბჭოს ყველა გარემოების გათვალისწინებით, უფლება აქვთ ცნონ ხსენებული პირის უფლება სახლმფლობელობის ნაწილის საკუთრებაზე. ამასთანავე, სასამართლოებმა გულდასმით უნდა შეამოწონ მხარეთა ნამდვილი დამოკიდებულება, ამხილონ მიზეზები, რომელთა ვითარებაში სახლის მშენებლობა წარმოებდა სხვა პირთა სახსრების გამოყენების ანგარიშზე, რომლებსაც პრეტენზია აქვთ, რათა ცნობილი იქნას მათი უფლება ნაგებობის საკუთრებაზე.

5. თავისთავად ის ფაქტი, რომ ამშენებელს ხელს უწყობდნენ სახლის აგებაში მისი ოჯახის წევრები ან ნათესავები არ აძლევს მათ პრეტენზიის საფუძველს ამშენებლის მიმართ სახლმფლობელობის ნაწილზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ.

ასეთი სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას სასამართლოს მიერ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, უკეთეს და პირველ და ამშენებელმა ურთიერთ შორის დადეს ხელშეკრულება საცხოვრებელ სახლზე საერთო საკუთრების შექმნის შესახებ და სახელდობრ ამ მიზანს მოახმარეს მათ თავიანთი შრომა და სახსრები საცხოვრებელი სახლის აშენებაში, ხოლო მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი კი არ იქნება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ დადებული ხელშეკრულების შეცვლის წინააღმდეგი შესაბამისად კანონისა, მეუღლეების მიერ ქორწინების მანძილზე შექმნილი ნაგებობა შეადგენს მათ საკუთარ ქონებას, განურჩევლად იმისა ერთის თუ ორივე მეუღლის სახელზეა იგი გაფორმებული. თვითუფლები მეუღლის კუთვნილი წილის ოდენობა დავის აღძვრის შემთხვევაში განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე (რსფსრ-ს ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის კანონთა კოდექსის მე-10 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინების, ოჯახისა და მეურვეობის კანონთა კოდექსის შესაბამისი მუხლები).

6. განემარტოთ, რომ თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა ნაგებობათა ყიდვა-გაყიდვა ბათილობის რიდით, ნოტარიული წესით უნდა იყოს დამოწმებული, შემდეგ კი კომუნალური მეურნეობის

განყოფილებაში რეგისტრირებული. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ნოტარიატის დებულებებით. ასეთა გარიგება სოფლად მოწმდება მშრომელთა დებუტატების საბჭოების სასოფლო, სადაბო აღმასკომების მიერ.

არასათანადოდ გაფორმებული გარიგება ნაგებობის გასხვისების თაობაზე შეიძლება ცნობილ იქნას სასამართლოს მიერ ნამდვილ საბუთად მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როცა იგი არსებითად არ შეიცავს არაფერ კანონსაწინააღმდეგოს, სახეობით ან თავის უმეტეს ნაწილში შესრულებულია მხარეების მიერ და გარიგების გაფორმება კანონით დადგენილი წესის მიხედვით შეუძლებელი გახდა.

7. სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების წესდებათა შესაბამისად სესხის მიმდებს სესხის გადახდამდე უფლება არა აქვს გაყიდოს ან სხვას გადასცეს სესხის ანგარიშზე აგებული ან კაპიტალურად შეკეთებული ნაგებობა თუ უნდა არ დართო ზანკა ან საწარმო (ორგანიზაცია), როცა სესხი ვაცემულია ამშენებლის სამუშაო ადგილის მიხედვით.

ნაგებობაზე საკუთრების უფლების შესახებ დავის აღძვრისას სესხის დავალისა დაფარვის ვალდებულება სესხის მიმდების თანხმობით შეიძლება დაეკისროს მშენებლობის სხვა მონაწილეებს. ასეთი თანხმობის უქონლობისას სესხის დაფარვის ვალდებულება ეკისრება სესხის მიმდებ პირს. ეს გარიგება უნდა მიიღოს სასამართლომ მხედველობაში საერთო მშენებლობაში თვითუფლის წილის განსაზღვრისას და მხარეთა შორის ფულადი ანგარიშსწორების საკითხის გადაწყვეტისას.

8. მოქალაქეთა კუთვნილი საერთო სახლმფლობელობიდან წილის გამოყოფაზე აღძრული დავის გადაწყვეტისას სასამართლოები ვალდებული არიან გამოარკვიონ სახლმფლობელობაზე საერთო საკუთრების შეწყვეტის შესაძლებლობა. უკეთეს წილის გამოყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ გამოსაყოფი წილის მესაკუთრეს შეიძლება მიეცეს ფულადი კომპენსაცია, გამომდინარე სახლმფლობელობის ნამდვილი ღირებულებიდან.

სასამართლოს უფლება აქვს აგრეთვე განსაზღვროს მოქალაქეთა საერთო საკუთრებაში მყოფი სახლმფლობელობით სარგებლობის წესი, უკეთეს ამის შესახებ აღიძრა სარჩელი.

სახელმწიფოს და მოქალაქის, ან კოლმეურნეობის, ან სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლმფლობელობაზე საერთო საკუთრების უფლების შეწყვეტა წარმოებს მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით. საერთო საკუთრების

უფლების შეწყვეტის წესების შესახებ მესაკუთრეთა შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოს მიერ.

9. მოთხოვნა, ფაქტიურ მფლობელისადმი ნაგებობის საკუთრებაზე უფლების ცნობის შესახებ, უფლების მიმნიჭებელი საბუთის უქონლობისას და კომუნალური მეურნეობის ორგანოთა უარის თქმისას მოახდინოს სახლმფლობელობის რეგისტრაცია, ამასში დაინტერესებულ პირთა სახელზე უნდა იქნას განხილული სასარჩელო წესით და არა იურიდიული ფაქტის დადგენის წესით.

10. განემარტოთ, რომ სასამართლოებს არ ექვემდებარებათ საქმეები სარჩელზე თვითნებურად აშენებულ ნაგებობასა და მინაშენებზე საკუთრების ცნობის შესახებ, აგრეთვე ასეთ ნაგებობათა აღებაზე როგორც ქალაქად, ასევე სოფლად.

ნაგებობაზე საკუთრების უფლების ცნობის საქმეთა სამსჯავრო განხილვისათვის მომზადებისას მოსამართლემ უნდა მისცეს წინადადება მხარეებს წარმოადგინონ ყველა აუცილებელი დამამტკიცებელი დოკუმენტი, აგრეთვე მიიღოს ზომები საჭი-

რო საბუთების გამოსათხოვად, უკეთეს თვით მხარეებს არ ძალუძთ წარმოადგინონ ასეთები.

პროცესში ასეთ საქმეებზე მონაწილეობის მისაღებად აუცილებელ შემთხვევებში უნდა იქნას ჩაბმულნი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კომუნალური მეურნეობის ორგანოები.

12. ნაგებობაზე საკუთრების უფლების საქმეთა გამო სახელმწიფო ბაჟი უნდა გადახდეს რსფსრ, სსსკ 35-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ შესაბამისი მუხლების თანახმად.

13. იმ შემთხვევაში, თუ ნაგებობაზე პირადი საკუთრების უფლების საქმეთა განხილვისას აღმოჩნდება, რომ ცალკე თანამდებობის პირებმა ან მოქალაქეებმა დაარღვიეს კანონიერება ან გამოვლინდება სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, კოლმეურნეობის ან სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებანი, სასამართლოებმა უნდა განიხილონ საკითხი კერძო განჩინების გამოტანის თაობაზე და მიიღონ ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორკინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. პრიშანინი.

სამართლებს აღვკატთა სანსაროშ-სარჩოშო კრეშა

მიმდინარე წლის 24 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს სსრ ადვოკატთა საერთო კრება. მისი მოწვევა დაემთხვა საქართველოს სსრ ადვოკატურის შექმნის 40 წლისთავს.

საერთო კრებამ განიხილა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება, დაამტკიცა საფინანსო ანგარიში, შინაგანაწესი და ინსტრუქციები; აირჩია პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

მოხსენებით — „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის სისტემის ანგარიში“ — გამოვიდა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. პაიჭაძე. სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეს — აღნიშნა მომხსენებელმა — კომუნისტური პარტია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მართლმსაჯულების სწორად განხორციელებაში დიდ როლს ასრულებენ ადვოკატები. ადვოკატთა კოლეგიები მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას და განტკიცებას, მართლმსაჯულების განხორციელებას, საბჭოთა კანონების პროპაგანდას.


მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა პრეზიდიუმის საქმიანობა, შეჩერდა ცალკეული ადვოკატების მუშაობაზე, კოლეგიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მან აღნიშნა, რომ პრეზიდიუმში სათანადო ყურადღებას აქცევდა ადვოკატებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნას, ზოგიერთი ადვოკატის მცირე გამომუშავების მიზეზების გარკვევას. პრეზიდიუმმა სპეციალურად იმსჯელო ადვოკატთა საშუალო თვიური ხელფასის გამომუშავების შესახებ და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ადვოკატების უმრავლესობა პირნათლად ასრულებს მათზე დაკისრებულ მოვალეობას; ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ო. ნიკოლაიშვილი 1954 წლის 24-25 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამარ-

თლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში (პირველი ინსტანციით) იცავდა სამართალში მიცემულ კ. ბიდაშირის, ბ. ნოხაევას და ნ. ბიჯანოვის ინტერესებს; მათ ბრალი ედებოდათ მოქალაქეთა ძარცვასა და ქალის გაუპატიურებაში. ადვოკატი ღრმად დარწმუნდა სამართალში მიცემულთა სრულ უდანაშაულობაში, რის საფუძველსაც საქმეში არსებული მასალები იძლეოდა და მოითხოვა მათი გამართლება. სასამართლომ (თავმჯდომარე ა. ფხაკაძე) სამართალში მიცემულებს 20-20 წლით პატიმრობა მიუსჯა.

ადვოკატმა ო. ნიკოლაიშვილმა მრავალი წლის მანძილზე საზედამხედველო წესით დაწერილი საჩივრებით სასამართლოსა და პროკურატურის თითქმის ყველა ინსტანცია მოიარა, მაგრამ მის საჩივრებს უშედეგოდ ტოვებდნენ. განუწყვეტელმა საჩივრებმა და საბჭოთა ადვოკატისათვის დამახასიათებელმა პრინციპულმა მოქმედებამ ნაყოფი გამოიღო. განაჩენის გამოტანიდან 7 წლის შემდეგ საქართველოს სსრ პროკურორი პროტესტით შევიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში, რომლის დადგენილებითაც საქმე გაიგზავნა დამატებით გამოძიებაში. დამატებით გამოძიებამ ნათელყო მსჯავრდებულების: ბიდაშირის, ნოხაევას და ბიჯანოვის სრული უდანაშაულობა და მათ მიმართ საქმე წარმოებით შეწყდა, ამავე დროს პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ნამდვილი დამნაშავეები რაბანოვი და სხვები, რომლებიც ამჟამად მსჯავრდებულნი არიან.

პირველი მაისის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა ა. კერნაძემ მონაწილეობა მიიღო წინასწარ გამოძიებაში ე. მარჯანიშვილის ინტერესების დასაცავად, რომელსაც ბრალი ედებოდა იმაში, რომ მოქალაქე ზ. ვართანოვს მიიყენა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება. პირველი მაისის სახელობის რაიონის პროკურატურამ ე. მარჯანიშვილის დანაშაულებრივი ქმედობა დააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლით. ვინაიდან საქმის მასალებით არ მტკიცდებოდა ე. მარჯანიშვილის ბრალდება, ადვოკატმა მოტივირებული შუამდგომლობა აღძრა მის მიმართ საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ. პროკურატურამ არ დააკმაყოფილა შუამდგომ-



ლობა და საქმე წარმართა სასამართლოში. ამ უკანასკნელმა კი მარჯანიშვილს გამოუტანა გამართლებელი განაჩენი. რაიონის პროკურორის პროტესტის საფუძველზე უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი გააუქმა და საქმე დაუბრუნა პროკურატურას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. შემდგომში რაიონის პროკურატურამ ე. მარჯანიშვილის მიმართ საქმე წარმოებით შეწყვიტა იმავე მოტივით, რასაც ადვოკატი კვერნაძე თავიდან ითხოვდა.

მრავალი ასეთი მაგალითების მოტანა შეიძლება ადვოკატების: მ. ბარათაშვილის, ა. გელოვანის, გ. უგრეხელიძის, ა. საგინაშვილის, ნ. გიგინეიშვილის, ჯ. ბაქრაძის და სხვათა პრაქტიკული საქმიანობიდან.

მაგრამ ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა ზოგიერთი ადვოკატი „ცოდავს“.

ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა ე. ნადაშვილმა, რომელიც სახალხო სასამართლოში სპეკულაციის ბრალდებით სამართალში მიცემული ავეტისოვის ინტერესებს იცავდა, დადასტურებულად სცნო წარდგენილი ბრალდება და სასამართლოს სთხოვა გვერცელებინა შეღავათები. სახალხო სასამართლომ მკაცრი განაჩენი გამოუტანა ი. ავეტისოვს. ადვოკატმა ნადაშვილმა შეადგინა საკასაციო საჩივარი, მაგრამ აქ უკვე შეღავათებზე აღარ იყო ლაპარაკი. იგი შუამდგომლობდა განაჩენის გაუქმებასა და საქმის წარმოებით შეწყვეტაზე. ვასაგებია, რომ სასამართლო ორგანოები არ გაიზიარებდნენ ადვოკატის ასეთ დაუსაბუთებელ და უმართებულ მოსაზრებას.

ადვოკატთა კოლეგიების დებულება ავალებს ადვოკატს „მუდმივად იზრუნოს თავისი ცოდნის სრულყოფისათვის, იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებით. თუ მალაია ადვოკატის იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული დონე, მაშინ ის ადვილად განსაზღვრავს თავის როლს სასამართლო პროცესში და დაცვის სწორ პოზიციასაც აირჩევს.“

პრეზიდენტი სათანადო ზომებს იღებდა ადვოკატთა იდეურ-პოლიტიკური დონის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. თბილისის რაიონების და ქუთაისის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატებისათვის ჩამოყალიბებულია იურიდიული სემინარები, ხოლო დანარჩენი რაიონების ადვოკატები გაერთიანებული არიან მუდმივმოქმედ იურიდიულ სემინარებში სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის მუშაკებთან ერთად.

კარგად არის დაყენებული სემინარის მუშა-

ობა ქ. თბილისის ლენინის (ხელმძღვანელი მ. ჯიქია), კალინინის (ხელმძღვანელი ა. შვალბლიშვილი), კირავის (ხელმძღვანელი ს. გელაშვილი), ქუთაისის, ახალციხის, სამტრედიის, თელავის რაიონის იურიდიულ კონსულტაციებში.

ზოგიერთი რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში სემინარის მუშაობა არ დგას სათანადო დონეზე. ადგილი აქვს მეცადინეობის ჩაშლის, უხარისხოდ ჩატარების და უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებს (ქ. თბილისის ოქტომბრის, გორის და სხვა რაიონებში).

საანგარიშო პერიოდში პრეზიდენტმა მოსაუბრე მოამზადა ქართველ ადვოკატთა დაცვითი სიტყვების კრებული. აღნიშნული კრებულის გამოცემა დაეხმარება მუშაობაში ახალგაზრდა ადვოკატებს, ამავე დროს ფართო საზოგადოებას გააცნობს ადვოკატის როლს საბჭოთა მართლმსაჯულების გატარების საქმეში.

საბჭოთა კანონების პროპაგანდის მიზნით, ადვოკატების ძალებით წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმურწიეობებში მოეწყობა მრავალი ლექცია-მოსხენება. ადვოკატების ერთი ნაწილი ეწევა შემოქმედებით მუშაობას; ისინი ყურნალ-გაზეთებში ათავსებენ წერილებს სხვადასხვა საკითხებზე, აქვეყნებენ შრომებს ცალკეულ საინტერესო თემებზე და სხვა.

მოსხენების დასასრულ ა. ბაიჭაძე შეჩერდა ახალგაზრდა კადრების მომზადების საკითხზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განაწილებით ადვოკატთა კოლეგიაში ყოველწლიურად იგზავნება ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ხუთი კურსდამთავრებული, რომლებიც სტაჟირებას გადიან სხვადასხვა იურიდიულ კონსულტაციებში. სტაჟირების ხელმძღვანელობისა და მომზადების საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ადვოკატები: შ. ტყეაძე, ვ. ფხალაძე, ე. ჩხიკვაძე და სხვები.

სარევიზო კომისიის შესახებ მოხსენებით გამოვიდა გორის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ა. მიქაძე, საფინანსო ანგარიში კრებას გააცნო საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის საფინანსო ნაწილის უფროსმა გ. მირზელაშვილმა. ადვოკატთა შინაგანაწესისა და ინსტრუქცია-დებულების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. დავითაიამ.

კამათში მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა ა. მგალობლიშვილმა. მან აღნიშნა, რომ არ არის შემოღებული სასამართლოს, პროკურატურის მუშაკებისა და ადვოკატების თათბირების მოწვევის პრაქტიკა.

ასეთი. თათბირების მოწყობა კი ხელს შეუწყობდა ადვოკატთა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას.

პირველი მაისის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა ჯ. შარეიძემ ილაპარაკა წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობის მნიშვნელობაზე. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი გამოძიებელი არღვევს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლის მოთხოვნას და გვერდს უვლის ადვოკატის მონაწილეობას წინასწარ გამოძიებაში.

ასე მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ დოესში მოხდა მეტად მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული. 75 წლის ღიზა შაქირაშვილი ბანდიტებმა სიცოცხლეს გამოასალა. პასუხისმგებლობა მიეცემულ იქნა 16 წლის შ. შაქირაშვილი. გამოძიებამ საქმე ისე დაამთავრა, რომ ადვოკატებს მონაწილეობა არ მიუღიათ გამოძიებაში. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ, აპრილში, კასპის რაიონში ჩატარა სასამართლო პროცესი. ხუთი დღის დაძაბული პროცესის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გამოძიებისას უხეშად იყო დარღვეული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები; გამოძიებელს არ მოუწვევია დამცველი წინასწარი გამოძიების დროს. კოლეგიამ საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნა პროკურატურას. მიუხედავად იმისა, რომ იყო კონკრეტული მითითება გამოძიებელმა კვლავ გვერდი აუარა გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობას და საქმე კვლავ გააგზავნა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში, რომელმაც 7 დღის სამსჯავრო გამოძიების შემდეგ საქმე ხელახლა დააბრუნა გამოძიებლად. ბოროტმოქმედი ვერ იქნა დადგენილი, არასრულწლოვანი შ. შაქირაშვილი კი დაისაჯა. ნათელია, რომ საქმე არ იყო გამოძიებული. ადვოკატის წინასწარ გამოძიებაში მონაწილეობით შესაძლებელი იყო დადგენილიყო ქეშმარიტება, გვემხილბინა ბოროტმოქმედი, რომელიც დღესაც დაუსჯელია.

ზუგდიდის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ ა. დარსანიამ აღნიშნა, რომ იურიდიულ კონსულტაციებთან და თითოეულ ადვოკატთან დაახლოების და დახმარების საუკეთესო საშუალებაა ადვოკატების ზონალური

თათბირების მოწვევა. ა. დარსანიამ საყვედურო გამოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსა და რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობის მიმართ საკასაციო და ზედამხედველობის წესით შეტანილ საჩივრებზე არაგულისხმიერი დამოკიდებულებისათვის.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პირობებში, მოუთმენელია დამნაშავეობის გამოვლინებანი, რაც ხელს უშლის საბჭოთა ადამიანების შემოქმედებით შრომას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებას. ამხ. გ. ბიწაძე დაწვრილებით შეჩერდა იმ გადაუდებელ ამოცანებზე, რომლებიც დგას რესპუბლიკის სასამართლოსა და პროკურატურის წინაშე. სწორად მიგვაჩნია ის კრიტიკა, რაც გამოითქვა პროკურატურის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებების გამო და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პროკურატურა ანხორციელებს ღონისძიებებს ასეთი დარღვევების თავიდან ასაცილებლად. არ შეიძლება, აღნიშნა მან, რომ შეფურიცდეთ ისეთ პრაქტიკას, როცა სასამართლო პროცესზე მხარეები მოუშაზდებელი გამოდიან. ეს ხელს უშლის სასამართლო ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას, მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. იოსავამ ილაპარაკა იმ დიდი მუშაობის შესახებ, რასაც ატარებენ ადვოკატები მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. მან სწორად მიიჩნია უმაღლესი სასამართლოს მუშაობის ნაკლოვანებთა კრიტიკა, რაც კრებაზე გამოითქვა.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ფურცხვანიძე. საბჭოთა ადვოკატის წინაშე, აღნიშნა მან, მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანებია დასმული. ადვოკატმა უნდა იზრუნოს კანონის სწორად, განუხრელად ცხოვრებაში გატარებისათვის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის.

საჭიროა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ შეუძლებელი გახდეს უკანონობის ფაქტის დამკვიდრება. ამისათვის კი აუცილებელია კანონების

ფართო პროპაგანდა, პროფესიული დონის ამაღლება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ადვოკატმა შ. გვათუამ, ქ. მახარაძის იურიდიული კონსულტაციის გამგემ ვ. სალუქვაძემ, ქ. თბილისის კიროვის რაიონის ადვოკატმა ე. მედვედევამ, ლენინის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ ვ. კაჭახიძემ, 26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ ნ. ჩიხორიამ, ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა ბ.

ქვინიძემ, ტყიბულის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ ო. კანკვეტაძემ, ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა ნ. დვალმა.

კრებამ მიიღო დონისძიებანი ადვოკატთა კოლეგიების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ა. პაიჭაძე.

მ. ვაყალიშვილი.

დასულები იურიდიული კლასი — კენსიუა

იმ დღეს ყველაფერს საზეიმო განწყობილება ემჩნეოდა. უმაღლესი სასამართლოს სხდომათა დიდი დარბაზის ავანსცენა ყვავილებში იყო ჩაფლული.

დარბაზში თავი მოეყარათ პარტიულ, პროფკავშირულ, იუსტიციის დარგის მუშაკებს, პრესის, ტელევიზიის წარმომადგენლებს. დღეს ისინი პენსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით აცილებდნენ იუსტიციის ერთ-ერთ ამავდარ მუშაკს, საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვან დამნაშავეთა განყოფილების უფროსს ნატალია ერმალოვის ასულ ლომთათიძეს.

ნატალია ერმალოვის ასული ერთადერთი ქალია საქართველოში, რომელიც 40 წლის მანძილზე თავდადებით ემსახურება საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეს.

ნატალია ლომთათიძე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილეა. იგი ბოლშევიკური პარტიის წევრია 1919 წლიდან.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის პლენუმის გადაწყვეტილებით 1920 წელს ბაქოში ჩამოყალიბდა ქართველი ბოლშევიკებით დაკომპლექტებული პირველი ქართული მუშურ-გლეხური პოლკი, რომლის წევრი იყო ნატალია ლომთათიძე.

ასეთ საუბრებს მოჰკრავდით ყურს სხდომის დაწყებამდე.

საზეიმო საღამო დაიწყო.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ პროკურორი, მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველი პ. ე. ბერძენიშვილი, რომელიც ლაპარაკობს ნატალია ერმალოვის ასულ ლომთათიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

— შინაარსიანი, საინტერესო ცხოვ-

რების გზა განვლო ნატალია ერმალოვის ასულმა, — ამბობს მომხსენებელი, — ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას მას ვხედავთ ბაქოს მეთერთმეტე არმიასთან ჩამოყალიბებული ქართველი პოლკის წერა-კითხვის მასწავლებლად, სადაც მან პოლკის შემადგენლობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. შემდეგ იგი სერგო ორჯონიკიძის დავალებით არალეგალურად მოგზაურობს მენშევიკურ საქართველოში პარტიულ ორგანიზაციებთან კავშირის დასამყარებლად.

— საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნატალია ერმალოვის ასულ ლომთათიძის წინაშე კიდევ უფრო საინტერესო ასპარეზი გადაიშალა. იგი უმწიკვლოდ და ენერგიულად მუშაობს პარტიულ და საბჭოთა აპარატში ბაქოში, აჭარაში, გურიაში, თელავში, ჭიათურაში, თბილისში. არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, ხოლო 1949 წლიდან დღემდე საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვან დამნაშავეთა განყოფილების გამგეა.

— ვინ იცის რამდენი გზასაცდენილი, მცირეწლოვანი დამნაშავე დაუბრუნებია ცხოვრების სწორ გზაზე ნატალია ერმალოვის ასულის გულისხმიერებასა და საქმისადმი სიყვარულს.

— იუსტიციის დარგში მრავალწლის ნაყოფიერ მუშაობას ნატალია ერმალოვის ასული კარგად უხამებდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი იყო საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიისა და პარტიუროს წევრი, მოღვაწეობდა პრესაში, თავის მდიდარ გამო-

ცდილებას უზიარებდა ახალგაზრდა იურისტებს.

გადადის რა პერსონალურ პენსიაზე, ამბობს ამხანაგი პ. ბერძენიშვილი, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაკები უსურვევენ მას ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ნატალია ერმალოვის ასული მომავალშიც ჩვენს გვერდით იქნება და თავისი მდიდარი გამოცდილებით დახმარებას გაუწევს ახალგაზრდა იურისტებს.

ნ. ე. ლომთათიძეს სიტყვებით მიმართეს პერსონალურმა პენსიონერმა, კომუნისტური პარტიის წევრმა კ. უჯმაჯურიძემ, საქართველოს სსრ პროკურატურის პარტიზურის მდივანმა შ. ჭანტურიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ე. ცაბულავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის კონსულტანტმა ი. დილევსკაიამ, ნ. ე. ლომთათიძის თანასოფელელმა, სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ს. კალანდაძემ, ყურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის წარმომადგენელმა ლ. კაკაბაძემ.

— პირუთვნელობა, სისპეტავე, კეთილშობილება, საკუთარი პროფესიონალიზმი სიყვარული და პატივისცემა — აი, რა ჩაგვიჩინებდა ადვოკატებს ნ. ლომთათიძემ საქართველოს სსრ ადვოკატთა პრეზიდიუმის თავმჯდომარედ მუშაობის მანძილზე. გთხოვთ მაღლიერი ადვოკატებისაგან მიიღოთ ეს მცირე სახსოვარი

— ოქროს საათი — თქვა თავის სიტყვაში ადვოკატმა ა. გელოვანმა.

ნ. ე. ლომთათიძეს საკუთარი ლექსები მიუძღვნეს საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ო. ზანგურმა და ქ. თბილისის განყოფილების პროკურორმა შ. გაგუნაშვილმა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ს. ბიწაძემ დამსწრეებს გააცნო სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანება, რომლითაც ნატალია ერმალოვის ასულ ლომთათიძეს პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის გამოეცხადა მადლობა და დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრით. ნ. ე. ლომთათიძეს ბრძანებით მადლობა გამოუცხადა აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორმა.

შემდეგ გ. ს. ბიწაძემ დამსწრეთ გააცნო ნ. ე. ლომთათიძის სახელზე მიღებული დეპეშების ტექსტები. დეპეშები მიღებული იქნა ქ. ჭიათურის ძველი ბოლშევიკებისაგან, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრ მ. ე. თოფურიძისაგან და სხვ.

— მადლობა პარტიასა და მთავრობას დაფასებისათვის, ტკბილი სიბერის უზრუნველყოფისათვის. ჩემი ბუნების ქალი სახლში უსაქმოდ ვერ გაჩერდება. მე ისევ თქვენთან ვიქნები და ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებით დახმარებას აღმოვუჩინ ახალბედა იურისტებს. კიდევ ერთხელ მადლობა, — ასე დაამთავრა თავისი სიტყვა დეპუტატმა ქართველმა იურისტმა ქალმა.

ზ. მესხვეინერი.

ბ ი ბ ლ ი თ გ რ ა შ ი ს

ქუჩნად „საბჭოთა საგარეოაღმოსავლეთი“ 1962 წელს გამოქვეყნებული განმარტების საძიებელი

გოგინაჰი

უდიდესი მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტები, № 1 გვ. 3-8.

სტატიები

შ. გოგინაჰი — ვ. ი. ლენინი მოსკოვის საბჭოს პირველი დეპუტატი, № 2 გვ. 6-15.

ვ. კაჭარავა — პარტიული პრინციპულობის ამალღებისათვის პროკურატურის, სასამართლო-სა და მილიციის ორგანოებში, № 5 გვ. 8-17.

ბ. კაციტაძე — სამშობლოს ინტერესების სა-დარაჯოზე, № 6 გვ. 13-19.

გ. ბაქრაძე — საბჭოთა კავშირი — მშვიდობის მდღროშე, № 6 გვ. 3-6.

გ. ერემოვი — თავისუფალ ერთა ურღვევი კავშირი, № 6 გვ. 7-12.

კ. ჩაკაბერია, შ. ჭანტურია — ლენინური პრინციპების განხორციელება საბჭოთა პროკურატურის საქმიანობაში, № 5 გვ. 3-7.

სახელმწიფოსა და სამართლის

თეორია, ისტორია.

ა. კარანაძე — სოციალისტური ქვეყნების სა-არჩევნო სამართალი, № 2 გვ. 16-24.

ა. გაბიანი — დანაშაულობის მიზეზების შეს-წავლის საკითხისათვის, № 4 გვ. 22-27.

ო. მგელაძე — კრიმინალისტური ექსპერტიზი-

სა და მისი დაწესებულების ისტორიის საკითხი-სათვის საქართველოში, № 4 გვ. 36-44.

მ. კეკელია — წინასწარი და სასამართლო გა-მოძიების საკითხისათვის XVIII საუკუნის მეო-რე ნახევრის საქართველოში, № 4 გვ. 77-83.

ივ. სურგულაძე — დავით ბაგრატიონი ბრა-ლის შესახებ, № 6 გვ. 54-57.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინალისტიკა.

ვ. შანიძე — ზოგიერთი შენიშვნა სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის ახალი წესე-ბის შესახებ, № 1 გვ. 67-71.

მ. სტროგოვიჩი — სისხლის სამართლის სასა-მართლო წარმოების კანონმდებლობის სრულ-ყოფის ზოგიერთი საკითხი, № 2 გვ. 25-31.

გ. ტყეშელიაძე, ლ. თალაკვაძე — ვიშინსკის მავნე თეორიების შესახებ საბჭოთა სისხლის სა-მართალსა და საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, № 3 გვ. 19-26.

რ. ჭოლოშვილი — სპეციალისტის როლი სის-ხლის სამართლის პროცესში, № 3 გვ. 53-55.

ა. ფალაშვილი — ექსპერტისათვის საქმის მასალების გაცნობა და მისი გამოკვლევის ფარგ-ლები, № 4 გვ. 12-21.

შ. ფაფიაშვილი — დაქტილოსკოპიის ერთი საკითხის გამო, № 4 გვ. 28-35.

გრ. ნადირაძე — მოკვლევის ზოგიერთი პრაქ-ტიკული საკითხის შესახებ საქართველოში სსრ

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, № 5 გვ. 26-31.

სამოქალაქო სამართალი, არბიტრაჟი

შ. ჩიკვაშვილი — საკუთრების უფლების საკითხები ახალ სამოქალაქო კანონმდებლობაში, № 5 გვ. 18-25.

თ. დადიანი — სამედიატორო სასამართლოების შესახებ, № 4 გვ. 53-54.

ზ. მამისაშვილი — სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ, № 4 გვ. 55-57.

თ. ლილუაშვილი — სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების ზოგიერთი ძირითადი საკითხი, № 6 გვ. 24-32.

სასამართლო და პროკურატურის ორგანიზების მუშაობის პრაქტიკა

თ. მოღვაძე — სასამართლო წესით ზოგიერთი ფაქტის დადგენის შესახებ, № 1 გვ. 72-74.

ვ. ხმაღაძე — ავტოვარიის საქმეთა გამოძიების პრაქტიკისათვის, № 3 გვ. 39-41.

ი. გოგაშვილი — ბრალდებულისათვის დაცვის უფლებას უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ, № 3 გვ. 42-44.

ნ. ბანცაძე — ავტოსაგზაო შემთხვევები და ტექნიკური ექსპერტიზის მნიშვნელობა, № 3 გვ. 45-49.

ა. ტაყაძე — უზრუნველყოფით სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, № 5 გვ. 35-40.

ა. უღვანი — გადაჭრით გავაუმჯობესოთ მშრომელთა საჩივრების, განცხადებებისა და სიგნალებისადმი დამოკიდებულების საქმე, № 5 გვ. 41-43.

შ. დანელია — დავიცივთ საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, № 5 გვ. 44-46.

ვ. მაისურაძე — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით, № 6, გვ. 33-38.

მ. მირზოევი — მტკიცედ დავიცივთ ქალებისა და ბავშვების უფლებები, № 6, გვ. 38-42.

გ. შელია — ერთობლივ ღონისძიებათა ჩატარება დანაშაულის გახსნის საფუძველი, № 6, გვ. 43-48.

თარიღებთან დაკავშირებით

ვ. უვანია — ვაჟა სოფლის მოსამართლე, № 2 გვ. 80-83.

ვ. შანიძე — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, № 3 გვ. 82-83.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ხსოვნას, № 3 გვ. 94-96.

ვ. სიღამონიძე — გ. წერეთლის დაცვითი სიტყვა, № 4 გვ. 84-86.

გაზეთ „პრადას“, საბჭოთა პრესის ყველა მუშაკს, № 3 გვ. 3-4.

საბჭოთა პრესის დიდი მედროზე, № 3 გვ. 5-6.

პ. ბერძენიშვილი — სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე, № 3 გვ. 8-12.

შ. რობაქიძე — თანამედროვეობის მოთხოვნების დონეზე, № 6 გვ. 20-23.

ა. პაიჭაძე — საქართველოს სსრ ადვოკატურის 40 წლისთავი, № 6 გვ. 49-53.

წინადადებათა ახალი კანონმდებლობისათვის

შ. ჩიკვაშვილი — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის კოორდინაციის საკითხისათვის, № 2 გვ. 39-46.

ადვოკატურის შესახებ

მ. კომახიძე — საბჭოთა ადვოკატურა ახალი ამოცანების წინაშე, № 2 გვ. 32-38.

ა. პაიჭაძე — ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ საადვოკატო მუშაობაში, № 5 გვ. 47-51.

კრიტიკა და გიზლიობრაფია

გ. ნადარეიშვილი — ი. დლოძე „საქართველოს ჩვეულებითი სჯული, № 1 გვ. 88-90.

ი. სურგულაძე — წიგნი სეროიშული ხარვეზებით, № 3 გვ. 84-89.

გ. თარხნიშვილი — ნაშრომი ქართველ იურისტებზე, № 3 გვ. 90-94.

გ. ლეჟავა — კანონის სწორი განმარტებისათვის, № 3 გვ. 50-52.

გ. ტყეშელიაძე — ნაშრომი დაუმთავრებელ დანაშაულის შესახებ, № 4 გვ. 87-91.

გ. ერემოვი, უ. ბახტაძე — „სსრ კავშირის კონსტიტუცია და საბჭოთა კანონმდებლობის ძირითადი საკითხები“, № 4 გვ. 92-95.

რუსი სოციოლოგი იურისტები

ა. ვაჩიშვილი — გამოჩენილი მეცნიერი-სოციოლოგი მ. კოვალეუსკი, № 3 გვ. 27-38.

უცხოეთში

შ. კურდელაშვილი — რევოლუცია იემენში, № 6 გვ. 58-60.

დანაშაულის კვალდაკვალ

მ. მიხაილოვი — „ექსპედიტორების“ საქმიანობას ფარდა აეხადა.

სხვადასხვა

„იურიდიული ტერმინოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიისაგან, № 3 გვ. 56-62; № 4 გვ. 45-52.

ა. დოლიძე — მეტი ყურადღება იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტების გამოყენებას სახელმწიფო აპარატში, № 5 გვ. 32-34.

მ. სიხარულიძე — „შრომის“ ირგვლივ შემოკრებილი ხალხის ბრძოლა სასამართლოში ქართული ენის აღდგენისათვის, №5 გვ. 59-69.

კონსულტაცია

%. ნარიშანი — კლექით დაავადებულთა სავადმყოფო ფურცლების განაღდების შესახებ, № 4 გვ. 76.

ბ. წერეთელი — დასახიჩრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ახალი წესი, № 5 გვ. 52-58.

ნარკვევი, ეპიგრაფა

შ. ესიტაშვილი — ლიხვის ტალების საიდუმლო, № 1 გვ. 80-87.

წ. აბესაძე, შ. ესიტაშვილი — გაღუნული ტყვია, № 2 გვ. 84-93.

აკაკი გელოვანი — ეპიგრაფები, № 4 გვ. 96.

საკანონმდებლო აქტები, ოფიციალური მასალა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები, № 1 გვ. 10-35.

კანონი საქართველოს სსრ სასამართლოების

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვაჭვავის წესის შესახებ, № 1 გვ. 36-40.

დებულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიების შესახებ, № 1 გვ. 46-48.

დებულება ამხანაგური სასამართლოების შესახებ, № 1 გვ. 49-55.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლები, № 2 გვ. 47-60.

ოფიციალური მასალა საბჭოთა პროკურატურის 40 წელთან დაკავშირებით, № 3, № 4 გვ. 7-18, გვ. 11.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნების შედეგები, № 4 გვ. 3-10.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 დეკემბრის დადგენილება, № 4 გვ. 66-75.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“, № 5 გვ. 70-74.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 19 ივლისის დადგენილება, № 1 გვ. 56.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 12 სექტემბრის დადგენილებები, № 1, № 2 გვ. 62, გვ. 74.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 14 დეკემბრის დადგენილება, № 2 გვ. 74.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 18 დეკემბრის დადგენილება, № 2 გვ. 77.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 29 მარტის დადგენილებები, № 6 გვ. 67.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 მარტის დადგენილებები, № 4 გვ. 58; № 6, გვ. 70.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 14 მაისის დადგენილებები, № 6, გვ. 71.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებები, № 6, გვ. 72.

ინფორმაცია, № 1 გვ. 75; № 2 გვ. 94; № 3 გვ. 63; № 5 გვ. 78; № 6 გვ. 87.

სასამართლო პრაქტიკა, № 5 გვ. 96.

არბიტრაჟის პრაქტიკა, № 1 გვ. 91, № 5 გვ. 81.

ნოტარიატის პრაქტიკა, № 5 გვ. 90.

№ 50 553.



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 6

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР